

წლიური ანგარიში

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

ცესკო

საქართველოს საარჩევნო
ადმინისტრაცია



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის საქმიანობის **წლიური ანგარიში**

2017 წელი

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

სარჩევი

გვერდი 06 — ცესკოს თავმჯდომარის წერილი

გვერდი 08 — საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

გვერდი 16 — შესავალი

გვერდი 25 — სტრატეგიული პრიორიტეტი 1: ინსტიტუციური გაძლიერება

გვერდი 26 — მიზანი 1: ეფექტური მართვის უზრუნველყოფა

გვერდი 34 — მიზანი 2: ადამიანური რესურსების განვითარება

გვერდი 46 — მიზანი 3: ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

გვერდი 52 — მიზანი 4. იმიჯის განმტკიცება

გვერდი 61 — სტრატეგიული პრიორიტეტი 2. სამოქალაქო და ამომრჩევლის განათლება

გვერდი 62 — მიზანი 1. სამოქალაქო და ამომრჩევლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება

გვერდი 69 — მიზანი 2. საარჩევნო კულტურის განვითარება

გვერდი 76 — მიზანი 3. სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა

გვერდი 81 — სტრატეგიული პრიორიტეტი 3. საარჩევნო გარემო

გვერდი 82 — მიზანი 1. სამართლებრივი ჩარჩოს დახვეწაში მონაწილეობა

გვერდი 85 — მიზანი 2. არჩევნების მთლიანობის (Integrity) უზრუნველყოფა

გვერდი 86 — მიზანი 3. ინკლუზიური საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა

გვერდი 90 — მიზანი 4. გენდერულად დაბალანსებული და თანაბარი გარემოს ხელშეწყობა

გვერდი 95 — სტრატეგიული პრიორიტეტი 4. საარჩევნო ოპერაციები

გვერდი 96 — მიზანი 1. არჩევნების ორგანიზება ჩატარება

გვერდი 98 — მიზანი 2. საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა კვალიფიკაციის ამაღლება

გვერდი 102 — მიზანი 3. არჩევნების შედეგების გასაჯაროება უმოკლეს დროში

გვერდი 103 — მიზანი 4. ჩართული მხარეებისთვის არჩევნებთან დაკავშირებული ზუსტი ინფორმაციის დროულად მიწოდება

გვერდი 106 — დასკვნა

ცესკოს თავმჯდომარის წერილი



ძვირფასო მეგობრებო და საარჩევნო ადმინისტრაციის პარტნიორებო,

წარმოგიდგენთ საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ 2017 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიშს. ეს იყო მნიშვნელოვანი სიახლეებისა და კარგი ინიციატივების განხორციელების წელი საარჩევნო ადმინისტრაციისთვის. პირველ რიგში, ჩვენ წარმატებით ჩავატარეთ საორგანიზაციო თვალსაზრისით ყველაზე რთულად ადმინისტრირებადი, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნები, რომელიც საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიებმა უკვე შეაფასეს როგორც მნიშვნელოვანი საარჩევნო პროგრესი და კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი ქვეყანაში დემოკრატიის განვითარების კუთხით. ადმინისტრაციამ შეძლო ყველა პირობის შექმნა იმისთვის რომ საქართველოს თითოეულ მოქალაქეს შეძლებოდა მშვიდობიან გარემოში საკუთარი არჩევანის თავისუფლად განხორციელება. აქვე მინდა მადლობა გადავუხადო მოქალაქეებს, თითოეულ ამომრჩეველს, რომელმაც აქტიურად მიიღო არჩევნებში მონაწილეობა.

მინდა ჩემი პატივისცემა გამოვხატო არჩევნებში ჩართული ყველა მხარის მიმართ, რომლებმაც საკუთარი წვლილი შეიტანეს საარჩევნო პროცესში. აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებელი დამკვირვებლების, მედიისა და სხვა დაინტერესებული მხარეების აქტიური მონაწილეობა დიდი მხარდაჭერაა საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობისა და სანდოობის უზრუნველსაყოფად.

მოქალაქეების საარჩევნო უფლების თავისუფლად განხორციელების მიზნით არჩევნების უსაფრთხოებასა და სანდოობასთან დაკავშირებული საქმიანობა გახდა საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის ინსტიტუციური კულტურის ნაწილი. ამ კუთხით განსაკუთრებით აღსანიშნავია თანამშრომლობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, ვინაიდან უკვე მეორე წელია ჩვენ ერთობლივად ვგეგმავთ ღონისძიებებს უსაფრთხო საარჩევნო გარემოსა და მშვიდობიანი საარჩევნო პროცესის უზრუნველყოფისთვის.

ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება იძლევა საარჩევნო პროცედურების გამარტივებისა და მათი ეფექტიანობის გაზრდის უამრავ შესაძლებლობას. 2017 წელს საარჩევნო ადმინისტრაციამ დაიწყო ახალი ტექნოლოგიური ინიციატივის განხორციელება, რომლის თანახმადაც პარტიები, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფები, ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციები და მედიასაშუალებები საარჩევნო რეგისტრაციის პროცედურების გავლას შეძლებენ ინტერნეტით, ელექტრონული რეგისტრაციების სპეციალური პროგრამის საშუალებით. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების დროს 19-მა რეგისტრირებულმა საარჩევნო სუბიექტმა (23 პოლიტიკური გაერთიანება წარმოდგენილი 19 საარჩევნო სუბიექტად), ონლაინ განახორციელა ყველა დონის კომისიაში წარმომადგენლების დანიშვნა.

ამასთან, ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკება, რომ საქართველოს არჩევნების ისტორიაში პირველად, უახლოესი არჩევნების დროს რეალურ პრაქტიკაში განხორციელდეს კვლევაზე დაფუძნებული პილოტური პროექტი, რაც გულისხმობს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, კენჭისყრის დღეს, ხმის ელექტრონულად დათვლას. თუმცა, ამ პროცესის მიმართ ნდობა ყოველთვის განხილვისა და დისკუსიის საგანია. სწორედ ამიტომ, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს გამოვიყენოთ ყველა საშუალება იმისთვის, რომ გავზარდოთ ცნობიერება საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით, გავუზიაროთ ერთმანეთს პრაქტიკაში მიღებული გამოცდილება, მსჯელობის, ანალიზისა და კონსულტაციების შედეგად ვუპასუხოთ საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებულ გამოწვევებს და შემდგომი წარმატებების მიზნით მივიღოთ კონკრეტული და საჭიროებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები.

ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ძალისხმევა ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის კუთხით. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ჩვენ მრავალფეროვანი სერვისები შევთავაზეთ. პირველად, ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებს ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრში ინფორმაციის მიღება ვიდეო ზარის განხორციელებით, ჟესტური ენის მცოდნე ოპერატორებისგან შეეძლოთ.

განსაკუთრებული სიამაყით აღვნიშნავ ამომრჩევლებისთვის განხორციელებულ სასწავლო პროგრამებსა და ინიციატივებს მთელი ქვეყნის მასშტაბით, რომლებსაც მკაფიო მიზნები ჰქონდა – საარჩევნო პროცესის შესახებ ამომრჩეველთა ინფორმირება, ცნობიერების ამაღლება და სამოქალაქო ჩართულობა. ჩვენ განვაახლეთ საგანმანათლებლო პროგრამები კვლევების შედეგებზე დაყრდნობით, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ ადრეული ელექტორალური გამოცდილება ეხმარება ამომრჩევლებს არჩევნებში მონაწილეობის ხანგრძლივი ჩვევისა და კულტურის გამომუშავებაში. სწორედ ამიტომ, ჩვენი სასწავლო კურსები სკოლიდან დავიწყეთ და განსაკუთრებით გავაძლიერეთ ახალგაზრდებზე ორიენტირებული პროგრამები.

ჩვენმა ძალისხმევამ ამომრჩეველთა ინფორმირების კუთხით და ტექნოლოგიების გამოყენებაზე დაფუძნებულმა ინოვაციურმა სერვისებმა გამოიღო შედეგი – ამომრჩეველთა ერთიან სიაში პირადი მონაცემების გადამოწმებისთვის ცესკოს მიერ შეთავაზებული მომსახურებით მილიონამდე ამომრჩეველმა ისარგებლა. გარდა ამისა, 2017 წელს პირველად განხორციელებულმა ინიციატივამ „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“ მოსახლეობას საარჩევნო საკითხებში ჩართულობის მეტი შესაძლებლობები მისცა. საარჩევნო ადმინისტრაციის წევრების პირისპირ შეხვედრებმა მოსახლეობასთან ამომრჩევლების მოსაზრებების მოსმენის, მათ კითხვებზე პასუხების გაცემის, მეტი ინფორმაციის გაზიარების, სერვისების გაუმჯობესებისა და უშუალო დიალოგის შესაძლებლობები განავითარა, ამასთან, საარჩევნო ადმინისტრაციის ხალხთან „უფრო ახლოს“ კავშირით საარჩევნო პროცესში ინფორმირებული მონაწილეობის მნიშვნელოვანი პოტენციალი შექმნა.

საარჩევნო ადმინისტრაციის მიღწევები შედეგია თავდაუზოგავი შრომის, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციამ გაწია ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე. მე ვაფასებ და მადლობას ვუხდი საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლებს ერთგულებისა და პროფესიონალიზმისთვის. ეს არის გუნდი, რომელიც მოტივირებულია იმუშაოს ღირსეული იდეით – საქართველოში უსაფრთხო, სანდო და სამართლიანი არჩევნების ჩატარება. იმის მიუხედევად, რომ კვლავ აქტუალურია შემდგომ გაუმჯობესებაზე ორიენტირებული საქმიანობების განხორციელება და არსებობს მნიშვნელოვანი გამოწვევები საარჩევნო გარემოს განვითარების თვალსაზრისით, როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, დღეს თამამად შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოში დემოკრატიული არჩევნების ჩატარება უკვე ტრადიციად ჩამოყალიბდა.



თამარ ჟვანია
ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია


საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია არის დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში თავისუფალია სხვა სახელმწიფო ორგანოების ზეგავლენისგან და მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციისა და ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისად.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია შედგება:

- ცესკოსა და მისი აპარატისგან
- უსკოსა და მისი აპარატისგან
- საოლქო საარჩევნო კომისიებისგან
- საუბნო საარჩევნო კომისიებისგან

საარჩევნო ადმინისტრაცია უზრუნველყოფს საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს – მერის არჩევნების, რეფერენდუმისა და პლებისციტის გამართვას, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აკონტროლებს საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის შესრულებას, მის ერთგვაროვან გამოყენებას.


მისია



მიუკერძოებელი, გამჭვირვალე და მაღალპროფესიულ დონეზე ადმინისტრირებული არჩევნების ჩატარება კანონმდებლობის დაცვით და ყველა პირობის შექმნა, რათა ამომრჩევლებმა და სხვა ჩართულმა მხარეებმა თავისუფლად განახორციელონ საარჩევნო უფლება.

ხედვა

საარჩევნო ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომ საარჩევნო სერვისებს და საარჩევნო პროცესის მთლიანობას, სარგებლობს საზოგადოებაში მაღალი ნდობით, თავის საქმიანობაში მუდმივად ნერგავს ინოვაციებს და საარჩევნო გარემოს განვითარებაზე ორიენტირებულ ინიციატივებს.



საარჩევნო ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მართვის ეფექტურობისა და საარჩევნო ადმინისტრაციის პროფესიული შესაძლებლობების მუდმივ ზრდას.



ცენტრალური საარჩევნო კომისია

ცესკოს შემადგენლობა[1]
2017 წლის 21 ნოემბრის მდგომარეობით

თამარ ჟვანია, *კომისიის თავმჯდომარე*
გიორგი შარაბიძე, *თავმჯდომარის მოადგილე*
გიორგი ჯავახიშვილი, *კომისიის მდივანი*
დავით გოცირიძე, *ცესკოს წევრი, პ/გ „საქართველოს ქრისტიან-კონსერვატორები“*
დავით გურგენიძე, *ცესკოს წევრი, პ/გ „ევროპული საქართველო“*
დავით კირთაძე, *ცესკოს წევრი, პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“*
ლევან მაისურაძე, *ცესკოს წევრი, პ/გ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“*
ხათუნა სხირტლაძე, *ცესკოს წევრი, პ/გ „პატრიოტთა ალიანსი“*
მარინე წულუკიძე, *ცესკოს წევრი, პ/გ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“*
გიორგი ჭიქაბერიძე, *ცესკოს წევრი, საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული*
ირაკლი ჭყოიძე, *ცესკოს წევრი, პ/გ „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“*
ზურაბ ხრიკაძე, *ცესკოს წევრი, საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული*
დიმიტრი ჯავახაძე, *ცესკოს წევრი, საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული*

1 საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 2017 წელს განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2017 წლის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ყველა სახის ოქმის ცესკოს მიერ დადგენილი წესით გამოქვეყნების მომდევნო დღიდან შეიცვალა ცესკოს დაკომპლექტების წესი, რომლის მიხედვით ცესკო შედგება თავმჯდომარისა და 11 წევრისგან. ცესკოს თავმჯდომარე იმავდროულად არის ცესკოს წევრი. ცესკოს 6 წევრს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს საქართველოს პარლამენტი, ხოლო 6 წევრს ნიშნავენ პარტიები. ცესკოს თავმჯდომარეს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს ცესკო.



ცესკოს შემადგენლობა
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თამარ ჟვანია, *კომისიის თავმჯდომარე*
გიორგი შარაბიძე, *თავმჯდომარის მოადგილე*
გიორგი ჯავახიშვილი, *კომისიის მდივანი*
არჩილ ანასაშვილი, *ცესკოს წევრი, პ/გ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“*
დავით გურგენიძე, *ცესკოს წევრი, პ/გ „ევროპული საქართველო“*
დავით კირთაძე, *ცესკოს წევრი, პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“*
ლევან მაისურაძე, *ცესკოს წევრი, პ/გ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“*
ხათუნა სხირტლაძე, *ცესკოს წევრი, პ/გ „პატრიოტთა ალიანსი“*
მარინე წულუკიძე, *ცესკოს წევრი, პ/გ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“*
გიორგი ჭიქაბერიძე, *ცესკოს წევრი, საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული*
ზურაბ ხრიკაძე, *ცესკოს წევრი, საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული*
დიმიტრი ჯავახაძე, ცესკოს წევრი, *საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული*

2017 წელს, გარდა ცესკოს სხდომებისა, ცესკოს წევრები აქტიურად იყვნენ ჩართული ცესკოში შექმნილი სხვადასხვა სამუშაო ჯგუფის (გენდერული თანასწორობის საბჭო, ეთნიკური უმცირესობებისა და შშმ პირების საკითხებზე მომუშავე ჯგუფები) მუშაობაში, სასწავლო მასალების შედგენაში, საკანონმდებლო ინიციატივების განხილვასა და საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტების მონიტორინგში. მონაწილეობა მიიღეს სადამკვირვებლო მისიებში, საერთაშორისო კონფერენციებსა და სამუშაო შეხვედრებში.

ცესკოს სტრუქტურული ერთეულები

საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი
გიორგი სეხნიაშვილი, დეპარტამენტის უფროსი


იურიდიული დეპარტამენტი
გიორგი ძაგანია, დეპარტამენტის უფროსის მ.შ.

სარეგისტრაციო და ადმინისტრაციული დეპარტამენტი
ელისაბედ ველიძე, დეპარტამენტის უფროსი

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
ქეთევან დანგაძე, დეპარტამენტის უფროსი

საფინანსო დეპარტამენტი
ოთარ ბუსკივაძე, დეპარტამენტის უფროსი

ამომრჩეველთა სიების ფორმირებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი
ავთანდილ ცისკარიძე, დეპარტამენტის უფროსი



ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ, ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲒᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘ
ᲡᲝᲤᲘᲝ ᲡᲘᲮᲘᲜᲐᲕᲐ, ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ

ᲨᲘᲓᲐ ᲐᲣᲓᲘᲢᲘᲡ ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘ
ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ, ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘ
ᲗᲐᲛᲐᲠ ᲨᲣᲙᲐᲙᲘᲫᲔ, ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ

ᲕᲠᲔᲡ-ᲡᲞᲘᲙᲔᲠᲘ
ᲐᲜᲐ ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔ

ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲘ
ᲗᲐᲛᲐᲖ ᲨᲐᲠᲛᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲘ
ᲙᲐᲮᲐᲑᲔᲠ ᲭᲐᲛᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲡᲘᲕ - ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲔᲑᲘᲡ, ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ, ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
ᲜᲐᲗᲘᲐ ᲖᲐᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია და სწავლების ცენტრი თანამშრომლობისთვის მადლობას უხდის:

ცესკო მადლობას უხდის საარჩევნო ადმინისტრაციის თითოეულ თანამშრომელს პროფესიული სტანდარტებისა და საარჩევნო მოხელის ეთიკის ნორმების შესაბამისად შესრულებული სამუშაოსთვის.

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) სხვადასხვა პროექტების განხორციელებისას გაწეული ფინანსური მხარდაჭერისთვის.

საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდს (IFES) თანამშრომლობისა და სხვადასხვა პროექტების განხორციელებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის.

ევროპის საბჭოს (CoE) სხვადასხვა პროექტების განხორციელებისას გაწეული ფინანსური მხარდაჭერისთვის.

ვენეციის კომისიას ექსპერტული დახმარებისა და მჭიდრო თანამშრომლობისთვის.

ევროპის კავშირის (EU) და გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP), ცესკოში გამართული ტექნიკური სამუშაო ჯგუფის (TWG) საქმიანობის ხელშეწყობისთვის.

საპარლამენტო სწავლებების საერთაშორისო ცენტრის (ICPS) საარჩევნო ადმინისტრაციების რიგით მეშვიდე ყოველწლიური შეხვედრის ორგანიზაციული და ფინანსური მხარდაჭერისთვის.

ასევე, მადლობას უხდის ყველა ორგანიზაციას და მათ წარმომადგენლებს, რომლებმაც 2017 წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღეს ცესკოში შექმნილი მიზნობრივი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში და წვლილი შეიტანეს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაში.

შესავალი

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო) დღეს გაზრდილი ნდობით სარგებლობს საზოგადოებაში. პროფესიულ დონეზე ჩატარებულმა არაერთმა არჩევნებმა ცესკოს მიმართ საზოგადოების ნდობა აამაღლა და ორგანიზაციის იმიჯი, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, კიდევ უფრო განამტკიცა.

ცესკო, მისი აპარატი და სსიპ – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი (სწავლების ცენტრი) თავის საქმიანობას წარმართავენ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, საარჩევნო ადმინისტრაციის 2015-2019 წლების სტრატეგიული და წლიური სამოქმედო გეგმების შესაბამისად. სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულია შემდეგი სტრატეგიული პრიორიტეტები:

ინსტიტუციური გაძლიერება – მოიცავს საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობის, პროფესიონალიზმისა და სანდოობის განმტკიცებას, ეფექტიანი საბიუჯეტო პოლიტიკისა და უწყვეტ ორგანიზაციულ და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული სისტემის დამკვიდრებას და დემოკრატიული პროცესების განვითარებაში წვლილის შეტანას.

სამოქალაქო და ამომრჩევლის განათლება – მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით საარჩევნო პროცესებში სამოქალაქო ჩართულობის დონის ამაღლებას, ამომრჩეველთა აქტივობის ზრდისა და ინფორმირებული არჩევანის გაკეთების ხელშეწყობას.

საარჩევნო გარემო – მოიცავს საარჩევნო პროცესებში ჩართული მხარეების აქტიური მონაწილეობით მაქსიმალურად ინკლუზიური საარჩევნო გარემოს შექმნასა და კანონმდებლობის დახვეწის პროცესის ხელშეწყობას.

საარჩევნო ოპერაციები – მოიცავს არჩევნების ორგანიზებას მაღალპროფესიულ დონეზე, არჩევნების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ საზოგადოების დროულ ინფორმირებასა და ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფას.

საქმიანობების განხორციელების პროცესში ცესკო ხელმძღვანელობს გაცხადებული სამოქმედო პრინციპებით:

დამოუკიდებლობა – საარჩევნო ადმინისტრაცია არის დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც მოქმედებს მხოლოდ კანონის ფარგლებში და არ ექცევა პოლიტიკური გავლენის ქვეშ.

გამჭვირვალობა – საარჩევნო ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ამომრჩევლებისა და საარჩევნო პროცესში ჩართული სხვა მხარეებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და საკუთარი საქმიანობის ღიაობას.

პროფესიონალიზმი – საარჩევნო ადმინისტრაცია საქმიანობას ახორციელებს კვალიფიციური და კომპეტენტური ადამიანური რესურსებით.

ანგარიშვალდებულება – საარჩევნო ადმინისტრაცია პასუხისმგებელია საკუთარ ქმედებებზე და შესაბამის ინსტიტუციებსა და ამომრჩევლებს რეგულარულად წარუდგენს ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ.

ინკლუზიურობა – საარჩევნო ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი საარჩევნო გარემოს შექმნას.

საარჩევნო ადმინისტრაციამ, კანონმდებლობის შესაბამისად, 2017 წლის 21 ოქტომბერს ჩაატარა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნები. საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების შეფასებით თითოეული ამომრჩევლისთვის ყველა პირობა იყო შექმნილი ნების თავისუფალი გამოხატვისთვის. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტისა (NDI) და კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) მიერ გამოქვეყნებული კვლევის შედეგების მიხედვით[2], მოსახლეობა ჩატარებულ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებს ძირითადად დადებითად აფასებს. გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა თვლის, რომ საარჩევნო გარემო იყო მოწესრიგებული (95%) და უსაფრთხო (93%), ხოლო საარჩევნო უბნებზე არჩევნებზე პასუხისმგებელი პირები კარგად იყვნენ მომზადებულები (87%). ცესკომ, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, საქართველოს პარლამენტს წარუდგინა ჩატარებული არჩევნების შესახებ ანგარიში, ანგარიში ასევე გამოქვეყნდა ცესკოს ვებგვერდზე.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს ცესკოსა და სწავლების ცენტრის მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში განხორციელებული საქმიანობების აღწერას.

2 კვლევა „საზოგადოების განწყობა საქართველოში“ ჩატარდა 2017 წლის 29 ნოემბერი-19 დეკემბრის პერიოდში, წარმომადგენლობითი შერჩევით თბილისში, დიდ და პატარა ურბანულ დასახლებებში, სოფლის ტიპის დასახლებებში, ეროვნული უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში. პირისპირი ინტერვიუს მეთოდით ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე გამოიკითხა 2 298 მოქალაქე (გამოპასუხება 48%). საშუალო ცდომილების ზღვარი არის +/- 1.9%.

საარჩევნო ადმინისტრაციის საერთაშორისო აღიარება

საერთაშორისო საარჩევნო ჯილდოები 2013-2017

საპარლამენტო სწავლების საერთაშორისო ცენტრის (ICPS) მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო საარჩევნო სიმპოზიუმის ფარგლებში, ცესკომ და სწავლების ცენტრმა სხვადასხვა წლებში მიიღო შემდეგი საერთაშორისო საარჩევნო ჯილდოები.

საერთაშორისო საარჩევნო ჯილდო 2013

სწავლების ცენტრი დაჯილდოვდა ნომინაციაში „პირველი ამომრჩეველი“ – საგანმანათლებლო პროექტისთვის „სასწავლო კურსი საარჩევნო სამართალში“.

საერთაშორისო საარჩევნო ჯილდო 2015

ცესკო დაჯილდოვდა ნომინაციაში „არჩევნების მართვა“ – ინოვაციური პროგრამისთვის „საარჩევნო პროცესის მართვის სისტემა „არმასი“ (EPMS).

საერთაშორისო საარჩევნო ჯილდო 2016

ცესკო დაჯილდოვდა ნომინაციაში „უმცირესობების ჩართულობა“.

საერთაშორისო საარჩევნო ჯილდო 2017

ცესკო დაჯილდოვდა ორ ნომინაციაში:

„მოქალაქეთა ჩართულობა“ – ინოვაციური პროექტისთვის „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“;

„საარჩევნო კონფლიქტების მართვა“ – არჩევნების უსაფრთხოების მიმართულებით განხორციელებული პროექტისთვის.

ჯო სი ბაქსტერის ჯილდო

2017 წელს, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდმა საარჩევნო პროცესების განვითარების ხელშეწყობისთვის დააჯილდოვა ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანია და გადასცა მას ჯო სი ბაქსტერის ჯილდო.

საარჩევნო ადმინისტრაციის ძირითადი მიღწევები

ცესკოს მიერ ჩატარებულმა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნებმა საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების ძირითადად დადებითი შეფასება დაიმსახურა.



არჩევნების ადმინისტრირება ყველა დონეზე დროულად, ეფექტურად და პროფესიონალურად განხორციელდა.

დაინტერესებულმა მხარეებმა ამომრჩეველთა სიების სიზუსტესთან დაკავშირებით მაღალი დონის ნდობა გამოხატეს.

მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 97%-ში ხმის მიცემის პროცესი კარგად ან ძალიან კარგად შეფასდა.

ცესკოს სხდომებზე საჩივრების განხილვა ღიად, სხდომაზე დამსწრეთა აქტიური მონაწილეობით და კანონის ყველა შესაბამისი ნორმების დაცვით ხორციელდებოდა.

ცესკომ ამომრჩეველთა რეგისტრაციის შესახებ ამომრჩეველთა ყოვლისმომცველი ინფორმირება უზრუნველყო ამომრჩევლებთან შეხვედრების, ვიდეო რგოლების და ბეჭდური მასალის მეშვეობით, მათ შორის, ეროვნული უმცირესობების და ჟესტების ენაზე.

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია[3]



3 ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესი. მოხსენება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ თავისი
ადმინისტრაციული ვალდებულებები დროულად, ეფექტიანად
და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით შეასრულა.

არჩევნების დღე, ზოგადად, წესრიგის დაცვით წარიმართა.
დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ იმ უბნებში, სადაც ისინი იმყოფებოდნენ,
პროცესებმა გამჭვირვალედ და მშვიდ გარემოში ჩაიარა.

საარჩევნო კომისიის წარმომადგენლები მთელი საარჩევნო დღის განმავლობაში თავიანთ
ფუნქციებს კეთილსინდისიერად ასრულებდნენ.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის საერთაშორისო მისია

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები საქართველოში
საერთაშორისო სტანდარტების დაცვით ჩატარდა და ეს ეუთოს
დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა დაადასტურა.

ფედერიკა მოგერინი
ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი
2018 წლის 5 თებერვალი, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს სხდომა

„საქართველოს საარჩევნო კომისია და კენჭისყრის, როგორც გადაწყვეტილების მიღებისა
და საზოგადოების წინსვლის გზის გამოყენების ქართული ისტორია ისაა, რითიც ჩვენ,
საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი ძალიან ვამაყობთ. ჩვენი მისიაა, ყველა ხმა
იქნას გაგონილი და დათვლილი. საქართველო, რომელსაც რთული სამეზობლო აქვს,
დემოკრატიისა და საარჩევნო პროცესის კუთხით ბრწყინვალე მაგალითია მსოფლიოში“

უილიამ სუინი
საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტი და აღმასრულებელი დირექტორი
2017 წლის 12 სექტემბერი, შეხვედრა საქართველოს პარლამენტის დელეგაციასთან

გამოწვევები და რეკომენდაციები

ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების ანგარიშებში, დადებით შეფასებებთან ერთად, ასევე, წარმოდგენილია გარკვეული ნაკლოვანებები და შესაბამისი რეკომენდაციებიც, რომელთა მიზანია საარჩევნო პროცესის და გარემოს შემდგომი დახვეწა. ამასთან, ასახულია საარჩევნო ადმინისტრაციისთვის ყურადსაღები საკითხები, რომლებიც მათ შორის ხმის დათვლისა და ოქმების შევსების პროცესის გაუმჯობესების კუთხით მეტ მუშაობას მოითხოვს. საარჩევნო ადმინისტრაცია გეგმავს შეისწავლოს პარტნიორების მიერ გამოთქმული მნიშვნელოვანი მოსაზრებები და კომპეტენციის ფარგლებში გაითვალისწინოს სამომავლო საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების დროს, 2018 წლის არჩევნებისთვის შექმნას შესაბამისი პირობების საქართველოს მოქალაქეთა ნების თავისუფლად გამოხატვისთვის.

2017 წელს პირველად განხორციელებული ინიციატივები

ცესკოს ინიციატივა „ვესაუბრებით ამომრჩეველს“

2017 წელს საარჩევნო ადმინისტრაციამ განახორციელა ახალი ინიციატივა „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“, რომელიც ითვალისწინებდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების შესახებ ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლებას, საოლქო საარჩევნო კომისიასა და ამომრჩევლებს შორის კომუნიკაციის გაძლიერებას, საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის პოპულარიზებას, ცნობადობის ზრდასა და იმიჯის განმტკიცებას, ასევე საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული სერვისების გაუმჯობესებას. აღსანიშნავია, რომ პროექტი საქართველოს მასშტაბით მუნიციპალიტეტების ცენტრებსა და სოფლებში, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში განხორციელდა.

პროექტის პირველ ეტაპზე – საქართველოს მასშტაბით გაიმართა 450 შეხვედრა:
347 – საზოგადოების თავშეყრის ადგილებში; 103 – საოლქო საარჩევნო კომისიებში „ამომრჩევლის დღე“. მონაწილეობა მიიღო საოლქო საარჩევნო კომისიის 340-მა წევრმა და 491-მა მოხალისემ. პროექტში 48 174-მა მოქალაქემ მიიღო მონაწილეობა, 11 458-მა მოქალაქემ შეავსო ამომრჩევლის მოსაზრების ბარათი.

პროექტის მეორე ეტაპზე „იპოვე შენი თავი – იპოვე შენი უბანი“ – საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლები ამომრჩევლებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ამომრჩეველთა ერთიან სიაში პირადი მონაცემების გადამოწმებაში დაეხმარნენ. ცესკოს მიერ შეთავაზებული სერვისებით სულ 991 924-მა ამომრჩეველმა ისარგებლა.

პროექტის მესამე ეტაპზე „მოდი არჩევნებზე“ – გავრცელდა საარჩევნო პროცედურების ამსახველი ფლაერი, რომელიც ასევე დაბეჭდილი იყო აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.

ელექტრონული რეგისტრაციების პროგრამა

2017 წელს, პირველად, ცესკოს ინიციატივითა და ევროპის საბჭოს თანადაფინანსებით შეიქმნა საარჩევნო სუბიექტების ელექტრონული რეგისტრაციების პროგრამა[4], რომლის მეშვეობით

4 2016 წლის დეკემბერში, საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგიისა და 2017 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით შეიქმნა „ელექტრონული რეგისტრაციების პროგრამების შექმნასა და დანერგვაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი“ ცესკოს ხელმძღვანელი პირების, წევრებისა და თანამშრომლების შემადგენლობით.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების დროს საარჩევნო სუბიექტებმა ელექტრონული რეგისტრაციების პროგრამაში რეალური დროის (on-line) რეჟიმში მოახდინეს ყველა დონის კომისიაში წარმომადგენლების დანიშვნა. საპილოტე პროგრამაში ჩაერთო 23 პოლიტიკური პარტია და მათი საარჩევნო სუბიექტების სახით ჩამოყალიბების შემდეგ პროგრამით 19-მა საარჩევნო სუბიექტმა ისარგებლა. ელექტრონული რეგისტრაციების პროგრამის მეშვეობით ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიებში დარეგისტრირდა – 1 232 წარმომადგენელი, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიებში – 56 082 წარმომადგენელი.

პროგრამის ეფექტიანობის შესწავლის მიზნით გამოიკითხა საარჩევნო სუბიექტები და მომხმარებელთა უმრავლესობამ პროგრამა დადებითად შეაფასა. აღნიშნულმა სერვისმა საარჩევნო სუბიექტებს გაუმარტივა რეგისტრაციის პროცედურები, ხოლო საარჩევნო ადმინისტრაციას სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის დროულად დამუშავებისა და გადამოწმების საშუალება მისცა.

პროგრამის განვითარების შემდეგი ეტაპია – საერთაშორისო, ადგილობრივი და მედია ორგანიზაციების დამკვირვებელთა, ასევე პოლიტიკური პარტიების, საარჩევნო სუბიექტების, კანდიდატების, წარმომადგენლების, უფლებამოსილი პარტიის მიერ კომისიის წევრების დანიშვნის ელექტრონული რეგისტრაციების პროგრამის შექმნა/დანერგვა.



ახალი სერვისი ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის

2017 წელს, პირველად ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრში ახალი სერვისი დაინერგა. ცესკოს ვებგვერდზე განთავსებულ ბანერში „ვიდეოზარი“ ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებს ვიდეოზარის მეშვეობით შეეძლოთ სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრთან დაკავშირება და ჟესტური ენის მცოდნე ოპერატორებისგან საარჩევნო ინფორმაციის მიღება. პროექტი საქართველოს ყრუთა კავშირთან თანამშრომლობით განხორციელდა.

სასწავლო პროგრამა „საარჩევნო დავებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება“

ცესკომ და სწავლების ცენტრმა შეიმუშავეს ახალი სასწავლო პროგრამა „საარჩევნო დავებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება“. სასწავლო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებისა და მდივნების, ზოგ შემთხვევაში კომისიის წევრებისა და რეგიონული კოორდინატორების გადამზადება.

სწავლების შედეგად გაიზარდა საოლქო საარჩევნო კომისიების წევრების შესაძლებლობები საარჩევნო დავებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების კუთხით. აღნიშნული აისახა არჩევნების დროს მათ მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტებში ხარვეზების რაოდენობის კლებაში. ასევე, ტრენინგების გავლის შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიებს შესაძლებლობა ჰქონდათ უფრო ეფექტიანად წარემართათ ადმინისტრაციული წარმოების პროცესები.





01

პრიორიტეტი

ინსტიტუციური გაძლიერება

სტრატეგიული პრიორიტეტი 1: ინსტიტუციური გაძლიერება

მიზანი 1: ეფექტური მართვის უზრუნველყოფა

ეფექტიანი მართვის უზრუნველსაყოფად, 2017 წელს, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგად დაიხვეწა დაგეგმვის, ანგარიშგების და მონიტორინგის პროცესი, ჩატარდა საარჩევნო ადმინისტრაციისა და ცესკოს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციის შიდა აუდიტი. განხორციელდა ორგანიზაციული სტრუქტურის ეფექტიანობის შეფასება, გაუმჯობესდა საარჩევნო ადმინისტრაციის შიდა კომუნიკაციის სისტემა.

მნიშვნელოვანი შედეგია ორგანიზაციული რისკების მართვის გაუმჯობესება და საოლქო საარჩევნო კომისიებში ფინანსური მენეჯმენტის დახვეწა.

საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის დაგეგმვა, მონიტორინგი და ანგარიშგება

საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის დაგეგმვას, საქმიანობის მონიტორინგსა და ანგარიშგებას ცესკო ახორციელებდა „სამოქმედო გეგმის შემუშავების, დამტკიცების, კორექტირებისა და შესრულების წესის“ შესაბამისად. 2017 წელს წესში აისახა სამუშაო პროცესში გამოვლენილი ხარვეზები და გაუთვალისწინებელი შემთხვევები, დაემატა მუხლები საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების, ასევე, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგისა და შეფასების გეგმის შემუშავების შესახებ.[5] განხორციელებული ცვლილებების შედეგად გამოირიცხა დუბლირება საარჩევნო და არასაარჩევნო პერიოდებში განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშების წარდგენის კუთხით, მოხდა საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგიული გეგმისა და სტრატეგიული გეგმის მონიტორინგისა და შეფასების გეგმის შემუშავების პროცესის სისტემატიზება. წესი ჩამოყალიბდა ახალი სახელწოდებით – „საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის დაგეგმვის, ანგარიშგებისა და მონიტორინგის წესი“.

აღნიშნული წესის შესაბამისად დაიგეგმა საარჩევნო ადმინისტრაციის 2018 წლის ბიუჯეტი და შემუშავდა საარჩევნო ადმინისტრაციის 2018 წლის სამოქმედო გეგმა.

წესის დახვეწის შედეგად ცესკოში გაუმჯობესდა ანგარიშგების პროცესი. საანგარიშო პერიოდში, ცხრა სტრუქტურული ერთეულისა და სწავლების ცენტრის მიერ ცესკოს თავმჯდომარეს წარედგინა 27 ანგარიში, რომელთა საფუძველზე კოორდინაციის, დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტმა მოამზადა და ცესკოს წარუდგინა სამი კონსოლიდირებული (ორი კვარტალური და ერთი წლიური) ანგარიში.

5 საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის დაგეგმვის, ანგარიშგებისა და მონიტორინგის წესი დამტკიცებულია ცესკოს 2017 წლის 5 აპრილის N22/2017 განკარგულებით.

ცესკოში დანერგილი პრაქტიკის მიხედვით, საანგარიშო წლის ბოლოს გაიმართა ცესკოს ხელმძღვანელი პირებისა და ცესკოს წევრების სამუშაო შეხვედრა, სადაც სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებმა წარადგინეს განხორციელებული საქმიანობის შესახებ შემაჯამებელი ანგარიშები და შეაფასეს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული და სხვა მნიშვნელოვანი ხელშემწყობი საქმიანობები. ამასთან, განიხილეს საარჩევნო ადმინისტრაციის 2018 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი.

2017 წლის 4 აპრილს, ცესკოს თავმჯდომარემ, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების, სახელმწიფო უწყებების და მედიის 100-მდე წარმომადგენელს საარჩევნო ადმინისტრაციისა და სწავლების ცენტრის მიერ 2016 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიში წარუდგინა. ანგარიშში ასახული იყო საარჩევნო ადმინისტრაციის 2015-2019 წლების სტრატეგიული და 2016 წლის სამოქმედო გეგმებით, თითოეული სტრატეგიული პრიორიტეტის მიხედვით განსაზღვრული მიზნების მიღწევის პროცესი და ამ კუთხით განხორციელებული საქმიანობა.

2017 წლის 13 და 18 ოქტომბერს, ცესკოს თავმჯდომარემ ჩართულ მხარეებს და მედიას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების შუალედური ანგარიში წარუდგინა. მოწვეულ სტუმრებს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული საქმიანობის, არჩევნებისთვის მზადყოფნისა და საარჩევნო გარემოს შესახებ მიეწოდათ ინფორმაცია.

ცესკომ მოამზადა და კანონმდებლობით დადგენილი წესით[6], საქართველოს პარლამენტს წარუდგინა – საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების ანგარიში. ანგარიშში, ასევე, იყო აღწერილი საარჩევნო პერიოდში ჩატარებული თვითმმართველი ქალაქის – ახალციხის მერისა და თვითმმართველი თემების – ბოლნისის, ხარაგაულის, ჭიათურის, ზუგდიდისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტების გამგებლების 2016 წლის 8 ოქტომბრის რიგგარეშე არჩევნები, ქალაქ თბილისის, წალკის, ჭიათურის, აბაშისა და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტების საკრებულოების 2016 წლის 8 ოქტომბრის შუალედური არჩევნები და ლაგოდეხისა და სენაკის მუნიციპალიტეტების საკრებულოების 2016 წლის 30 ოქტომბრის შუალედური არჩევნები.

ცესკომ მოამზადა და ინფორმაციის სახით შესაბამის ინსტიტუციებს გაუგზავნა შემდეგი ანგარიშები/სამოქმედო გეგმები:

სახალხო დამცველს

- საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017 წლებისთვის) მიზანი 13.1 „გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა და ქალთა უფლებების დაცვა“ შესაბამისად, ცესკოს მიერ 2016 წელს განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიში;
- საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ცესკოს მიერ 2014, 2015 და 2016 წლებში განხორციელებული საქმიანობის ანგარიშები.

6 საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-14 მუხლის, პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ცესკო ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე, რომელსაც წარუდგენს ანგარიშს ყოველი არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 60 დღის ვადაში.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებების დაცვის სამდივნოს

- ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017 წლები) შესაბამისად, ცესკოსა და სწავლების ცენტრის მიერ 2016 წელს განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიში;
- გაეროს აზიისა და წყნარი ოკეანისთვის სოციალური და ეკონომიკური კომისიის (ESCAP) ინჩეონის სტრატეგიის კითხვარის შესაბამისად, ცესკოს მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ შემუშავებული ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ ანგარიში და ქ. თბილისში ადაპტირებული საარჩევნო უბნების შესახებ ინფორმაცია.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს

- სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2017 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად ცესკოს მიერ განხორციელებული საქმიანობის ანგარიში;
- ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის შესაბამისად, ცესკოს მიერ განხორციელებული საქმიანობის ანგარიში;
- რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიით განსაზღვრული სტანდარტების განხორციელების 2017 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად ცესკოს მიერ განხორციელებული საქმიანობის ანგარიში;
- სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2017 წლის სამოქმედო გეგმაში ცესკოს კომპეტენციის ფარგლებში გასათვალისწინებელი საქმიანობები;
- რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიით განსაზღვრული სტანდარტების განხორციელების 2017-2020 წლების სამოქმედო გეგმაში ცესკოს კომპეტენციის ფარგლებში გასათვალისწინებელი საქმიანობები;
- პანკისის ხეობის განვითარების 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმაში ცესკოს კომპეტენციის ფარგლებში გასათვალისწინებელი საქმიანობები;
- სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2018 წლის სამოქმედო გეგმაში ცესკოს კომპეტენციის ფარგლებში გასათვალისწინებელი საქმიანობები.

ფინანსთა სამინისტროს

- 2017 წლის ბუღალტრული ინფორმაცია (ბალანსი);
- 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში (ექვსი თვის ბუღალტრული ინფორმაცია, III და IV კვარტლების ბიუჯეტის შესრულების ანგარიში).

საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს

- საქართველოს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის შესაბამისად ცესკოს მიერ 2016 წლის საქმიანობის ანგარიში.

საარჩევნო ადმინისტრაციისა და ცესკოს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციის შიდა აუდიტი

შიდა აუდიტის დეპარტამენტმა, შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტი ჩაატარა ამომრჩეველთა სიების ფორმირებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების, სარეგისტრაციო და ადმინისტრაციული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტებში. ასევე, აუდიტი ჩატარდა N6 სამგორის, N58 წყალტუბოსა და N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიებში. შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად გამოკვეთილი საჭიროებებიდან გამომდინარე შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები, რომლებიც წარედგინა ცესკოს ხელმძღვანელობას.

ორგანიზაციული რისკების მართვის დოკუმენტი

საარჩევნო ადმინისტრაციის ორგანიზაციული რისკების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შექმნის მიზნით ცესკოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა მოახდინა სტრუქტურული ერთეულების ორგანიზაციული რისკების დეტალური ანალიზი. ცესკოს სტრუქტურული ერთეულებიდან ორგანიზაციული რისკების იდენტიფიცირების, შეფასებისა და მართვის ფორმის შევსების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე განისაზღვრა 24 საერთო რისკი. პარალელურად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საარჩევნო ადმინისტრაციის საერთო რისკების განსაზღვრის, შეფასების, ანალიზისა და მათი პრევენციის მექანიზმების ჩამოყალიბების შესახებ. ორგანიზაციული რისკების მართვის დოკუმენტი ხელმისაწვდომია მხოლოდ შიდა ორგანიზაციული მიზნებისთვის.

ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებით არსებული პროცედურების მონიტორინგის ანალიზი

ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარების მიზნით ცესკოში შექმნილმა ინფორმაციული უსაფრთხოების საბჭომ განაახლა „საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი“.

ინფორმაციული უსაფრთხოების გაუმჯობესების მიმართულებით რისკების მართვის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად შემუშავდა „ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვის მეთოდოლოგია“, რომლის მიხედვით უსაფრთხოების მიმართულებით გამოვლინდა არსებული სისუსტეები და საფრთხეები და დაიგეგმა მათი პრევენციისთვის განსახორციელებელი საქმიანობა.

ორგანიზაციული სტრუქტურის ეფექტიანობის შეფასების სისტემა

ცესკოს სტრუქტურული ერთეულებისა და შესაბამის თანამდებობათა გარდაქმნის მიზნით ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტმა განახორციელა ცესკოს აპარატის სტრუქტურის ანალიზი[7]. ანალიზის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები წარედგინა ცესკოს ხელმძღვანელ პირებსა და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს. ცესკოს აპარატის სტრუქტურის ეფექტურობის შეფასების შედეგები და სტრუქტურის გარდაქმნის პროცესი აისახა შესაბამის ოქმში და გაფორმდა ცესკოს შესაბამისი სამართლებრივი აქტებით.

ორგანიზაციული სტრუქტურის შეფასების დროს გათვალისწინებული იყო სხვადასხვა საკანონმდებლო მოთხოვნები. შემუშავდა ახალი საშტატო ნუსხა, განისაზღვრა თანამდებობრივი სარგოები საქართველოს კანონის „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“[8].

7 ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტმა განახორციელა ცესკოს აპარატის სტრუქტურის ანალიზი საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 125-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის N215 დადგენილების „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ შესაბამისად.

8 საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ ამოქმედდება 2018 წლის პირველ იანვარს.

საარჩევნო ადმინისტრაციის თანამდებობათა გარდაქმნა

საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ ამოქმედებასთან დაკავშირებით, ადამიანური რესურსების მართვისა და იურიდიული დეპარტამენტების მიერ ცესკოს აპარატის თანამდებობათა გარდაქმნასთან დაკავშირებით შესწავლილ იქნა ცესკოს ყველა სამართლებრივი აქტი, რომელიც გარდაქმნის საფუძველზე საჭიროებდა ცვლილებების განხორციელებას და მომზადდა შესაბამისი გზამკვლევი. მომზადდა გარდაქმნის ოქმი.[9] მომზადდა სამართლებრივი აქტები და დაიდო ახალი ხელშეკრულებები შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებთან.

მომზადდა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის განახლებული შინაგანაწესი, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის პირველი სექტემბრიდან.

საარჩევნო ადმინისტრაციის შიდა კომუნიკაციის სისტემა

საარჩევნო ადმინისტრაციაში შიდა კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტმა შეიმუშავა შიდა საინფორმაციო პორტალის ტექნიკური დავალება, რომლის საფუძველზეც ამომრჩეველთა სიების ფორმირებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტმა შექმნა პორტალის სადემონსტრაციო ვერსია, რომელიც ტესტირების რეჟიმში ამუშავდა.

მნიშვნელოვანია, რომ ცესკოს აპარატში მიმდინარეობს ბიზნეს პროცესების ელექტრონული მართვის სისტემის დანერგვის ბოლო ეტაპი. მომზადებულია ბიზნეს პროცესების ელექტრონული მართვის სისტემის საინფორმაციო პორტალის ტექნიკური დავალება, რომელიც გახდება ცესკოს აპარატის შიდა საინფორმაციო პორტალის შემადგენელი ნაწილი.

საოლქო საარჩევნო კომისიებში ფინანსური მენეჯმენტის გაუმჯობესება

საარჩევნო ადმინისტრაციის ეფექტიანი საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკისა და საოლქო საარჩევნო კომისიების ფინანსური მენეჯმენტის გასაუმჯობესებლად, შესწავლილ იქნა საქართველოს პარლამენტის 2016 წლის არჩევნებისთვის საოლქო საარჩევნო კომისიების ფინანსური საქმიანობა. აღნიშნულის გათვალისწინებით განახლდა სახელმძღვანელო ინსტრუქცია „საოლქო საარჩევნო კომისიების ფინანსური მენეჯმენტი“, კერძოდ დოკუმენტს დაემატა საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საბიუჯეტო განაცხადის შედგენისა და ცესკოში წარმოდგენის წესი. ინსტრუქციის გაცნობის მიზნით საფინანსო დეპარტამენტმა საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირებისთვის ჩაატარა ინსტრუქტაჟი.

ინსტრუქციის განახლებამ და მასში მოქმედი რეგულაციების, სიახლეების ასახვამ ხელი შეუწყო გადაცდომების/ხარვეზების მინიმუმამდე დაყვანასა და საოლქო საარჩევნო კომისიების ფინანსური მენეჯმენტის გაუმჯობესებას.

9 ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტმა მოამზადა გარდაქმნის ოქმი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 125-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის N215 დადგენილების, „საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ” ცესკოს 2015 წლის 25 ნოემბრის N54/2015 დადგენილებისა და „საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოებისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ“ ცესკოს 2017 წლის 28 ივნისის N51/2017 განკარგულების საფუძველზე.

საოლქო საარჩევნო კომისიების დაფინანსების წესის განახლება

საოლქო საარჩევნო კომისიების დაფინანსების წესი ყოველი არჩევნებისთვის მტკიცდება ცესკოს დადგენილებით. დადგენილებას დანართის სახით ახლავს სპეციალური ფორმა, რომლის შესაბამისად საოლქო საარჩევნო კომისიები ახორციელებენ ფინანსების მართვას. საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების დროს გამოკვეთილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად განახლდა საოლქო საარჩევნო კომისიების დაფინანსების წესი.

საფინანსო დეპარტამენტმა შეიმუშავა საოლქო საარჩევნო კომისიების საბიუჯეტო განაცხადის პროექტი, რომელიც საოლქო საარჩევნო კომისიება სატესტო რეჟიმში შეავსეს და წარმოადგინეს შენიშვნებთან ერთად. წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზის შემდეგ, მომზადდა საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის საბიუჯეტო განაცხადის ფორმები და დადგინდა ცესკოში წარდგენის ვადები, ასევე, საოლქო საარჩევნო კომისიების დაფინანსების ზღვრული საორიენტაციო მოცულობები/ჭერები.

საოლქო საარჩევნო კომისიებს დაევალა შევსებული საბიუჯეტო განაცხადის ფორმების ცესკოში წარმოდგენა ზღვრული მოცულობების ფარგლებში, ხოლო ზღვრული მოცულობის ზემოთ თანხის გამოყოფის შემთხვევაში, დასაბუთებული მოთხოვნის წარმოდგენა. საფინანსო დეპარტამენტმა დაამუშავა მიღებული ინფორმაცია და მოამზადა 2013-2016 წლების საოლქო საარჩევნო კომისიების ხარჯების სტატისტიკა, რის საფუძველზე შემუშავდა და დამტკიცდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2017 წლის არჩევნებისთვის საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესი[10].

2017 წლამდე საოლქო საარჩევნო კომისიების დაფინანსების წესი არ ითვალისწინებდა ზემოთ აღწერილ ეტაპებს. 2017 წელს, პირველად საოლქო საარჩევნო კომისიების ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესი დაეფუძნა მათ მიერ წარმოდგენილ საბიუჯეტო განაცხადს და დაფინანსების საორიენტაციო მოცულობის/ჭერების დადგენას. წესმა ხელი შეუწყო როგორც საოლქო საარჩევნო კომისიების საარჩევნო ბიუჯეტების დაგეგმვის, ისე მათთვის გამოყოფილი დაფინანსებების მონიტორინგის პროცესების გაუმჯობესებას.

ადმინისტრაციის ქონების/მარაგების ელექტრონულ ფორმატში აღრიცხვის სისტემა

საოლქო საარჩევნო კომისიებში ქონების/მარაგების ელექტრონულ ფორმატში აღრიცხვის სისტემის შესაძლებლობის გამოსავლენად გაკეთდა SWOT ანალიზი, სადაც იყო წარმოდგენილი მარაგების აღრიცხვის პროგრამით უზრუნველყოფის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები. აღნიშნული საქმიანობის განხორციელებისთვის შექმნილმა სამუშაო ჯგუფის და აღრიცხვის პროგრამის მომწოდებელთან კონსულტაციების შედეგად, მომზადდა შესწავლის დოკუმენტი. დოკუმენტის მიხედვით დადგინდა, რომ ამ ეტაპზე საოლქო საარჩევნო კომისიებში მარაგების აღრიცხვის პროგრამის დანერგვა არ არის მიზანშეწონილი.

10 ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2017 წლის არჩევნებისთვის საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესის შესაბამისად ზოგიერთი ღონისძიება განისაზღვრა ცესკოს 2017 წლის 13 ივნისის N10/2017დადგენილებით.

საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა (eDocument)

ცესკოს აპარატში დოკუმენტბრუნვა ხორციელდება საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის მეშვეობით. საანგარიშო პერიოდში ცესკოს სარეგისტრაციო და ადმინისტრაციული დეპარტამენტის მიერ უზრუნველყოფილ იქნა: შემოსული – 5 792, გასული – 2 384, ხოლო შიდა ორგანიზაციული – 1 445 კორესპონდენციის რეგისტრაცია.

ცესკოს არქივში არსებული დოკუმენტების ორიგინალების ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა, დოკუმენტების ელექტრონული არქივის პროგრამაში ინტეგრაცია

საარჩევნო ადმინისტრაციის ინსტიტუციური მეხსიერების სრულყოფისა და მუდმივშესანახი დოკუმენტაციის ერთიანი ბაზის წარმოების მიზნით საარჩევნო ადმინისტრაციის 2017 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული 10 000 დოკუმენტის ნაცვლად ელექტრონული არქივის პროგრამაში ელექტრონულ ფორმატში გადაყვანილი და ინტეგრირებული იყო 11 681 დოკუმენტი. სარეგისტრაციო და ადმინისტრაციული დეპარტამენტის მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგად, ელექტრონული არქივის პროგრამაში შესაძლებელია შემდეგი შვიდი დასახელების 49 921 დოკუმენტის მოძიება:

N	დოკუმენტის დასახელება	დოკუმენტის შედგენის წლები	დოკუმენტის რაოდენობა
1	ცესკოს დადგენილება	1995-2016	1 259
2	ცესკოს განკარგულება	2000-2016	4 678
3	ცესკოს თავმჯდომარის განკარგულება	2001-2016	1 620
4	ცესკოს თავმჯდომარის ბრძანება	2001-2016	7 559
5	ცესკოს მდივნის განკარგულება	2006-2016	3 894
6	ცესკოს სხდომის ოქმი	1999-2016	1 146
7	არჩევნების შემაჯამებელი ოქმები	2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები	3 733
		2012 წლის საპარლამენტო არჩევნები	7 774
		2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები	6 002
		2010 წლის ქ. თბილისის მერის არჩევნები	829
		2008 წლის საპარლამენტო არჩევნები	3 307
		2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები	6 188
		2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნები	1932 (მიმდინარე)
		ჯამი	**49 921**

არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების დოკუმენტაციის ელექტრონული რეესტრი

არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების შესახებ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ცესკოში შექმნილია და ვებგვერდზე განთავსებულია[11] ინფორმაციული ელექტრონული რეესტრი. სარეგისტრაციო და ადმინისტრაციული დეპარტამენტის მიერ, 2017 წელს დამუშავდა და აღნიშნულ რეესტრს დაემატა საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2014 წლის 15 ივნისისა და საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების დოკუმენტაცია.

საარჩევნო დოკუმენტაციის ინფორმაციის ვებგვერდზე გამოსაქვეყნებლად, ამომრჩეველთა სიების ფორმირებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტიმა შექმნა სპეციალური მოდული, რომლის მიხედვით დამუშავდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების დოკუმენტაცია.

ასევე, ვებგვერდზე განთავსდა ადგილობრივი/საერთაშორისო დამკვირვებელი/მედია ორგანიზაციების საძიებო ელექტრონული სისტემა. საანგარიშო პერიოდში საძიებო პროგრამაში ინტეგრირებულია საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის, საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2014 წლის 15 ივნისისა და საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის რეგისტრირებული პარტიების/ბლოკების წესდებები და პარტიული სიები.

11 არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების დოკუმენტაციის რეესტრი იხილეთ ბმულზე: http://partylists.cec.gov.ge/.

მიზანი 2: ადამიანური რესურსების განვითარება

ადამიანური რესურსების განვითარების მიმართულებით განისაზღვრა ტრენინგების პოლიტიკა და გეგმა, შეიქმნა თანამშრომელთა გადამზადების სისტემა, ჩატარდა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სასერტიფიკაციო გამოცდები.

მნიშვნელოვანი შედეგია ცესკოს აპარატის თანამდებობათა გარდაქმნა, რომელიც საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ ამოქმედებასთან დაკავშირებით განხორციელდა.

თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა პროფესიული განვითარების უწყვეტი პროცესის უზრუნველსაყოფად ცესკომ შეიმუშავა და დაამტკიცა ტრენინგების პოლიტიკის დოკუმენტი. 2017 წლის იანვარში ჩატარდა ტრენინგების საჭიროებების ანალიზი, რომელთა გათვალისწინებით ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცდა ტრენინგების გეგმა.[12] 2017 წელს ჩატარდა შვიდი ტრენინგი/სამუშაო შეხვედრა, მონაწილეობა მიიღო 51-მა თანამშრომელმა.

N	ტრენინგის დასახელება	განმახორციელებელი ორგანიზაცია	ცესკოს სტრუქტურული ერთეული	მონაწილეთა რაოდენობა
1	სახელმწიფო შესყიდვების სასწავლო კურსი	სსიპ-სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო;	საფინანსო დეპარტამენტი საოლქო საარჩევნო კომისია	16
2	საჯარო მოხელეების ტრენინგი საჯარო პოლიტიკის შემუშავებისა და გადაწყვეტილების მიღების სფეროში	საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი; ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს/ ადამიანური და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება 2020 პროექტი (HICD 2020); Mendez England & Associates (ME&A); სსიპ-საჯარო სამსახურის ბიურო	ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი	1

12 თანამშრომელთა განვითარების/ტრენინგების გეგმა დამტკიცდა ცესკოს თავმჯდომარის 2017 წლის 16 თებერვლის N01-08 ბრძანებით.

3	სამუშაო შეხვედრა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატთან	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი	ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი იურიდიული დეპარტამენტი სარეგისტრაციო და ადმინისტრაციული დეპარტამენტი ამომრჩეველთა სიების ფორმირებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი	10
4	მრავალფეროვნების მართვის სემინარი	ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამა (PITA); საქართველოს გაეროს ასოციაცია (UNAG); ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო; პარტნიორები – საქართველო	სწავლების ცენტრი ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი	2
5	საარჩევნო ადმინისტრაციების შესაძლებლობების განვითარების პროგრამა	მსოფლიო საარჩევნო ადმინისტრაციების ასოციაცია	შიდა აუდიტის დეპარტამენტი	2
6	ზამთრის სკოლა „ხმის მიცემის ახალი ტექნოლოგიები“	ევროპის საბჭო	ამომრჩეველთა სიების ფორმირებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი	2
7	თანამშრომელთა მენტორობა და სწავლება	პარტნიორები – საქართველო	ყველა დეპარტამენტი სწავლების ცენტრი	18




ცესკოს თანამშრომლები დაესწრნენ კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებს

საარჩევნო ადმინისტრაციის შესარჩევი კონკურსების ადმინისტრირება

კვალიფიციური ადამიანური რესურსების შესარჩევად ჩატარდა ცესკოს აპარატის მოხელეთა და სტაჟიორთა, ასევე საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა შესარჩევი შემდეგი კონკურსები.

კონკურსის დასახელება	ვაკანსიების რაოდენობა	კონკურსანტთა რაოდენობა	შერჩეულთა რაოდენობა
ცესკოს აპარატი	5	490	5
სტაჟირება ცესკოს აპარატში ექვსი სტრუქტურული ერთეული	38	1 622	38
საოლქო საარჩევნო კომისიები მუდმივმოქმედი წევრები	134	402	132 (მიმდინარეობს ორი კონკურსი)
საოლქო საარჩევნო კომისიები დროებითი წევრები	73	134	73

საორიენტაციო პროგრამა ახალი თანამშრომლებისა და სტაჟიორებისთვის

ცესკოში დანერგილი სისტემის შესაბამისად კონკურსის შედეგად შერჩეულ 74 ახალი თანამშრომლისთვისა და სტაჟიორისთვის ჩატარდა ხუთი საორიენტაციო პროგრამა. ახალი თანამშრომლები გაეცნენ საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის სტანდარტის, ადმინისტრაციული პროცედურებს, ეთიკის კოდექსსა და შინაგანაწეს.სწავლების ცენტრმა საარჩევნო ადმინისტრაციის ახალი თანამშრომლებისა და სტაჟიორებისთვის განახორციელა საორიენტაციო პროგრამა „არჩევნების მიმოხილვა და პროცედურების ზოგადი სასწავლო კურსი“. სწავლების ცენტრში ჩატარდა ორი საორიენტაციო პროგრამა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 31-მა პირმა.




საორიენტაციო პროგრამა ახალი თანამშრომლებისა და სტაჟიორებისთვის

მენტორინგის ინსტიტუტის შექმნა

ცესკოს აპარატში მენტორინგის ინსტიტუტის შექმნის პირველ ეტაპზე გაიმართა ტრენინგი „თანამშრომელთა მენტორობა და სწავლება“, რომელსაც ცესკოს პრეს-სპიკერი, ცესკოს სტრუქტურული ერთეულებისა და სწავლების ცენტრის ხელმძღვანელი პირები დაესწრნენ. სწავლება არასამთავრობო ორგანიზაციის „პარტნიორები – საქართველო“ ტრენერებმა ჩაატარეს. ტრენინგის მონაწილეებმა გაიარეს შემდეგი მოდულები: მენტორის ფუნქციები და ამოცანები, მენეჯერის მენტორობისთვის საჭირო უნარები და პიროვნული თავისებურებები, ეფექტური მენტორობისთვის აუცილებელი პირობები.

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირება

სწავლების ცენტრმა, საქართველოს მოქალაქეების საარჩევნო კანონმდებლობის ცოდნის დონის დადგენისა და შემდგომში კვალიფიციური ადამიანური რესურსების შესარჩევად უზრუნველყო ორი სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარება[13]: 2017 წლის 27 თებერვლიდან – 19 აპრილამდე და 30 მაისიდან – 14 ივლისამდე.



საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სასერტიფიკაციო გამოცდა

2017 წლის სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის სწავლების ცენტრმა მოამზადა 2 521 საგამოცდო ტესტი, რომელიც თანდართული პასუხებით, წინასწარი საჯარო გაცნობისთვის გამოქვეყნდა ცესკოსა და სწავლების ცენტრის ვებგვერდებზე.[14]

13 სწავლების ცენტრი საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სასერტიფიკაციო გამოცდას ატარებს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.


14 საგამოცდო ტესტები მოიცავდა შემდეგ საკითხებს: საქართველოს კონსტიტუცია – 600 საკითხი; საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ – 1800 საკითხი; ზოგადი უნარები (ვერბალური ნაწილი) – 100 საკითხი; ზოგადი უნარები (მათემატიკური ნაწილი) – 21 საკითხი (ნიმუშის სახით).

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების გამოცდის ჩაბარების მსურველთა რეგისტრაცია განხორციელდა ელექტრონული ფორმით on-line რეჟიმში.[15] გამოცდები ჩატარდა ელექტრონული ტესტირების მეთოდით, თითოეული გამოსაცდელისთვის, შემთხვევითი შერჩევის მეთოდით შეირჩეოდა 30 საგამოცდო ტესტი. გამსვლელი 24 ქულის დაგროვების შემთხვევაში, გამოსაცდელს ადგილზე გადაეცემოდა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სასერტიფიკაციო გამოცდის ტექნიკურად გამართულად ჩატარება უზრუნველყო ამომრჩეველთა სიების ფორმირებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტმა. სწავლების ცენტრმა გამოცდების შესახებ დაამზადა საინფორმაციო რგოლი, რომლებიც განთავსდა ცესკოსა და სწავლების ცენტრის ვებგვერდებზე, სოციალურ ქსელში და ექვსი ტელეკომპანიის ეთერში. ვიდეო რგოლი ითარგმნა ეთნიკური უმცირესობების ენებზე (აზერბაიჯანული და სომხური), ასევე გაშუქდა სურდოთარგმანის თანხლებით.

გამოცდების მიმდინარეობას დააკვირდა ორი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია.[16]

2017 წელს ჩატარებული საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის ორი სასერტიფიკაციო გამოცდის შედეგები:



5,337
დარეგისტრირდა

1,749
გამოცხადდა

430
გამოცდა წარმატებით ჩააბარა და საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი მიიღო

15 on-line რეჟიმში რეგისტრაცია განხორციელდა ცესკოს 2012 წლის 9 მარტის N13/2012 დადგენილებით დამტკიცებული „საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების შესახებ“ დებულების თანახმად, სწავლების ცენტრის ვებგვერდზე, ბმულზე: http://registration.cec.gov.ge/.

16 საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სასერტიფიკაციო გამოცდებს დააკვირდა ორი ორგანიზაცია: ააიპ „საზოგადოებრივი დამცველი“(3 დამკვირვებელი) და ააიპ „დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი“ (2 დამკვირვებელი).

თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევა

2017 წელს საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა და მათი ოჯახის წევრთა ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით, თანამშრომელთა უმრავლესობის სურვილითა და თანხმობით, შეირჩა სადაზღვევო კომპანია „არდი“. დაზღვეულთა რაოდენობამ შეადგინა – 711, მათ შორის საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელი – 447 და მათი ოჯახის წევრი – 264.

თანამშრომელთა დროის დაზოგვის მიზნით ცესკომ უზრუნველყო სადაზღვევო კომპანიის ოჯახის ექიმებისთვის სამუშაო პირობების შექმნა ცესკოს შენობაში.

კონფერენციებში, ტრენინგ-პროგრამებსა და სამუშაო შეხვედრებში თანამშრომელთა მონაწილეობა

სხვა ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციებთან თანამშრომლობის, საკონსულტაციო მომსახურების გაწევისა და საარჩევნო პროცესების მართვის შესახებ გამოცდილების გაზიარების მიზნით ცესკოს წევრებმა, აპარატის თანამშრომლებმა, საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებმა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს 15 საერთაშორისო კონფერენციასა და სამუშაო შეხვედრაში.

თარიღი	თემატიკა	ორგანიზატორი ორგანიზაცია/ქვეყანა
03-15 აპრილი	ტრენინგ-პროგრამა ხმის მიცემისა და დათვლის პროცედურებთან დაკავშირებით არსებული შესაძლებლობების გაზიარება და განვითარება	მსოფლიო საარჩევნო ადმინისტრაციების ასოციაცია/სამხრეთ კორეა
04-10 მაისი	სეულის არჩევნების საერთაშორისო ფორუმი	კორეის საარჩევნო ადმინისტრაცია/კორეა
8-12 მაისი	გრძელვადიან დამკვირვებელთა მერვე საერთაშორისო ტრენინგი	ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი /ბოსნია ჰერცეგოვინა
25-26 მაისი	მეთოთხმეტე საერთაშორისო საარჩევნო სიმპოზიუმი	საპარლამენტო სწავლებების საერთაშორისო ცენტრი/შრი-ლანკა
13-14 ივნისი	კიბერ-უსაფრთხოება და არჩევნები	დემოკრატიისა და საარჩევნო ხელშეწყობის საერთაშორისო ინსტიტუტი/ნიდერლანდები
13-14 ივნისი	მრგვალი მაგიდა „არჩევნები და კიბერ-უსაფრთხოება“	დემოკრატიის და საარჩევნო ხელშეწყობის საერთაშორისო ინსტიტუტი/ნიდერლანდები
24-25 ივნისი	სემინარი „საარჩევნო ტრენინგები“	ინდოეთის საარჩევნო კომისიის საარჩევნო მართვისა და დემოკრატიის საერთაშორისო ინსტიტუტი, დემოკრატიისა და საარჩევნო მხარდაჭერის საერთაშორისო ინსტიტუტი/ინდოეთი
1-2 სექტემბერი	საარჩევნო ადმინისტრაციების ასოციაციის მე-3 გენერალურ ასამბლეა საერთაშორისო კონფერენცია „ბიულეტენების დათვლა და არჩევნების შედეგები – ახალი ტექნოლოგიების გამოყენება საარჩევნო პროცესების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად“.	რუმინეთის საარჩევნო კომისია/რუმინეთი

16-17 ოქტომბერი	მრგვალი მაგიდა „არჩევნებში გენდერული თანასწორობისა და ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით საარჩევნო ადმინისტრაციის გამოცდილება და კარგი პრაქტიკა“	მოლდოვას საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენინგ ცენტრი, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)/მოლდოვა
8-10 ნოემბერი	ევროპის საარჩევნო მოხელეთა ასოციაციის 26-ე ყოველწლიური კონფერენცია	ევროპის საარჩევნო მოხელეთა ასოციაცია (ACEEEO)/ბულგარეთი
9-10 ნოემბერი	საერთაშორისო კონფერენცია „ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება საარჩევნო პროცესში – დემოკრატიული არჩევნების მთავარი გამოწვევა“	ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, ვენეციის კომისია, ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესი/ინგლისი
15 ნოემბერი	საერთაშორისო კონფერენცია „საარჩევნო ადმინისტრაციის სისტემა და გაუმჯობესების გზები“	უკრაინის საარჩევნო ადმინისტრაცია, ევროსაბჭო, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი და უკრაინაში ეუთოს წარმომადგენლობა/უკრაინა
28 ნოემბერი	საერთაშორისო კონფერენცია „არჩევნებზე დაკვირვება და საარჩევნო პროცესებში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება“	ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისი/ავსტრია
27 ნოემბერი- 1 დეკემბერი	სასწავლო კურსი გრძელვადიანი დამკვირვებლებისთვის	ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი/სარაევო
5-6 დეკემბერი	საარჩევნო საკითხთა მე-15 საერთაშორისო სიმპოზიუმში	საპარლამენტო სწავლებების საერთაშორისო ცენტრი და იორდანიის დამოუკიდებელი საარჩევნო კომისია/ იორდანია









ცესკოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო კონფერენციებში

სადამკვირვებლო მისიებში თანამშრომელთა მონაწილეობა

საარჩევნო ადმინისტრაციისა და სწავლების ცენტრის თანამშრომლები საერთაშორისო დამკვირვებლის სტატუსით დააკვირდნენ რვა სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებულ შემდეგ არჩევნებს:

- საფრანგეთის პრეზიდენტის არჩევნები;
- სომხეთის პარლამენტის არჩევნები;
- კორეის პრეზიდენტის არჩევნები;
- ლატვიის მუნიციპალური (ადგილობრივი) არჩევნები;
- დიდი ბრიტანეთის ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები;
- ყაზახეთის პარლამენტის სენატის არჩევნები;
- ეკვადორის საერთო არჩევნები;
- ყირგიზეთის საპრეზიდენტო არჩევნები.

სადამკვირვებლო მისიებში მონაწილეობის შემდეგ, მონაწილეები წარადგენენ ანგარიშებს, სადაც აღწერილია მიღებული გამოცდილება, დამყარებული კონტაქტები და სამომავლო რეკომენდაციები. სადამკვირვებლო მისიებში მონაწილეობის ორგანიზებას უზრუნველყოფს ცესკოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი.





საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მონაწილეობა სადამკვირვებლო მისიებში

საქართველოში ჩატარებული კონფერენციები და სამუშაო შეხვედრები

კონფერენცია „2016 წლის არჩევნები: მიღებული გამოცდილება და სამომავლო გეგმები“

2017 წლის 13 მარტს, ევროპის საბჭოს 2016-2019 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდისა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით გაიმართა კონფერენცია თემაზე „2016 წლის არჩევნები: მიღებული გამოცდილება და სამომავლო გეგმები“. ჩართულმა მხარეებმა იმსჯელეს საარჩევნო კანონმდებლობისა და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე, ასევე საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებლების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების ეფექტიანი გზების შესახებ და საარჩევნო პროცესების გაუმჯობესების შესაძლებლობებზე. შეხვედრის დროს, ასევე, განხილულ იქნა 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისთვის შესაძლო გამოწვევების თავიდან არიდების გზები.




კონფერენცია “2016 წლის არჩევნები: მიღებული გამოცდილება და სამომავლო გეგმები”

ფორუმი „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“

2017 წლის 28 სექტემბერს, სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივის“ პროექტის ფარგლებში გამართულ ფორუმში. პროექტის მიზანი იყო საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების გარემოს გაუმჯობესების, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაძლიერების, მათი ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებისა და სხვა ჩართულ მხარეებთან კავშირების განმტკიცების ხელშეწყობა.

სამუშაო შეხვედრა საერთაშორისო კონსორციუმის (CEPPS) დელეგაციასთან

2017 წლის 22 მაისს, ცესკოში გაიმართა ცესკოს ხელმძღვანელი პირების შეხვედრა არჩევნებისა და პოლიტიკური პროცესების გაძლიერებაზე ორიენტირებული საერთაშორისო კონსორციუმის წარმომადგენლებთან, რომლებიც ახორციელებდნენ საპილოტე კვლევას ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებასთან დაკავშირებით. შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს საარჩევნო კამპანიის დროს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ.

რეგიონული კონფერენცია „ფული პოლიტიკაში“

2017 წლის 19 ივნისს, ცესკოს თავმჯდომარემ მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, ევროპის საბჭოს, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის, დემოკრატიისა და საარჩევნო მხარდაჭერის საერთაშორისო ინსტიტუტის, საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდისა და ნიდერლანდების ინსტიტუტის მრავალპარტიული დემოკრატიისთვის ერთობლივად ორგანიზებულ რეგიონულ კონფერენციაში თემაზე „ფული პოლიტიკაში“. კონფერენციის მიზანი იყო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკური პარტიების მონიტორინგისა და ანტიკორუფციული სამსახურების, სამოქალაქო საზოგადოებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების მიერ პოლიტიკური ფინანსების სფეროში არსებული პრობლემური საკითხების იდენტიფიცირება და გამოცდილების გაზიარება, ასევე არსებული ხარვეზებისა და მონიტორინგის გაუმჯობესების გზების გამოვლენა.





რეგიონული კონფერენცია „ფული პოლიტიკაში“.

საერთაშორისო კონფერენცია „დიალოგი არჩევნების სანდოობის გაღრმავების შესახებ“

2017 წლის 30 ივნისს, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის და ადგილობრივი საარჩევნო დამკვირვებლების გლობალური ქსელის (GNDEM) ორგანიზებით, ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „დიალოგი არჩევნების სანდოობის გაღრმავების შესახებ“. კონფერენციაზე ცესკოს თავმჯდომარემ საარჩევნო ადმინისტრაციის მიღწევებსა და გამოწვევებზე, საარჩევნო ადმინისტრაციებსა და დამკვირვებელ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობაზე, ამომრჩეველთა სიის ფორმირებასა და გამჭვირვალობაზე, ასევე ამ მიმართულებით ცესკოს მიერ განხორციელებულ ინოვაციურ პროექტებზე ისაუბრა. კონფერენციას 25 ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაციების, საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ.





საერთაშორისო კონფერენცია „დიალოგი არჩევნების სანდოობის გაღრმავების შესახებ“

სამუშაო შეხვედრა მსოფლიო საარჩევნო ადმინისტრაციების ასოციაციის (A-WEB) დელეგაციასთან

2017 წლის 30 ივნისს გაიმართა ცესკოს ხელმძღვანელი პირების შეხვედრა მსოფლიო საარჩევნო ადმინისტრაციების ასოციაციის გენერალურ მდივანთან. შეხვედრის დროს მხარეებმა იმსჯელეს არჩევნების ორგანიზების მიმართულებით სამომავლო თანამშრომლობის გეგმების შესახებ.

სამუშაო შეხვედრა არჩევნების უსაფრთხოების საკითხებზე

2017 წლის 26 ივლისს, ცესკომ და სწავლების ცენტრმა, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის მხარდაჭერით, გამართეს სამუშაო შეხვედრა „არჩევნების უსაფრთხოება“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელ პირებთან. მხარეებმა იმსჯელეს ადგილობრივი

თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების მშვიდ და თავისუფალ გარემოში ჩასატარებლად განსახორციელებელი ღონისძიებების, უსაფრთხოების საკითხთან დაკავშირებით სასწავლო პროექტების შემუშავება/განახლების შესახებ. შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს ცესკოსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის მემორანდუმის შემუშავების საკითხი.

კონფერენცია „2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მიღებული გამოცდილება და სამომავლო ნაბიჯები 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის“

ცესკოსა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მიერ ჩატარებულ კონფერენციაში „2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მიღებული გამოცდილება და სამომავლო ნაბიჯები 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის“. კონფერენციის მონაწილეებმა განიხილეს წინასაარჩევნო პერიოდში, კენჭისყრის დღეს და შემდგომ პერიოდში გამოვლენილი დარღვევები, არჩევნებში ჩართული უწყებების საქმიანობა, ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა.





„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მიერ ორგანიზებული კონფერენცია

კონფერენცია „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ამოცანები“

2017 წლის 11 დეკემბერს, ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ საქართველოს მთავრობისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის ერთობლივ კონფერენციაში „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ამოცანები“ მიიღო მონაწილეობა. კონფერენციის მთავარი თემები იყო: თვითმმართველობის რეფორმა, საარჩევნო სისტემები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების შედეგები.





კონფერენცია „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ამოცანები“

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ცესკოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2017 წლის არჩევნების უსაფრთხო და მშვიდ გარემოში ჩასატარებლად, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის ხელშეწყობით, ცესკოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.[17] მემორანდუმის ხელმოწერამ ხელი შეუწყო ერთი მხრივ, არჩევნების უსაფრთხო, მშვიდ გარემოში ჩატარებას და მეორე მხრივ, საარჩევნო პერიოდში ერთობლივი ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას.



ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნებისთვის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ

ცესკოს, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიასა და ათ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციას შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი[18], რომელსაც ერთი პოლიტიკური პარტია შეუერთდა. დოკუმენტზე ხელმომწერი მხარეები, საარჩევნო კოდექსში 45-ე, 48-ე, 49-ე მუხლების ერთგვაროვან განმარტებაზე შეთანხმდნენ და დაადასტურეს, რომ წინასაარჩევნო აგიტაციასთან მიმართებაში, ასევე ადმინისტრაციული და სასამართლო საქმის წარმოების დროს მემორანდუმში მითითებული განმარტებებით იხელმძღვანელებდნენ. მემორანდუმი საარჩევნო ადმინისტრაციისა და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციების სამუშაო შეხვედრების საფუძველზე საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან თანამშრომლობით შემუშავდა.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციისა და ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციათა ქცევის კოდექსი

2017 წლის 27 სექტემბერს, საარჩევნო ადმინისტრაციისა და 31 ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის წარმომადგენელმა ხელი მოაწერეს ქცევის კოდექსს. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2017 წლის არჩევნების სამართლიანად და გამჭვირვალედ ჩატარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით, არჩევნების საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტებითა და აღნიშნული ქცევის კოდექსით იხელმძღვანელებენ.

17 ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ცესკოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის იხილეთ ბმულზე: http://cesko.ge/res/docs/Memorandumi19.09.2017.pdf.

18 მემორანდუმი წინასაარჩევნო აგიტაციასთან და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ იხილეთ ბმულზე: http://cesko.ge/res/docs/Memorandum.pdf.

მიზანი 3: ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისთვის მნიშვნელოვანია გამართული ინფრასტრუქტურის არსებობა. 2017 წელს განხორციელდა საარჩევნო ადმინისტრაციაში არსებული ქონების აღრიცხვა, საარჩევნო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა, ყველა საარჩევნო ოლქის VPN ქსელით უზრუნველყოფა, არჩევნების მართვის ელექტრონული სისტემა „არმასის“ სრულყოფა და სხვა საქმიანობები. შეიქმნა და მიმდინარეობს მუშაობა ინოვაციური პროგრამების შემუშავებაზე, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს და გაამარტივებს საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობას.

მნიშვნელოვანი შედეგია საარჩევნო სუბიექტების ელექტრონული რეგისტრაციის პროგრამის შექმნა.

საოლქო საარჩევნო კომისიების VPN ქსელით უზრუნველყოფა

საოლქო საარჩევნო კომისიებთან ელექტრონული კავშირის გაუმჯობესებისთვის 2017 წლის 1 ივლისს 51 საოლქო საარჩევნო კომისიაში კომპანია „სილქნეტმა“ შეიყვანა ოპტიკური ხაზი. ინტერნეტის მიწოდება უფრო სტაბილური და მდგრადი გახდა. აღნიშნულის გამო შეიცვალა არსებული VPN კავშირებისთვის გამოყენებული აპარატურის კონფიგურაცია.

სერვერული ნაწილის განახლება და მოცულობითი ინფორმაციის შენახვის შესაძლებლობის გაზრდა

საანგარიშო პერიოდში საგრძნობლად გაძლიერდა ცესკოს სასერვერო პარკი. ევროსაბჭოს დაფინანსებით პროექტი „პოლიტიკური პარტიების, საარჩევნო სუბიექტების, კანდიდატების, წარმომადგენლების ელექტრონული რეგისტრაციის პროგრამის“ ფარგლებში შეძენილ იქნა ორი ახალი სერვერი, ხოლო შემდგომ დამატებით შეძენილ იქნა დიდი მოცულობის მონაცემთა საცავი, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მოცულობითი ინფორმაციის შენახვის შესაძლებლობები.

ელექტრონული რეგისტრაციების პროგრამა

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნებისთვის ცესკოს ინიციატივითა და ევროპის საბჭოს თანადაფინანსებით, შეიქმნა საარჩევნო სუბიექტების ელექტრონული რეგისტრაციების პროგრამა.[19] პროგრამის შექმნის მიზანი იყო – პოლიტიკური პარტიებისა და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფებისთვის საარჩევნო რეგისტრაციის პროცედურების გავლა დისტანციური მეთოდის გამოყენებით.

საარჩევნო სუბიექტებისთვის ელექტრონული რეგისტრაციების პროგრამის მოხმარების შესახებ შემუშავდა საარჩევნო სუბიექტების მიერ ელექტრონული საშუალებებით წარმომადგენელთა დანიშვნის, განცხადებების წარდგენისა და რეგისტრაციის ინსტრუქცია/წესი.[20] პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისთვის გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები, ჩაუტარდათ ინსტრუქტაჟი და გადაეცათ ცესკოს მიერ დამტკიცებული ინსტრუქცია/წესი. პროგრამის მოხმარების შესახებ ინსტრუქტაჟი ასევე ჩაუტარდა 73 საოლქო საარჩევნო კომისიის 150 წარმომადგენელს.

19 2016 წლის დეკემბერში, საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგიისა და 2017 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით შეიქმნა „ელექტრონული რეგისტრაციების პროგრამების შექმნასა და დანერგვაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი“ ცესკოს ხელმძღვანელი პირების, წევრებისა და თანამშრომლების შემადგენლობით.

20 ელექტრონული რეგისტრაციების წესი და პირობები დამტკიცდა ცესკოს 2017 წლის 22 აგვისტოს N38/2017 დადგენილებით „საარჩევნო სუბიექტების მიერ ელექტრონული საშუალებებით წარმომადგენელთა დანიშვნის შესახებ განცხადებების წარდგენისა და რეგისტრაციის წესისა და პირობების განსაზღვრის თაობაზე“.

პირველ ეტაპზე შეიქმნა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების დროს საპილოტე რეჟიმში დაიწყო ფუნქციონირება ელექტრონული რეგისტრაციების პროგრამის საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენელთა დანიშვნის მოდულმა, რომლის საშუალებით საარჩევნო სუბიექტებმა ყველა დონის საარჩევნო კომისიაში დანიშნეს წარმომადგენლები. ელექტრონული რეგისტრაციების საპილოტე პროგრამაში ჩაერთო 23 პოლიტიკური პარტია და მათი საარჩევნო სუბიექტების სახით ჩამოყალიბების შემდეგ, პროგრამით 19-მა საარჩევნო სუბიექტმა ისარგებლა.

საარჩევნო რეგისტრაციის მოთხოვნის შემდეგ საარჩევნო სუბიექტებს გადაეცათ მომხმარებლის უნიკალური სახელი (USER) და პაროლი. მათთვის გაიხსნა ელექტრონული სივრცე, სადაც მათ საშუალება მიეცათ წარმოედგინათ წარმომადგენელთა რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაცია და გაცნობოდნენ საარჩევნო ღონისძიებების შესახებ სამართლებრივ აქტებს, ინსტრუქციებსა და სხვა ინფორმაციას. საარჩევნო სუბიექტების მიერ ელექტრონული რეგისტრაციების პროგრამის მეშვეობით ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიებში დარეგისტრირდა 1 232 წარმომადგენელი, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიებში – 56 082 წარმომადგენელი. პროგრამის საშუალებით მათ ასევე განახორციელეს წარმომადგენელთა გაწვევა და ჩანაცვლება.

აღნიშნულმა პროგრამამ საარჩევნო სუბიექტებს გაუმარტივა რეგისტრაციის პროცედურები, ხოლო საარჩევნო ადმინისტრაციას სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის დროულად დამუშავებისა და გადამოწმების საშუალება მისცა.

არჩევნების დასრულების შემდეგ, პროგრამის ეფექტიანობის შესწავლის მიზნით ჩატარდა შუალედური შეფასება და ელექტრონული კითხვარის მეშვეობით გამოიკითხა 14 საარჩევნო სუბიექტი. რესპოდენტების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ პროგრამა მომხმარებლისთვის არის მარტივი, პროგრამაში მუშაობა ზოგავს დროს და მატერიალურ რესურსს, მოიცავს ბევრ საჭირო ინფორმაციას, მათ მოსწონთ პროგრამის დიზაინი.

პროგრამის განვითარების შემდეგი ეტაპია საერთაშორისო, ადგილობრივი და მედია ორგანიზაციების დამკვირვებელთა, ასევე პოლიტიკური პარტიების, საარჩევნო სუბიექტების, კანდიდატების, წარმომადგენლების ელექტრონული რეგისტრაციების მოდულების დანერგვა.

არჩევნების მართვის ელექტრონული სისტემა „არმასი“

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისთვის განახლდა არჩევნების მართვის ელექტრონული სისტემა „არმასი“. საარჩევნო სუბიექტების ელექტრონული რეგისტრირების პროგრამის შექმნამ ავტომატურად გამოიწვია როგორც სისტემა „არმასის“ უკვე არსებული მოდულების ცვლილება (ცესკო/ოლქი), ისე ახალი მოდულების და ქვე-მოდულების შექმნა და დამატება, რომელთა საშუალებით ხორციელდებოდა ახალი ელექტრონული რეგისტრაციის პროგრამის (elre.cec.gov.ge) ადმინისტრირება როგორც ცესკოს, ისე საარჩევნო ოლქების მიერ. გარდა ამისა, არსებულ მოდულებში ცვლილებები შევიდა პროგრამის ექსპლუატაციის შედეგად გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე.

კიბერ-შეტევებისგან დამცავი სისტემები

კიბერ-შეტევების მინიმუმამდე დაყვანის, დამცავი სისტემების გეგმიური განახლებების, 2017 წელს გლობალურად გავრცელებული კიბერ-თავდასხმებისა და მავნე პროგრამული უზრუნველყოფების გათვალისწინებით იდენტიფიცირებულ იქნა ინფორმაციულ აქტივებთან დაკავშირებული რისკები. განხორციელდა არსებული დაცვის სისტემის ჩანაცვლება არასანქცირებული შეტევების პრევენციის ახალი სისტემით. სერვისის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად დამატებით იქნა შეძენილი ამ სისტემის მეორე ეგზემპლიარი და ლიცენზიები.

ცესკოს ადმინისტრაციული შენობის ქსელის მონიტორინგის სისტემა

საარჩევნო ადმინისტრაციის ქსელის მონიტორინგის გაუმჯობესებისთვის შეირჩა და დაინერგა შესაბამისი მონიტორინგის სისტემა. სისტემის საშუალებით შესაძლებელი გახდა ქსელისა და სერვერების დატვირთვის ანალიზის განხორციელება სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს სწორი და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღებას საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით. მონიტორინგის სისტემა ასევე შესაძლებელს ხდის უსაფრთხოების მიმართულებით პოტენციური საფრთხეების გამოვლენას და იძლევა ინციდენტებზე დროული რეაგირების შესაძლებლობას.

ელექტრონული დამუშავების ინფორმაციული აქტივების მიზნობრივი და ეფექტიანი გამოყენების სისტემა

ინციდენტების შემთხვევაში, მათზე რეაგირების ეფექტიანობის ზრდის მიზნით ცესკოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მასშტაბიდან გამომდინარე, საანგარიშო პერიოდში საჭირო გახდა ლოგირების სისტემის ცენტრალიზება. ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერისა და ამომრჩეველთა სიების ფორმირებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის თანამშრომლობით გაიმართა ცენტრალური ლოგირების პროგრამული უზრუნველყოფა. აღნიშნული თავის მხრივ იძლევა მიწოდებული ლოგების ავტომატური ანალიზისა და ანგარიშგების განხორციელების საშუალებას.

თანამედროვე დამცავი სისტემების შერჩევა და საჭიროებისამებრ მათი დანერგვა

ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის გაუმჯობესების მიზნით ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერისა და ამომრჩეველთა სიების ფორმირებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის თანამშრომლობით შესწავლილ იქნა დამატებითი დამცავი სისტემების დანერგვის საჭიროება. შეირჩა და დამონტაჟდა ქსელში შეღწევადობის პრევენციისთვის საჭირო აპარატურა, განახლდა ცესკოში დანერგილი ანტივირუსული სისტემა, ხოლო ცესკოს ვებგვერდებზე ინფორმაციის დაცვის გაუმჯობესებისთვის განხორციელდა SSL კრიპტოგრაფიული პროტოკოლის დანერგვა, რისთვისაც შეძენილ იქნა შესაბამისი სერტიფიკატი.

საარჩევნო ადმინისტრაციის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

საარჩევნო ადმინისტრაციის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის, საფინანსო დეპარტამენტმა დაამუშავა საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტისა და საოლქო საარჩევნო კომისიებიდან სარემონტო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით შემოსული – 58 მოთხოვნა/განაცხადი. სპეციალურად შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ არსებული მდგომარეობის ადგილზე შესწავლის შემდეგ, მომზადდა შესასრულებელი სამუშაოების გეგმა და ხარჯთაღრიცხვები. ჩასატარებელ სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით გამოცხადდა 44 ტენდერი, მათ შორის: შედგა – 22, არ შედგა – 14, დასრულდა უარყოფითი შედეგით – რვა.

საანგარიშო პერიოდში დასრულდა 22 საოლქო საარჩევნო კომისიის შენობის რემონტი, გათბობის სისტემა დამონტაჟდა ექვს საოლქო საარჩევნო კომისიაში, შეკეთდა წყალგაყვანილობის სისტემა – ერთსა და მოეწყო გაზიფიცირების შიდა ქსელი – ოთხ საოლქო საარჩევნო კომისიაში. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ცხრილში.

საოლქო საარჩევნო კომისიები

N	აღგილმდებარეობა	სამუშაოს აღწერა	სახელშეკრულებო თანხა	მიმწოდებელი	შესყიდვის საშუალება
1	ლაგოდეხი	სარემონტო სამუშაოები	23,174.00	შპს აღმაშენებელი XXI	ეტ
2	კასპი	სარემონტო სამუშაოები	4 ,569.00	შპს მშენებელი 2013	ეტ
3	გორი	სარემონტო სამუშაოები	8 ,299.47	შპს მოურავი	ეტ
4	საჩხერე	სარემონტო სამუშაოები	19,777.00	ი/მ ნიკოლოზ აბრამიშვილი	ეტ
5	ხობი	რემონტი	8 ,813.00	შპს თ.ბ კაპიტალი	ეტ
6	ოზურგეთი	რემონტი	7 ,268.30	შპს გრემი 2012	ეტ
7	აბაშა	რემონტი	8 ,886.42	შპს თაგი	ეტ
8	ვანი	შენობის რემონტი	7 ,726.00	შპს თ.ბ.კაპიტალი	ეტ
9	ლანჩხუთი და ჩოხატაური	რემონტი	4 ,603.99	შპს ჯორჯიან კომპანი	ეტ
10	ხაშური	სარემონტო სამუშაოები	17,065.20	ი/მ ჯემალი ჭოველიძე	ეტ
11	ხელვაჩაური	რემონტი	14,696.00	შპს ამბარი	ეტ
12	ხელვაჩაური	სარემონტო სამუშაოები	6 ,918.65	შპს ამბარი	გშ 52-6
13	დიდუბე	სარემონტო სამუშაოები	6 ,436.74	ამხანაგობა ალმა 2017	გშ 52-6
14	ხულო	რემონტი	9 ,130.00	შპს როდა	ეტ
15	ტყიბული	რემონტი	12,487.09	შპს ქემო	ეტ
16	წყალტუბო	რემონტი	19,782.00	შპს თ.ბ - კაპიტალი	ეტ
17	ამბროლაური	რემონტი	59,934.00	შპს ფინეზა	ეტ
18	ცაგერი და ლენტეხი	რემონტი	12,631.00	შპს თ.ბ კაპიტალი	ეტ
19	ადიგენი	რემონტი	5,679.00	შპს ელვა.ჯი	ეტ
20	ასპინძა	რემონტი	12,282.00	შპს ელვა.ჯი	ეტ
21	მცხეთა	რემონტი	20,989.73	შპს ბასო ჯგუფი	ეტ
22	კასპი	სარემონტო სამუშაოები	499.95	შპს მშენებელი	გშ

სულ 2 91,648.54

N	ადგილმდებარეობა	სამუშაოს აღწერა	სახელშეკრულებო თანხა	მიმწოდებელი	შესყიდვის საშუალება
1	ზესტაფონი	გაზიფიცირების შიდა ქსელის მონტაჟი	450.08	შპს სოკარ ჯორჯია გაზი	გშ 52-6
2	ტყიბული	გაზიფიცირების შიდა ქსელის მონტაჟი	848.72	შპს სოკარ ჯორჯია გაზი	გშ 52-6
3	ხობი	გაზიფიცირების შიდა ქსელის მონტაჟი	363.00	შპს სოკარ ჯორჯია გაზი	გშ 52-6
4	გლდანი	გაზის შიდა ქსელის მოწყობა	650.00	შპს არგი - ჯგუფი	გეტ
5	ყაზბეგი დუშეთი თიანეთი გორი ქარელი ლაგოდეხი	ცენტრალური გათბობის სისტემის მონტაჟი	43,500.00	სს ქებული	გეტ
6	მესტია	წყალგაყვანილობის სისტემის მონტაჟი	960.00	ი/მ მაიზერ ბერძენაძე	გეტ
		სულ 46,771.80			

ასევე ცესკოს ადმინისტრაციულ შენობაში განხორციელებული სარემონტო სამუშაოების შესახებ ინფორმაცია იხილეთ ცხრილში.

N	ადგილმდებარეობა	დასახელება	სახელშეკრულებო თანხა	მიმწოდებელი	შესყიდვის საშუალება
1	ცესკოს ადმინისტრაციული შენობა	ბიბლიოთეკის მოწყობა	167,594.80	შპს იერი	ეტ
2		სასაწყობე ფართის სარემონტო სამუშაოები	228,222.64	შპს პირამიდა X+1	ეტ
3		ცესკოს ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები	52,983.80	შპს "მ&ნ"	ეტ
4		სახურავის მოწყობის სამუშაოები	157,754.00	ამხანაგობა ალმა 2017	ეტ
			40,246.00	ამხანაგობა ალმა 2017	
5		5 ადმინისტრაციული შენობის მე-5 სართულის სარემონტო სამუშაოები	304,998.12	ამხანაგობა ალმა 2017	გშ 52-6
6		ავტოსადგომის შემოღობვისა და საგენერატორო-სამრეცხაოს რეკონსტრუქცია	39,711.25	შპს ინტერტექნოლოგი	გშ 52-6
7		ცესკოს მე-6 სართულის სარემონტო სამუშაოები	424,243.00	შპს ალმა 2017	ეტ
სულ 1,415,753.61					

2017 წელს საარჩევნო ადმინისტრაციის ინფრასტრუქტურის მოსაწყობად, სარემონტო სამუშაოების შესრულებაზე გაფორმდა სულ 35 ხელშეკრულება, მათ შორის გამარტივებული ელექტრონული ტენდერით (გეტ) – 53, ელექტრონული ტენდერით (ეტ) – 24, გამარტივებული შესყიდვით (გშ) – ერთი, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 52-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად – შვიდი. სულ სარემონტო სამუშაოების შესრულებაზე გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამმა შეადგინა – 1 714 723 ლარი.

სახელმწიფო შესყიდვები

2017 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის ფარგლებში სულ გამოცხადდა 89 ტენდერი, მათ შორის დასრულებულია – 59,
არ შედგა – 15, უარყოფითი შედეგით დასრულდა –15.

ტენდერებიდან წარმოქმნილმა ეკონომიამ შეადგინა – 329 809 ლარი.

მიზანი 4: იმიჯის განმტკიცება

საარჩევნო ადმინისტრაციის საჯარო იმიჯის განმტკიცებისთვის ცესკომ განსაზღვრა საინფორმაციო/საიმიჯო კამპანიის ძირითადი მიმართულებები, როგორც ამომრჩეველთა ინფორმირების, მედიასთან ურთიერთობის, საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეების ინფორმირების, არჩევნებთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზების კუთხით, ისე არჩევნების მართვის სფეროში საკონსულტაციო-საექსპერტო მომსახურების გაწევისა და რეგიონალურ ლიდერად პოზიციონირების მიმართულებით.

მნიშვნელოვანი შედეგია ეფექტიანი საინფორმაციო-საიმიჯო კამპანიის განხორციელება და ამომრჩეველთა ინფორმირება საარჩევნო პროცესების შესახებ.

საინფორმაციო-საიმიჯო კამპანიის განხორციელება

არასაარჩევნო პერიოდისთვის, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა განაახლა ორგანიზაციის საიმიჯო-სარეკლამო კონცეფცია რომლის მიზანი იყო საარჩევნო ადმინისტრაციასა და ამომრჩევლებს შორის კომუნიკაციის გაძლიერება, საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის პოპულარიზაცია, ცნობადობის ზრდა და იმიჯის განმტკიცება. შეიქმნა ახალი სლოგანი „უფრო ახლოს“, რომელიც ამომრჩეველსა და საარჩევნო ადმინისტრაციას შორის კომუნიკაციის გაძლიერებაზე აკეთებს აქცენტს. აღნიშნული კონცეფციის ფარგლებში განხორციელდა საიმიჯო-სარეკლამო კამპანია საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული შემდეგი პროექტებისთვის:

- ვესაუბრებით ამომრჩევლებს;
- საარჩევნო განვითარების სკოლა;
- საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები;
- არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი.

აღნიშნული პროექტების შესახებ საზოგადოების ინფორმირებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის იმიჯის განმტკიცების მიზნით დამზადდა ხუთი ვიდეორგოლი, რომლებიც განთავსდა როგორც ცენტრალური, ისე რეგიონული მაუწყებლების ეთერში.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისთვის განისაზღვრა საინფორმაციო კამპანიის ძირითადი მიმართულებები ამომრჩეველთა ინფორმირების, მედიასთან ურთიერთობის, არჩევნებში ჩართული მხარეების ინფორმირების, არჩევნებთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზების კუთხით. საინფორმაციო კამპანიის მიზანი იყო მოსახლეობის ინფორმირება საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობისა და იმ სერვისების შესახებ, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციამ შესთავაზა ამომრჩევლებს საარჩევნო პერიოდში და უშუალოდ კენჭისყრის დღეს. განახლებული საინფორმაციო კამპანიის საფუძველზე შეიქმნა და განთავსდა:

- 14 სატელევიზიო და რადიო რგოლი – ცენტრალურ და რეგიონულ ტელევიზიებში, ასევე რადიოებში;
- სარეკლამო ბანერები – ცენტრალური და რეგიონული საინფორმაციო სააგენტოების ვებგვერდებზე;
- 14 გარე ბანერი – საქართველოს მასშტაბით;
- საინფორმაციო საიმიჯო მასალები – ბეჭდურ მედიაში.

ცესკოს საინფორმაციო/საიმიჯო კონცეფციის შესაბამისად, შემუშავდა ახალი სლოგანი „ვმუშაობთ შენთვის“, რომელიც უკვე არსებულ სლოგანთან „დემოკრატიის სერვისი“ ერთად გამოიყენებოდა

კამპანიის მიმდინარეობისას. ცესკოს საინფორმაციო ვიდეორგოლები უზრუნველყოფილი იყო სურდოთარგმანით, ასევე ყველა საარჩევნო მასალა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის ითარგმნა აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.

საჯარო კომუნიკაცია

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი უზრუნველყოფდა ცესკოს ღონისძიებების შესახებ მედიის, ყველა დაინტერესებული პირისა და ზოგადად, საზოგადოების ინფორმირებას პრეს-რელიზების, ინტერნეტის, სოციალური ქსელების, მედიასთან და ყველა დაინტერესებულ მხარესთან უშუალო კონტაქტის საშუალებით, აგრეთვე დაინტერესებული პირების ინფორმირებას ცესკოს სხდომების შედეგებისა და უწყებაში მიმდინარე სხვა პროცესების შესახებ. მზადდებოდა საინფორმაციო ბიულეტენი, რომელიც ითარგმნებოდა ინგლისურ ენაზე და ვებგვერდზე განთავსების გარდა, ყველა დაინტერესებულ მხარეს ეგზავნებოდა. ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია ვებგვერდზე თავსდებოდა როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე. ასევე ფუნქციონირებდა ცესკოს ვებგვერდის აფხაზურენოვანი ვერსია. 2017 წელს მომზადდა და ვებგვერდზე განთავსდა:

- 277 სიახლე საარჩევნო ადმინისტრაციის აქტივობების შესახებ;
- 51 პრეს-რელიზი ცესკოს სხდომების შედეგების შესახებ;
- 9 საინფორმაციო ბიულეტენი;

სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით მედიასაშუალებებში გავრცელდა:

- 14 საინფორმაციო განცხადება;
- 16 ინტერვიუ;
- 180-ზე მეტი კომენტარი;
- 31 ბრიფინგი.






კენჭისყრის დღეს, ცესკოს თავმჯდომარისა და პრეს-სპიკერის ყველა საინფორმაციო ბრიფინგი ცესკოში ჩატარდა სურდოთარგმანის თანხლებით

სოციალური მედია

2017 წლის განმავლობაში საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი რეგულარულად ახორციელებდა ცესკოსა და ცესკოს თავმჯდომარის სოციალური ქსელის გვერდების ადმინისტრირებას, უწევდა მონიტორინგს გვერდების ფუნქციონირებას და მუდმივად ათავსებდა საარჩევნო ადმინისტრაციის მნიშვნელოვან სიახლეებს. ნაწილობრივ განახლდა გვერდების დიზაინი. ოპერატიულად ხდებოდა რეაგირება მომხმარებელთა მხრიდან დასმულ კითხვებზე.

ობიექტების რაოდენობრივი მაჩვენებელი

პერიოდი: 2017-01-01 – 2017-12-31
სტატიის ტიპი: ინფორმაცია, ინტერვიუ
მედია: ყველა



საკონსულტაციო მექანიზმების შეთავაზება და კარგი პრაქტიკის გაზიარება სხვა ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციებისთვის

საარჩევნო ადმინისტრაციის გამოცდილებისა და კარგი პრაქტიკის გაზიარების მიზნით 2017 წელს ცესკომ და სწავლების ცენტრმა გაუწიეს საკონსულტაციო მომსახურება შემდეგი ქვეყნების დელეგაციებს:

- ყაზახეთის საარჩევნო ადმინისტრაციის დელეგაცია;
- ბოსნია და ჰერცეგოვინის საარჩევნო ადმინისტრაციის დელეგაცია;
- შრილანკის საარჩევნო ადმინისტრაციის დელეგაცია;
- მოლდოვის პარლამენტის წევრების, საარჩევნო ადმინისტრაციისა და ტრენინგ ცენტრის დელეგაცია.

ცესკოსა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა დელეგაციების წევრებს მიაწოდეს ინფორმაცია საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობის, სწავლების ცენტრის შექმნის, მისიის, ხედვისა და საქმიანობის შესახებ. შეხვედრების დროს ყურადღება გამახვილდა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის, მათ შორის, ახალგაზრდა ამომრჩეველთა განათლებისა და საარჩევნო კულტურის ამაღლების ხელშეწყობის კუთხით დანერგილ სასწავლო პროგრამებზე, აპრობირებულ მეთოდოლოგიასა და შემუშავებულ სასწავლო მასალებზე. სასწავლო ვიზიტის ფარგლებში მოლდოვის დელეგაციის წევრები დაესწრნენ სასწავლო პროგრამას რომელიც პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისთვის განხორციელდა. შეხვედრებზე დაისახა თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივები აღნიშნულ ქვეყნებში სასწავლო ცენტრების ჩამოყალიბების ხელშეწყობის კუთხით.

დელეგაციების წარმომადგენლებმა დადებითად შეაფასეს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციისა და სწავლების ცენტრის მუშაობა, ასევე აღნიშნეს, რომ სწავლების ცენტრი არის საარჩევნო სფეროში, ევროპაში ერთ-ერთი პირველი და წარმატებული პროექტი.

ბოსნია და ჰერცეგოვინის ცენტრალური საარჩევნო კომისიის სურვილია შექმნას ასეთივე სასწავლო ცენტრი. ჩვენ გვსურს გავიზიაროთ თქვენი გამოცდილება და ცოდნა ამ მიმართულებით. ასევე ვისაუბრეთ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის შესახებ, რომლის ფარგლებშიც გამარტივდება გამოცდილების ურთიერთგაზიარება. იმედი მაქვს, ეს კიდევ უფრო მეტად გააძლიერებს თანამშრომლობას ჩვენი ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციებს შორის.

სუად არნაუტოვიჩი
ბოსნია და ჰერცეგოვინის საარჩევნო ადმინისტრაციის დელეგაციის წევრი (საქართველოში ბოსნია და ჰერცეგოვინის დელეგაციის ვიზიტის დროს)





სხვა ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციების დელეგაციები ცესკოსა და სწავლების ცენტრში სასწავლო ვიზიტების დროს

საარჩევნო ადმინისტრაციების ყოველწლიური საერთაშორისო შეხვედრა



2017 წლის 27-28 თებერვალს საქართველოში გაიმართა საარჩევნო ადმინისტრაციების მეშვიდე ყოველწლიური შეხვედრა თემაზე „ინოვაციური სერვისები და ეფექტური საარჩევნო პროცედურები“, რომლის ორგანიზება ცესკომ საპარლამენტო სწავლების საერთაშორისო ცენტრისა, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან თანამშრომლობით განახორციელა.



საარჩევნო ადმინისტრაციების რიგით მეშვიდე ყოველწლიური შეხვედრა

ყოველწლიურ შეხვედრაზე მონაწილეებმა განიხილეს შემდეგი საკითხები: ტექნოლოგიები და არჩევნები – საუკეთესო პრაქტიკა და გამოცდილება, ინოვაციური სერვისები, ევროპული სტანდარტები საარჩევნო პროცესში, საარჩევნო ადმინისტრაციის ელექტრონული მართვა. შეხვედრის მონაწილეებმა დადებითად შეაფასეს შეხვედრა და აღნიშნეს, რომ ის საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მნიშვნელოვან პლატფორმად ჩამოყალიბდა. ყოველწლიურ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 20 ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაციის, 11 საერთაშორისო ორგანიზაციის, აშშ-ის საელჩოსა და საარჩევნო ტექნოლოგიებზე ორიენტირებული სამი კომპანიის – 94-მა წარმომადგენელმა.[21]

ინფორმაცია ყოველწლიური შეხვედრის ხარჯების შესახებ იხილეთ ცხრილში

საქონლის/მომსახურების დასახელება	ხელშეკრულების/ინვოისის N	მომწოდებელი	თანხა
სატრანსპორტო მომსახურება	012/D	შპს ვი თი ჯორჯია	14 239
კვებითი მომსახურება, ქართული კერძების დეგუსტაცია და საკონფერენციო პაკეტი	21.02.2017	შპს პარკ ჰოტელი	34 766
კულტურულ-სანახაობითი ღონისძიების ორგანიზება	24/02/2	ფ/პ ოთარ ჩუხრუკიძე	3 125
დროშები და დროშის სადგამები	13/02/1 და 23/02/4	შპს ემქოლორ ჯგუფი	140
ბანერი	23/02/3	შპს ემქოლორ ჯგუფი	850
სუვენირები	14/02/1	შპს ბაო+	1 710
სასაჩუქრე ტკბილეული	21/02/1	შპს ბადაგი	780
		სულ	55 610

21 **ღონისძიებაში მონაწილე ქვეყნები:** ალბანეთი, ავღანეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, ბულგარეთი, ინდოეთი, იორდანია, ლატვია, ლიტვა, მექსიკა, მოლდოვა, მალდივის რესპუბლიკა, პაკისტანი, რუმინეთი, საქართველო, სამხრეთ კორეა, უკრაინა, ფილიპინები, ყაზახეთი, ყირგიზეთი.
ღონისძიებაში მონაწილე საერთაშორისო ორგანიზაციები: საპარლამენტო სწავლების საერთაშორისო ცენტრი, ევროპის საარჩევნო მოხელეთა ასოციაცია, ევროპის საბჭო, ვენეციის კომისია, პროექტი დელიანი (კანადა), საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი, ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი, აშშ-ის საელჩო საქართველოში და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო.
საარჩევნო ტექნოლოგიებზე ორიენტირებული კომპანიები: Emperor Technology, A.Daga Steel & Industrial Corporation, Copenhagen Election A/S.



გამოფენა „საქართველოს არჩევნების ისტორია 1919-2012“

2017 წელს ცესკოში შეიქმნა და ვებგვერდზე განთავსდა გამოფენა „საქართველოს არჩევნების ისტორიის“ ელექტრონული ვერსია, სადაც ასახულია საარქივო მასალები დამოუკიდებელ საქართველოში ჩატარებული არჩევნების ისტორიის შესახებ 1919 წლიდან 2012 წლის ჩათვლით. საარქივო მასალები მოიცავს შემდეგ საარჩევნო დოკუმენტაციას: საარჩევნო ბიულეტენი, კანდიდატთა სია, სტატისტიკა, ხარჯთაღრიცხვა, სამართლებრივი აქტები, ისტორიული დოკუმენტები, გამოფენა ასევე მოიცავს სააგიტაციო და ფოტო მასალას.[22]

საქართველოს არჩევნების ისტორიის ელექტრონული ვებგვერდი მოამზადა საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა ამომრჩეველთა სიების ფორმირებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტთან თანამშრომლობით.

კრებული „პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში“

2017 წელს, პირველად, ცესკოსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლობით, ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის მხარდაჭერით, გამოიცა კრებული „პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში“. კრებული 1919 წლის 14-16 თებერვალს ჩატარებულ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების არჩევნებს ეხება. საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა უზრუნველყო კრებულის დაკაბადონება/დიზაინი და ინგლისურ ენაზე თარგმნა.

22 დამოუკიდებელ საქართველოში ჩატარებული არჩევნების დოკუმენტური მასალა იხილეთ ბმულზე: http://history.cesko.ge/index.html.





კრებულის „პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში“ პრეზენტაცია

2017 წლის 12 აპრილს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა კრებულის პრეზენტაცია.

სოციალური აქციები

2017 წელს ცესკოს თავმჯდომარემ, თავმჯდომარის მოადგილემ, კომისიის წევრებმა, სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებმა და საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ სოციალურ აქციებში:

სისხლის დონაციის აქცია – ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტის სისხლის ბანკის უანგარო დონორთა აქციის ფარგლებში, საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სისხლის ჩაბარების აქციაში „თქვენ დღეს სიცოცხლე გადაარჩინეთ“.

დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე – დაუნის სინდრომის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით ჩატარებული კონფერენციის „ჩემი ხმა საზოგადოებაში“ ფარგლებში ცესკოს აპარატის თანამშრომლებმა სოციალურ საწარმო „ბაბალეს“ ესტუმრნენ და დაუნის სინდრომის მქონე პირების ნამუშევრები დაათვალიერეს.


შობა-ახალი წელი – ცესკოს თავმჯდომარემ და მოადგილემ საქველმოქმედო ფონდ “მომავლის გზის“ ბენეფიციარებს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცეს, ნაძვის ხე, ტკბილეული, საკვები პროდუქტები და საჩუქრები გადასცეს.





ცესკოს თანამშრომელთა მონაწილეობა სოციალურ აქციებში





02

პრიორიტეტი

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების განათლება

სტრატეგიული პრიორიტეტი 2: სამოქალაქო და ამომრჩევლის განათლება

მიზანი 1: სამოქალაქო და ამომრჩევლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება

სამოქალაქო და ამომრჩევლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება საარჩევნო ადმინისტრაციის მნიშვნელოვანი საქმიანობაა. 2017 წელს ჩატარდა ექვსი საგანმანათლებლო პროექტი. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო საარჩევნო განვითარების სკოლის ამოქმედება ახმეტის მუნიციპალიტეტში, პანკისის ხეობაში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის, ასევე ახალგორის მუნიციპალიტეტის, კერძოდ წეროვანის დევნილთა დასახლებაში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის.

მნიშვნელოვანი შედეგია წინა წლებთან შედარებით საგანმანათლებლო პროექტების განხორციელების არეალის გაფართოება და მონაწილეთა რაოდენობის ზრდა.

საჯარო სკოლებში სამოქალაქო განათლების პროგრამაში საარჩევნო სასწავლო მოდულის ინტეგრირების ხელშეწყობა

ახალგაზრდებში არჩევნების პოპულარიზაციისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი სამოქალაქო ჩართულობის ზრდის ხელშეწყობისთვის ცესკომ და სწავლების ცენტრმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, 2017-2023 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე, დაგეგმეს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული, საარჩევნო სასწავლო მოდულის ინტეგრირება საბაზო და საშუალო საფეხურზე სამოქალაქო განათლების დისციპლინაში. გაიმართა სამუშაო შეხვედრები და დაისახა სამომავლო გეგმები. პროექტის განხორციელება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით დაგეგმილია 2018 წლიდან.

საგანმანათლებლო პროგრამები

ცესკო და სწავლების ცენტრი ახორციელებენ საგანმანათლებლო პროგრამებს სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფის ამომრჩევლებისთვის, რაც ხელს უწყობს საარჩევნო პროცესებში მოქალაქეების ჩართულობის დონის ამაღლებას, ამომრჩეველთა აქტივობის ზრდასა და ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას. 2017 წელს ჩატარდა ექვსი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 9 011-მა პირმა.

საინფორმაციო-სასწავლო პროგრამა „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“

ახალგაზრდებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზრდის ხელშეწყობისთვის ცესკომ და სწავლების ცენტრმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, საინფორმაციო-სასწავლო პროექტის „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“ მორიგი ეტაპი განახორციელეს.

სასწავლო პროექტი სწავლების ცენტრის მიერ მომზადებულმა 44-მა ტრენერმა განახორციელა, რომლებმაც საჯარო სკოლებში მოსწავლეებთან, საინფორმაციო-სასწავლო კურსის კონცეფციის შესაბამისად, განიხილეს შემდეგი მოდულები: არჩევნების ისტორიული ექსკურსი და თანამედროვეობა, არჩევნები და დემოკრატია, საარჩევნო ადმინისტრაცია და ამომრჩეველი, არჩევნებში ჩართული სხვა მხარეები. კურსის ბოლოს მოსწავლეებმა ჩაატარეს იმიტირებული არჩევნები და მათ გადაეცემათ პროექტში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

68 მუნიციპალიტეტი

საჯარო სკოლა 93


44 ტრენერი

მოსწავლე 1645

929 (56.47%)

716 (43.53%)

არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი







საინფორმაციო – სასწავლო პროექტის „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“ მონაწილეები

სასწავლო კურსი „საარჩევნო სამართალი“

2016-2017 სასწავლო წელს, საარჩევნო სამართალში სტუდენტების მიერ აუცილებელი პროფესიული ცოდნის გაღრმავების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისა და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული სასწავლო კურსი „საარჩევნო სამართალი“.

2017 წლის 27 თებერვალს, სწავლების ცენტრში გაიმართა სამუშაო შეხვედრა ლექტორებთან, რომლებმაც განახორციელეს აღნიშნული სასწავლო კურსი თბილისსა და საქართველოს რეგიონებში არსებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ლექტორებს მიეწოდათ ინფორმაცია სწავლების განხორციელების ძირითადი მიმართულებებისა და მეთოდოლოგიის შესახებ. მათ ასევე გადაეცათ სასწავლო სახელმძღვანელოები და სალექციო კურსისთვის მომზადებული პრეზენტაციები.

2017 სასწავლო წელს პროგრამა თბილისსა და საქართველოს რეგიონებში არსებულ 13 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში განხორციელდა.[23] სასწავლო კურსი მოიცავდა შემდეგ მოდულებს: საქართველოს საარჩევნო სამართლის ისტორია; საარჩევნო სამართლის წყაროები და პრინციპები; საარჩევნო სისტემები; საარჩევნო ადმინისტრაციის სტატუსი და სისტემა; წინასაარჩევნო კამპანია; არჩევნების დაფინანსება; არჩევნების მონიტორინგი და მედია; საარჩევნო დავები; საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები; საქართველოს პარლამენტის არჩევნები; აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები; ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს– საკრებულოს არჩევნები; თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნები; რეფერენდუმი და პლებისციტი.

სწავლება წარიმართა კომბინირებული მეთოდოლოგიით: ელექტრონული სწავლება (ვიზუალიზებული ელექტრონული პროგრამები და სასწავლო ფილმი „კენჭისყრის დღის პროცედურები“); ვერბალური სწავლება; პრაქტიკული სწავლება; როლური თამაშები (საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომის ინსცენირება, კენჭისყრის დღის ინსცენირება).

სასწავლო კურსი „საარჩევნო სამართალი“			
22 თებერვალი – 31 ივლისი	10 უნივერსიტეტი	462 სტუდენტი	ქალი – 288 (62.33%) კაცი – 174 (37.67%)
15 სექტემბერი – 31 დეკემბერი	7 უნივერსიტეტი	288 სტუდენტი	ქალი – 185 (64.24%) კაცი – 103 (35.76%)
სულ:	13 უნივერსიტეტი	750 სტუდენტი	ქალი – 473 (63.1%) კაცი – 277 (36.9%)

23 სასწავლო კურსი 13 უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში განხორციელდა: სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი; იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი; აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი; გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი; გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი; გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი; აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი.

იურიდიული კლინიკა

სწავლების ცენტრმა, სტუდენტებისთვის აუცილებელი პროფესიული ცოდნის გაღრმავების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისა და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების მიზნით იურიდიული კლინიკის ფორმატში განახორციელა სასწავლო კურსი საარჩევნო სამართლის დარგში. სასწავლო კურსისთვის მომზადდა ელექტრონული პრეზენტაციები და დამხმარე სახელმძღვანელო სტუდენტებისთვის. სწავლება განხორციელდა ოთხ ეტაპად: I ეტაპი-თეორიული და პრაქტიკული სწავლება; II ეტაპი – დისტანციური სწავლება; III ეტაპი – როლური თამაშები; IV ეტაპი-ფინალური გამოცდა.

იურიდიული კლინიკა			
16 მარტი – 15 ივნისი	3 უნივერსიტეტი	2 ტრენერი	25 სტუდენტი

საინფორმაციო სასწავლო პროექტი „ინფორმირებული ახალგაზრდა ამომრჩეველი“

ცესკოს, სწავლების ცენტრსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა განახორციელეს პროექტი „ინფორმირებული ახალგაზრდა ამომრჩეველი“, რომლის მიზანი იყო 18-21 წლის ახალგაზრდა ამომრჩეველთა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და ახალგაზრდების იმ ნაწილის გააქტიურება, რომელიც პირველად იღებდა მონაწილეობას არჩევნებში.

პროექტის ფარგლებში სწავლების ცენტრის რვა ტრენერმა სტუდენტებისთვის ჩაატარეს სემინარები და გააცნეს მათ შემდეგი საკითხები: არჩევნები და არჩევნების როლი ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესში, არჩევნების ჩატარების ძირითადი პრინციპები, არჩევნებში ჩართული მხარეები, მათი უფლებამოსილებები და ხმის მიცემის პროცედურა. მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.

ინფორმირებული ახალგაზრდა ამომრჩეველი				
2-23 მაისი	9 უნივერსიტეტი	8 ტრენერი	370 სტუდენტი	ქალი – 235 (63.51%) კაცი – 135 (36.49%)
16-20 ოქტომბერი	9 უნივერსიტეტი	7 ტრენერი	525 სტუდენტი	ქალი – 396 (75.4%) კაცი – 129 (24.6%)
სულ	13 უნივერსიტეტი[24]	8 ტრენერი	895 სტუდენტი	ქალი – 631 (70.5%) კაცი – 264 (29.5%)

24 სასწავლო კურსი „ინფორმირებული ახალგაზრდა ამომრჩეველი“ განხორციელდა შემდეგ 13 უნივერსიტეტში: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი; საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი; იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი; გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი; ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი; გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი; სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი; შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სასწავლო პროექტი „საარჩევნო განვითარების სკოლა“

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციისა და ევროპის საბჭოს პარტნიორობა საარჩევნო პროგრამის ფარგლებში
ევროპის საბჭო ახორციელებს საარჩევნო პროგრამას საქართველოში. პროგრამის ერთ-ერთი მთავარი პარტნიორია ცესკო. 2016 წელს პროგრამის ფარგლებში ცესკომ პირველად მიიღო მიზნობრივი გრანტი პროექტის „საარჩევნო განვითარების სკოლა“ მხარდასაჭერად. პროგრამის ფარგლებში ცესკომ განახორციელა საინფორმაციო კამპანია, უზრუნველყო პროექტით დაინტერესებულ პირთა რეგისტრაცია და კვალიფიციური სასწავლო კურსის ორგანიზება.

პროექტმა დადებითი შეფასება მიიღო და ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობა გაგრძელდა. 2017 წელს მიზნობრივმა გრანტმა საარჩევნო ადმინისტრაციას შესაძლებლობა მისცა გაეფართოებინა პროექტის არეალი და 23 წარჩინებული კურსდამთავრებული ორი თვის მანძილზე დაესაქმებინა საარჩევნო ადმინისტრაციაში.

ცესკომ და სწავლების ცენტრმა, ევროპის საბჭოსა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან თანამშრომლობითა და ფინანსური მხარდაჭერით პროექტი „საარჩევნო განვითარების სკოლა“ განახორციელეს. პროექტის მიზანი იყო – 18-24 წლის ახალგაზრდების სამოქალაქო ჩართულობა და არჩევნების პოპულარიზაცია.


2017 წელს გაიზარდა პროექტის არეალი, სასწავლო კურსი 23 მუნიციპალიტეტში[25] განხორციელდა. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო სკოლის ამოქმედება ახმეტის მუნიციპალიტეტში, სადაც მონაწილეობის მიღება შეძლეს პანკისის ხეობაში მცხოვრებმა ახალგაზრდებმა, რაც მაღალმთიან და რთულ რეგიონში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისთვის დამატებითი საშუალებაა ქვეყნის ცხოვრებაში აქტიური ჩართვისთვის. სასწავლო კურსი ასევე განხორციელდა ახალგორის მუნიციპალიტეტის, კერძოდ წეროვანის დევნილთა დასახლებაში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის.

მონაწილეებისა და ტრენერების რეკომენდაციების, მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით განახლდა თემატიკა, სასწავლო მოდულები: საარჩევნო სისტემები, საარჩევნო ადმინისტრაცია, დემოკრატიული საარჩევნო პრინციპები, არჩევითი ორგანოები საქართველოში, არჩევნებში ჩართული მხარეები, არჩევნების გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა, გენდერული თანასწორობა, ევროპარლამენტის არჩევნები. ორკვირიანი სასწავლო კურსი, ტრენერთა ტრენინგის ფარგლებში, სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებულმა ტრენერებმა ჩაატარეს.

25 პროექტი „საარჩევნო განვითარების სკოლა“ შემდეგ 23 მუნიციპალიტეტში განხორციელდა: ამბროლაური, ახალგორი (წეროვანი/დევნილთა დასახლება), ახალციხე, ახმეტა, ბათუმი, ბორჯომი, გარდაბანი, გორი, გურჯაანი, დუშეთი, ზესტაფონი, ზუგდიდი, თელავი, მარნეული, ოზურგეთი, რუსთავი, სამტრედია, საჩხერე, სიღნაღი, სენაკი, ფოთი, ქობულეთი, ქუთაისი.

ევროპის საბჭოს გრანტის ფარგლებში კიდევ ერთი სიახლე განხორციელდა სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ შეირჩა 23 წარჩინებული მონაწილე, რომელთაც საშუალება მიეცათ ემუშავათ ცესკოს საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტში შტატგარეშე მოსამსახურეების პოზიციაზე და ორი თვის განმავლობაში ზოგიერთ საოლქო საარჩევნო კომისიაში მიეღოთ პრაქტიკული გამოცდილება. აღსანიშნავია, რომ „საარჩევნო განვითარების სკოლის“ კურსდამთავრებულთა დიდმა ნაწილმა სურვილი გამოთქვა საარჩევნო ადმინისტრაციაში დასაქმების თაობაზე. მათგან 300-ზე მეტი კონკურსის წესით საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებად აირჩიეს. პროექტის კურსდამთავრებულთა ნაწილი დასაქმდა პოლიტიკური პარტიებისა და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების პროექტებში. მნიშვნელოვანია, რომ „საარჩევნო განვითარების სკოლის“ კურსდამთავრებულები აქტიურად არიან ჩართულები ცესკოს სხვადასხვა პროექტებში მოხალისეებად.

საარჩევნო განვითარების სკოლა 2017				
17 – 28 ივლისი	23 მუნიციპალიტეტი	48 ტრენერი	453 ახალგაზრდა	ქალი – 286 (63.13%) კაცი – 167 (36.87%)




სასწავლო პროექტი „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“

2017 წელს ცესკომ და სწავლების ცენტრმა განახორციელეს საინფორმაციო-სასწავლო პროექტი „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“, რომელიც მიზნად ისახავდა ერთი მხრივ სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით და მეორე მხრივ ხელს უწყობდა საარჩევნო ადმინისტრაციაში კვალიფიციური საკადრო რესურსის ფორმირებას. სწავლების ცენტრის მიერ, პროექტის კონცეფციის შესაბამისად, განახლდა სასწავლო პროგრამა და მასალები. 2017 წლის 15-25 მაისის და 31 ივლისი – 2 აგვისტოს პერიოდში ჩატარდა ტრენერთა ტრენინგები.

სასწავლო კურსი მოიცავდა ორ სატრენინგო დღეს. ტრენინგის ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის საქმიანობის მიმოხილვა კენჭისყრის დღემდე პერიოდში; კენჭისყრის დაწყებამდე ჩასატარებელი პროცედურები; კენჭისყრის პროცესი; საარჩევნო უბნის დახურვა; საარჩევნო ყუთის გახსნამდე ჩასატარებელი პროცედურები; საარჩევნო ყუთის გახსნა; კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე ჩასატარებელი პროცედურები; კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენა, შემაჯამებელი ოქმის საჯაროობა.

საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები				
29 მაისი – 26 ივნისი	63 მუნიციპალიტეტი	62 ტრენერი	2 178 მონაწილე	ქალი – 1 678 (77.04%) კაცი – 500 (22.96%)
7 – 17 აგვისტო	ყველა მუნიციპალიტეტი	81 ტრენერი	3 065 მონაწილე	ქალი – 2 352 (76.74%) კაცი – 713 (23.26%)
სულ	ყველა მუნიციპალიტეტი	81 ტრენერი	5 243 მონაწილე	ქალი – 4 030 (76.86%) კაცი – 1 213 (23.14%)



მიზანი 2: საარჩევნო კულტურის განვითარება

საარჩევნო ადმინისტრაცია მნიშვნელოვნად მიიჩნევს მოსახლეობის საარჩევნო კულტურის განვითარებას. ამ მიმართულებით 2017 წელს განხორციელდა სხვადასხვა სასწავლო პროგრამები საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეებისთვის, განახლდა სასწავლო-საინფორმაციო ფილმი „კენჭისყრის დღის პროცედურები“ და ჩატარდა „ღია კარის დღეები“ ცესკოში.

მნიშვნელოვანი შედეგია ცესკოს ინიციატივის „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“ ფარგლებში საოლქო საარჩევნო კომისიების წევრების მიერ საჯარო შეხვედრების გამართვა და ამომრჩევლებისთვის ინფორმაციის მიწოდება ცესკოს მიერ შეთავაზებული სერვისების შესახებ.

სასწავლო პროგრამები ჩართული მხარეებისთვის

პარტიების წარმომადგენელთა ტრენინგები

2017 წლის 28 ივნისი – 16 ივლისის პერიოდში, ამერიკის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის საქართველოს წარმომადგენლობასთან თანამშრომლობით, ცესკოს იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2017 წლის არჩევნებისთვის პოტენციური მონაწილე პარტიების წარმომადგენელთა და მათ მიერ საარჩევნო კომისიებში დასანიშნი პოტენციური კომისიის წევრებისთვის გამართულ ტრენინგებში. ცესკოს წარმომადგენლებმა მონაწილეებისთვის გამართეს პრეზენტაცია საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საარჩევნო კოდექსში განსახორციელებელი ცვლილებების, ასევე ძველი და ახალი ნორმების შედარების შესახებ. აღნიშნული ტრენინგის ჩატარებამ ხელი შეუწყო საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების ერთგვაროვან გაგებას.

სწავლება ჩატარდა ექვს ნაკადად და მასში მონაწილეობა მიიღო პოლიტიკური გაერთიანებების 316-მა წარმომადგენელმა.

სამუშაო შეხვედრა აღმასრულებელი ორგანოების წარმომადგენლებთან

2017 წლის 31 ივლისი – 1 აგვისტოს პერიოდში, ცესკოს ინიციატივით, იურიდიული დეპარტამენტის ორგანიზებითა და სწავლების ცენტრის ჩართულობით გაიმართა სამუშაო შეხვედრა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების (სამინისტროები), სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, საქართველოს პროკურატურისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იურიდიული (სამართლებრივი უზრუნველყოფის) სამსახურის/სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისთვის, ასევე საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული უწყებათაშორისი კომისიის წევრებისთვის. სატრენინგო პროგრამის შედეგად მოხდა უწყებების წარმომადგენლების ინფორმირება შემდეგ საკითხებზე: ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვა, საბიუჯეტო თანხების გამოყენების აკრძალვა და საჯარო მოხელეების წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა. შეხვედრის დროს, ასევე განიხილეს საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილებები.

სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 29 საჯარო მოხელემ.




სამუშაო შეხვედრა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებთან

ტრენინგი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და სამხარეო ადმინისტრაციების წარმომადგენლებისთვის

2017 წლის 29-31 აგვისტოსა და 6-9 სექტემბრის პერიოდში, იურიდიულმა დეპარტამენტმა და სწავლების ცენტრმა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა იურისტებისა და სამხარეო ადმინისტრაციების წარმომადგენლებისთვის ჩაატარეს ტრენინგი თემაზე: „ადგილობრივი თვითმმართველობის როლი საარჩევნო პროცესებში და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების აკრძალვა“. ტრენინგის შედეგად მოხდა საჯარო მოხელეების ინფორმირება შემდეგ საკითხებზე: მუნიციპალიტეტის ორგანოთა როლი საარჩევნო პროცესებში; არჩევნების სანდოობა და საჯარო მოხელეების როლი (შეზღუდვები, რომელიც ვრცელდება საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირებზე); თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების აკრძალვა; ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვა; საბიუჯეტო თანხების გამოყენების აკრძალვა. მონაწილეებს გადაეცათ ცესკოსა და სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული სახელმძღვანელოები.

თბილისისა და საარჩევნო ადმინისტრაციის რეგიონულ რესურსცენტრებში (ბოლნისი, თელავი, ბორჯომი, ქუთაისი, სენაკი, ბათუმი) ჩატარდა რვა ტრენინგი და მონაწილეობა მიიღო თვითმმართველობის ორგანოებსა (გამგეობები, მერიები, საკრებულოები) და სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციებში დასაქმებულმა 95-მა მოხელემ.

სამუშაო შეხვედრა რაიონული, საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეებთან

2017 წლის 22 – 24 სექტემბერს, იურიდიული დეპარტამენტის ორგანიზებითა და ჩართულობით, საქართველოს უზენაეს სასამართლოსთან ერთად, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის, ევროსაბჭოს ვენეციის კომისიის, საქართველოში საფრანგეთისა და შვეიცარიის საელჩოების თანადაფინანსებით გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო რაიონული, საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეებმა. მონაწილეები გაეცნენ ინფორმაციას საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებისა და სიახლეების, ასევე ცესკოს კანონქვემდებარე აქტების შესახებ, რომლებმაც მთელი რიგი საკითხები დაარეგულირა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისთვის. შეხვედრაზე საერთაშორისო პრაქტიკა მიმოიხილეს ექსპერტებმა შვეიცარიის ფედერალური სასამართლოდან, საფრანგეთის სახელმწიფო საბჭოდან და სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოდან.

სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 90-მა მოსამართლემ.

სასწავლო პროგრამა ცენტრალური და რეგიონული მედიის წარმომადგენლებისთვის

2017 წლის 25 – 28 სექტემბერს, „საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაციასა“ და „ჟურნალისტიკის რესურს ცენტრთან“ თანამშრომლობითა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის მხარდაჭერით განხორციელდა სასწავლო პროგრამა რეგიონული მედია-საშუალებების წარმომადგენლებისთვის (რეგიონული ბეჭდური გამოცემები, ონლაინ გაზეთები და მაუწყებლები). მონაწილეები გაეცნენ შემდეგ საკითხებს: საარჩევნო პროცესში მედიის როლი და საარჩევნო კანონმდებლობის სიახლეების მიმოხილვა; კენჭისყრის დღე და ფოტო/ვიდეო გადაღების რეგულაციები; ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება; საარჩევნო კანონმდებლობის სიახლეები; საერთაშორისო გამოცდილება და არჩევნების გაშუქების ძირითადი სქემები; არჩევნები და გენდერული თანასწორობა, ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა. სასწავლო პროგრამა თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში ჩატარდა, მონაწილეობა მიიღო 55-მა ჟურნალისტმა.

2017 წლის 30 სექტემბერი – პირველი ოქტომბრის პერიოდში ჩატარდა სასწავლო პროგრამა ცენტრალური ტელევიზიების, რადიო და ელექტრონული მედიის ჟურნალისტებისთვის საარჩევნო საკითხებზე. სასწავლო პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 20 მედია ორგანიზაციის 25-მა ჟურნალისტმა.

სულ სასწავლო პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 80-მა ჟურნალისტმა.

ტრენინგი საარჩევნო სუბიექტების იურისტებისთვის

2017 წლის 4 – 10 ოქტომბერს, იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის მიერ, საარჩევნო სუბიექტების იურისტებისთვის ორგანიზებულ ტრენინგში. იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენლებმა, მონაწილეებს საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესული ცვლილებები გააცნეს, ასევე საარჩევნო დავებთან და ადმინისტრაციულ რესურსის გამოყენების აკრძალვასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს.

ტრენინგში მონაწილეობა მიიღო საარჩევნო სუბიექტების 50-მა იურისტმა.

ტრენინგი საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისა და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების დამკვირვებლებისთვის

2017 წლის 10-11 ოქტომბერს, იურიდიული დეპარტამენტისა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა ჩაატარეს ტრენინგები საარჩევნო სუბიექტების (პოლიტიკური პარტია, საარჩევნო ბლოკი, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი) წარმომადგენლებისა და ცესკოში რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციებისთვის.
სასწავლო-საინფორმაციო პროგრამის მიზანი იყო არჩევნებში ჩართული მხარეების საარჩევნო საკითხებზე ინფორმირებულობა და მათი ფუნქციების ეფექტიანად განხორციელების ხელშეწყობა. მონაწილეები გაეცნენ შემდეგ საკითხებს: საარჩევნო სუბიექტების და დამკვირვებლების უფლებრივი მდგომარეობა; კენჭისყრის დღის პროცედურები; არჩევნების უსაფრთხოება; საარჩევნო დავები; საკანონმდებლო სიახლეები. ტრენინგის მონაწილეებს გადაეცათ შესაბამისი სასწავლო მასალები.

ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო 41-მა პირმა, მათ შორის საარჩევნო სუბიექტის რვა წარმომადგენელმა და ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის 33-მა დამკვირვებლებმა.

ტრენინგი პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლებისთვის

სწავლების ცენტრისა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ერთობლივი პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი პენიტენციური სისტემის თანამშრომლებისთვის, რომლებმაც შემდეგ ეტაპზე განახორციელეს საინფორმაციო-სასწავლო პროგრამა პენიტენციური დაწესებულებების სხვა თანამშრომლებისთვის. მონაწილეები გაეცნენ შემდეგ საკითხებს: პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში საარჩევნო პროცესების ორგანიზება, სააგიტაციო მასალების განთავსებისა და ხმის მიცემის უფლების მქონე მსჯავრდებულების/ბრალდებულების ინფორმირების წესი, საარჩევნო უბანზე და გადასატანი საარჩევნო ყუთით ხმის მიცემის პროცედურები. მონაწილეებს გადაეცათ სწავლების ცენტრისა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მიერ მომზადებული დამხმარე სახელმძღვანელოები.

ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 10-მა პირმა.

დისტანციური სასწავლო პროგრამა ჩართული მხარეებისთვის

არჩევნებში ჩართული მხარეების ინფორმირებისა და საარჩევნო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობის მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისთვის განახლდა და ცესკოსა და სწავლების ცენტრის ვებგვერდებზე განთავსდა დისტანციური სასწავლო პროგრამა, რომელმაც დაინტერესებულ პირებს მისცა კენჭისყრის დღის პროცედურებისა და საუბნო საარჩევნო კომისიის მუშაობის წესის შესახებ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა, ხოლო პროგრამაში ინტეგრირებულმა ტესტირების ბლოკმა საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით ცოდნის გადამოწმების დამატებითი რესურსი შექმნა.

სასწავლო ფილმი „კენჭისყრის დღის პროცედურები“

სწავლების ცენტრმა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისთვის განაახლა სასწავლო-საინფორმაციო ფილმი „კენჭისყრის დღის პროცედურები“. სასწავლო ფილმის მიზანი იყო საუბნო საარჩევნო კომისიებისა და საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეებისთვის ერთგვაროვანი და დეტალური ინფორმაციის მიწოდება. ფილმი ასახავდა კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირების უფლებრივ მდგომარეობას. დაინტერესებულ პირებს ასევე დეტალურად მიეწოდათ ინფორმაცია არჩევნების ორგანიზებულად გამართვისთვის კენჭისყრის პროცესის დაწყებამდე და კენჭისყრის დღეს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მიერ ჩასატარებელი პროცედურების შესახებ. სასწავლო ფილმი მომზადდა სურდოთარგმანის თანხლებით, ასევე სუბტიტრებით ინგლისურ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.

არჩევნების პოპულარიზაციისკენ მიმართული ღონისძიებები

ცესკო და სწავლების ცენტრი რეგულარულად მართავდნენ ღია კარის დღეებს და დაინტერესებულ პირებს აწვდიდნენ ინფორმაციას საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობისა და საარჩევნო პროცესების ორგანიზების შესახებ. პროგრამის ფარგლებში მონაწილეები შეხვდნენ ცესკოს თავმჯდომარეს, სწავლების ცენტრის დირექტორსა და სხვა ხელმძღვანელ პირებს. ასევე, დაათვალიერეს ცესკოში არსებული ფოტო-გამოფენა „არჩევნების ისტორია საქართველოში“.

2017 წელს ცესკოსა და სწავლების ცენტრში 11 ღია კარის დღე გაიმართა:

- 2017 წლის 3 თებერვალი, არჩევნების საერთაშორისო დღე – შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის;
- 2017 წლის 23 თებერვალი – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სამოქალაქო განათლების საკვირაო სკოლის მოსწავლეებისთვის;
- 2017 წლის 24 თებერვალი – აზერბაიჯანელი ახალგაზრდებისთვის;
- 2017 წლის 25 აპრილი – გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სტუდენტებისთვის;

- 2017 წლის 4 მაისი – კანტის აკადემიის სტუდენტებისთვის;
- 2017 წლის 30 მაისი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის და კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, რომლებიც საარჩევნო სამართლის დარგში, იურიდიული კლინიკის ფორმატში, სემესტრულ სწავლებას გადიოდნენ სწავლების ცენტრში;
- 2017 წლის 11 ოქტომბერი – არასამთავრობო ორგანიზაციის „საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი“ ინიციატივით ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტებისთვის;
- 2017 წლის 13 ოქტომბერი – „ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრის“ ახალგაზრდებისთვის;
- 2017 წლის 8 ნოემბერი – კანტის აკადემიის მოსწავლეებისთვის;
- 2017 წლის 13 დეკემბერი – 124-ე საჯარო სკოლა „ნორჩ იურისტთა კლუბის“ წევრებისთვის;
- 2017 წლის 19 დეკემბერი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის.






ცესკოსა და სწავლების ცენტრის მიერ ორგანიზებული „ღია კარის დღე“

ტოლერანტობის დღე

ტოლერანტობის კვირეულის ფარგლებში საარჩევნო ადმინისტრაციისა და ცესკოს სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა გამართეს შეხვედრა ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებთან. ჩატარდა სემინარი არჩევნების არსისა და საარჩევნო პროცესში ამომრჩევლის როლის შესახებ. სემინარის ფარგლებში ახალგაზრდებს ასევე მიეწოდა ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის საარჩევნო გარემოს ხელშეწყობისა და ინკლუზიური საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფისთვის განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

მოეწყო იმიტირებული კენჭისყრის პროცესი: მოსწავლეებმა პრაქტიკაში განახორციელეს ყველა ის ეტაპი, რომელსაც ამომრჩეველი არჩევნების დღეს საარჩევნო უბანზე გადის.





შეხვედრა ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებთან

ქოლგების აქცია

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების მეორე ტურისთვის, ამომრჩეველთა სამოქალაქო აქტიურობის წახალისების მიზნით სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა რეგიონებში განახორციელეს საინფორმაციო კამპანია „საარჩევნო ქოლგების აქცია“.
აქცია 7 ნოემბერს ხაშურსა და ბორჯომში გაიმართა, ხოლო 8-9 ნოემბერს ქუთაისში, ოზურგეთსა და მარტვილში. სწავლების ცენტრმა „საარჩევნო ქოლგის“ ქვეშ ამომრჩევლები გააერთიანა, რომლებმაც არჩევნების მეორე ტურში აქტიური მონაწილეობის მზადყოფნა დააფიქსირეს და ნების გამოსახატად საარჩევნო ყუთში სიმბოლურად მწვანე ბარათები მოათავსეს წარწერით „მე აქტიური ამომრჩეველი ვარ“.

ღონისძიების მონაწილეებს ამომრჩევლებისთვის შემუშავებული ხმის მიცემის პროცედურების ამსახველი ბუკლეტები და ცესკოს ბრენდირებული პროდუქცია დაურიგდათ.

ცესკოს ინიციატივა „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“

2017 წელს საარჩევნო ადმინისტრაციამ განახორციელა ახალი ინიციატივა „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“, რომელიც ითვალისწინებდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების შესახებ ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლებას, საოლქო საარჩევნო კომისიასა და ამომრჩევლებს შორის კომუნიკაციის გაძლიერებას, საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის პოპულარიზაციას, ცნობადობის ზრდასა და იმიჯის განმტკიცებას, ასევე საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული სერვისების გაუმჯობესებას.

პროექტის პირველ ეტაპზე – საქართველოს მასშტაბით შექმნილ 73 საარჩევნო ოლქში გაიმართა 450 შეხვედრა, მათ შორის 347 – საზოგადოების თავშეყრის ადგილებში; 103 – „ამომრჩევლის დღე“ საოლქო საარჩევნო კომისიებში. მონაწილეობა მიიღო საოლქო საარჩევნო კომისიის 340-მა წევრმა და 491-მა მოხალისემ. პროექტში 48 174-მა მოქალაქემ მიიღო მონაწილეობა, 11 458-მა მოქალაქემ შეავსო ამომრჩევლის მოსაზრების ბარათი.

პროექტის მეორე ეტაპზე „იპოვე შენი თავი – იპოვე შენი უბანი“ – საარჩევნო ადმინისტრაციისა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით (ცესკოს ვებგვერდი www.voters.cec.gov.ge, Android და iOS ოპერაციული სისტემა, სწრაფი გადახდის ტერმინალები (NOVA, TBC), პლანშეტი) დაეხმარნენ

მოქალაქეებს ამომრჩეველთა ერთიან სიაში პირადი მონაცემების გადამოწმებაში. მათ ასევე დაურიგდათ საინფორმაციო ფლაერები.

პროექტის მესამე ეტაპზე „მოდი არჩევნებზე“ – ხალხმრავალ ადგილებში გავრცელდა საარჩევნო პროცედურების ამსახველი ფლაერი. აღსანიშნავია, რომ პროექტი საქართველოს მასშტაბით მუნიციპალიტეტების ცენტრებსა და სოფლებში, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში განხორციელდა. გავრცელებული ფლაერი ასევე დაბეჭდილი იყო სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

გამართული შეხვედრები გაშუქდა როგორც ცენტრალური ტელევიზიების, ისე ბეჭდურ და ელექტრონულ მედიაში, ასევე ოფიციალურ ვებგვერდზე არსებულ ბანერზე „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“ და სოციალურ ქსელში (ცესკოს გვერდებზე Facebook და Twitter). პროექტისთვის მომზადდა საიმიჯო-საინფორმაციო ვიდეო რგოლი, რომელიც განთავსდა 27 ტელეკომპანიაში.









ცესკოს ინიციატივა „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“

მიზანი 3: სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა

საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობის, საზოგადოების უკეთ ინფორმირებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის ანგარიშვალდებულების პრინციპის დამკვიდრებისთვის საარჩევნო ადმინისტრაცია მუდმივად ახორციელებს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფის პროექტებს. 2017 წელს საარჩევნო ადმინისტრაციამ ჩაატარა საგრანტო კონკურსები და განახორციელა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა. აქტიურად მუშაობდნენ ცესკოში მოქმედი სამუშაო ჯგუფები. მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის მონაწილეთა რაოდენობის გაზრდა.

საგრანტო კონკურსები

პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა 2017 წელს გასამართი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნებისთვის

სწავლების ცენტრმა 2017 წლის 3 თებერვალს გამოაცხადა საგრანტო კონკურსი ცესკოს მიერ განსაზღვრულ დაფინანსების მიმართულებაზე[26] – „პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა 2017 წელს გასამართი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნებისთვის“. საგრანტო კონკურსის ფარგლებში, საგრანტო საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, სწავლების ცენტრის მიერ დაფინანსდა 19 არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებმაც ქვეყნის მასშტაბით განახორციელეს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისთვის საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავდა შემდეგ მოდულებს: არჩევნების საერთაშორისო სტანდარტები; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისთვის მოქმედი საარჩევნო სისტემა საქართველოში; ჩართული მხარეების საარჩევნო რეგისტრაცია, მათი უფლება-მოვალეობები საარჩევნო პროცესში და საარჩევნო ეთიკა; წინასაარჩევნო კამპანიის/აგიტაციის წარმოება და შეზღუდვები; კონფლიქტების მართვა და საარჩევნო დავების გადაწყვეტის საერთაშორისო სტანდარტები; კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა და ანგარიშვალდებულება; ინკლუზიური არჩევნები.

საგრანტო პროექტების განხორციელების პროცესში სწავლების ცენტრმა კონტრიბუციის სახით უზრუნველყო პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისთვის შემდეგი მოდულების სწავლება: საარჩევნო ციკლი და საარჩევნო ოპერაციების მართვა; კენჭისყრის დღე და კენჭისყრის პროცესის სახელმძღვანელო პრინციპები; არჩევნების სანდოობა და უსაფრთხოება, ასევე სწავლების ცენტრმა უზრუნველყო სასწავლო პროცესის მხარდაჭერა სურდოთარგმანით.

26 საგრანტო კონკურსის დაფინანსების მიმართულება განსაზღვრულია ცესკოს 2017 წლის 20 იანვრის N1/2017 განკარგულებით.

პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარება ხელშეწყობა 2017 წელს გასამართი აღგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნებისთვის			
1 მაისი – 1 აგვისტო	19 ტრენერი	42 პოლიტიკური პარტია (20კვალიფიციური, 22 არაკვალიფიციური)	2 276 წარმომადგენელი

სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ზრდის, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობისა და საგრანტო კონკურსების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად „გრანტის გაცემის წესის“ შესაბამისად, შეიქმნა საგრანტო საკონკურსო კომისია, რომელიც დაკომპლექტდა შესაბამისი გამოცდილების მქონე აკადემიური სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციების, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახაზინო/საბიუჯეტო დაწესებულებების წარმომადგენლებით.

2017 წლის 31 მაისს გამოცხადებული საგრანტო კონკურსი

2017 წლის 31 მაისს სწავლების ცენტრმა გამოაცხადა და ორგანიზება გაუწია საგრანტო კონკურსს ცესკოს მიერ განსაზღვრულ საგრანტო კონკურსის დაფინანსების შემდეგ მიმართულებებზე[27]:

პირველი მიმართულება – ამომრჩეველთა ინფორმირება 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისთვის. აღნიშნულ თემატიკაზე შემოვიდა 44 საგრანტო განაცხადი.

საგრანტო საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე დაფინანსდა 14 პროექტი, დაფინანსების მოცულობამ შეადგინა 389 892 ლარი.

მეორე მიმართულება – მოწყვლადი ჯგუფებისა და ქალების მონაწილეობის ხელშეწყობა 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების პროცესში. აღნიშნულ თემატიკაზე შემოვიდა 43 საგრანტო განაცხადი.

საგრანტო საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე დაფინანსდა 13 პროექტი, დაფინანსების მოცულობამ შეადგინა 241 516 ლარი.

დაფინანსებული საგრანტო პროექტები 2017 წლის 1 აგვისტოდან – 30 სექტემბრამდე პერიოდში განხორციელდა და საქართველოს ყველა რეგიონი მოიცვა.[28]

2017 წლის 16 სექტემბერს და 18-19 ნოემბერს, „გრანტის გაცემის წესის„ შესაბამისად, 2017 წლის 3 თებერვალსა და 31 მაისს გამოცხადებული საგრანტო კონკურსების ფარგლებში სწავლების ცენტრის მიერ დაფინანსებულმა 46 არასამთავრობო ორგანიზაციამ პროექტების განხორციელების შესახებ პრეზენტაციები წარადგინეს. შეხვედრის მონაწილეებმა დისკუსიის ფარგლებში განიხილეს საგრანტო პროექტების შედეგები, გამოწვევები, დადებითი მხარეები და გამოკვეთილი ინიციატივები.

27 საგრანტო კონკურსის დაფინანსების მიმართულებები განსაზღვრულია ცესკოს 2017 წლის 22 მაისის N33/2017 განკარგულებით.

28 ინფორმაცია ცესკოს მიერ განსაზღვრული საგრანტო კონკურსის დაფინანსებულ მიმართულებებზე იხილეთ ბმულზე: http://electionreforms.ge/res/docs/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf.

პოლიტიკური პარტიების საბიუჯეტო დაფინანსების უზრუნველყოფა

პოლიტიკური პარტიების განვითარებისა და ჯანსაღი, კონკურენტული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს ორგანული კანონის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საფუძველზე ცესკომ და სწავლების ცენტრმა უზრუნველყვეს პოლიტიკური პარტიების დაფინანსება, მათ შორის კვლევების, სწავლებების, კონფერენციების, მივლინებების, რეგიონული პროექტების, ამომრჩეველთა სამოქალაქო და საარჩევნო განათლების პროექტების განხორციელებისთვის. ინფორმაცია საარჩევნო სუბიექტების დაფინანსების შესახებ იხილეთ ცხრილში.

N	პოლიტიკური გაერთიანება	დაფინანსება ცესკო	დაფინანსება სწავლების ცენტრი
1	ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	2 081 214	351 791
2	საქართველოს კონსერვატიული პარტია	209 626	49 884
3	მოძრაობა მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს	475 459	49 884
4	საქართველოს რესპუბლიკური პარტია	209 626	49 884
5	თავისუფალი დემოკრატები	512 196	175 896
6	ეროვნული ფორუმი	209 626	49 884
7	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	1 026 637	141 359
8	ევროპული საქართველო	952 913	175 896
9	საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია	573 665	162 564
10	დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო	241 620	87 950
11	გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა	910 999	309 891
12	საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	804 698	188 392
13	ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი	87 024	29 317
14	თავისუფალი საქართველო	87 024	29 317
15	თავისუფლება	87 024	29 317
16	საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა	87 024	29 317
17	ახალი ქრისტიან-დემოკრატები	87 024	29 317
18	საქართველოს ლეიბორისტული პარტია	472 812	169 021
19	მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის	195 516	87 950
20	სამოქალაქო პლატფორმა-ახალი საქართველო	195 516	87 950
21	მოძრაობა თავისუფალი საქართველოსთვის	57 762	19 372
22	ეროვნულ-დემოკრატიული პარტია	31 571	12 915
	სულ	9 598 004	2 317 068

ცესკოში მოქმედი სამუშაო ჯგუფები/გენდერული თანასწორობის საბჭო

ტექნიკური სამუშაო ჯგუფი

საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეების ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად ცესკოში შექმნილი ტექნიკური სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიან საარჩევნო საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების წარმომადგენლები.

2017 წელს, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამასთან თანამშრომლობით, ცესკოში გაიმართა ტექნიკური სამუშაო ჯგუფის შვიდი შეხვედრა, სადაც შეხვედრების ფორმატის შესაბამისად, მონაწილეებმა საარჩევნო კუთხით განხორციელებული პროექტები და საქმიანობები განიხილეს.

სამუშაო ჯგუფი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის თანაბარი საარჩევნო გარემოს ხელშეწყობისთვის ცესკოში შექმნილი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ცესკოს წევრები, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები. 2017 წელს ცესკოში გაიმართა სამუშაო ჯგუფის სამი შეხვედრა.

მონაწილეებმა განიხილეს შემდეგ საკითხები: საარჩევნო პროცესში სიახლეების დანერგვა, საარჩევნო უბნების ადაპტირების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო უწყებებთან კოორდინირებული საქმიანობა, საგანმანათლებლო პროექტები, მცირემხედველი პირებისთვის ცესკოს ვებგვერდის ადაპტირების შესაძლებლობების განსაზღვრა. ასევე, სამუშაო ჯგუფის ფორმატში მოეწყო ახალი სერვისის პრეზენტაცია ყრუთა კავშირის წარმომადგენლებისთვის, რაც გულისხმობდა ცესკოს საინფორმაციო/სატელეფონო ცენტრში ყრუ და სმენადაქვეითებული ამომრჩევლებისთვის ინფორმაციის ჟესტური ენის მცოდნე ოპერატორებისგან მიღებას ვიდეო ზარის მეშვეობით.

სამუშაო ჯგუფი ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებისთვის თანაბარი საარჩევნო გარემოს ხელშეწყობისთვის ცესკოში შექმნილი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ცესკოს წევრები, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები. 2017 წელს გაიმართა სამუშაო ჯგუფის ორი შეხვედრა შემდეგ საკითხებზე: საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მიმართ განსახორციელებელი საქმიანობები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2017 წლის არჩევნებში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის ზრდისა და მათი ინფორმირებისთვის განხორციელებული პროექტების შესახებ.

გენდერული თანასწორობის საბჭო

ცესკოში შექმნილი გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობაში შედიან ცესკოს წევრები, სტრუქტურული ერთეულებისა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლები. 2017 წელს გაიმართა ორი შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან თემებზე – ცესკოს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დოკუმენტის გაცნობა და საარჩევნო ადმინისტრაციის 2017 წლის სამოქმედო გეგმის პროექტის განხილვა, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნებისთვის საარჩევნო სუბიექტებისა და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი კანდიდატების შესახებ ინფორმაცია გენდერულ ჭრილში.



03

პრიორიტეტი საარჩევნო ციკლში

სტრატეგიული პრიორიტეტი 3: საარჩევნო გარემო

მიზანი 1: სამართლებრივი ჩარჩოს დახვეწაში მონაწილეობა

საარჩევნო ადმინისტრაცია აქტიურად მონაწილეობს საარჩევნო გარემოს სამართლებრივი ჩარჩოს დახვეწის პროცესში. 2017 წელს, ცესკომ მოამზადა საკანონმდებლო ცვლილებები, ტრენინგ-პროგრამები საკანონმდებლო საკითხებზე და საარჩევნო დავებზე.

მნიშვნელოვანი შედეგია საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ მომზადებული საკანონმდებლო წინადადებების გათვალისწინება საქართველოს პარლამენტის მიერ.

საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება

საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისა და საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწის მიზნით ცესკო თითქმის ყოველწლიურად წარადგენს წინადადებებსა და მოსაზრებებს საარჩევნო კანონმდებლობის ტექნიკურ-პროცედურულ საკითხებზე. 2017 წელს იურიდიულმა დეპარტამენტმა, სტრუქტურული ერთეულებიდან, სწავლების ცენტრიდან და ყველა საოლქო საარჩევნო კომისიიდან გამოთხოვილი ინფორმაციისა და რეკომენდაციების ანალიზის საფუძველზე მოამზადა საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი, რომელიც შესაბამისი განმარტებითი ბარათით, საკანონმდებლო წინადადებების სახით, წარედგინა საქართველოს პარლამენტს.

საქართველოს პარლამენტს ცესკომ წარუდგინა ცვლილებების შემდეგი პროექტები:

- საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი შესაბამისი განმარტებითი ბარათით;
- საქართველოს ორგანულ კანონში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი შესაბამისი განმარტებითი ბარათით;
- საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი შესაბამისი განმარტებითი ბარათით;
- საქართველოს კანონში „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი შესაბამისი განმარტებითი ბარათით.

აღნიშნული კანონპროექტის წარდგენის შემდეგ ცესკოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პარლამენტში გამართულ საკომიტეტო მოსმენებზე. აღსანიშნავია, რომ წარდგენილი წინადადებების დიდი ნაწილი გაიზიარა საკანონმდებლო ორგანომ.

ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, საარჩევნო კოდექსთან ცესკოს აქტების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მომზადდა გზამკვლევი, სადაც განისაზღვრა ცესკოსთვის დასამტკიცებლად წარსადგენი სამართლებრივი აქტების ნუსხა. ასევე, მომზადდა ძველი და ახალი ნორმების შედარების დოკუმენტი, რომელიც გადაეცა პოლიტიკური გაერთიანებების წარმომადგენლებს.

აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე მომზადდა პრეზენტაცია სამუშაო შეხვედრებისთვის და სიახლეები გაეცნო არჩევნებში ჩართულ მხარეებს.

ასევე მომზადდა ცესკოს, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების რეგლამენტებში ცვლილებების შეტანის შესახებ ცესკოს დადგენილებების პროექტები.

ჩატარებული არჩევნების სამართლებრივი ანალიზი და რეკომენდაციების მომზადება

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების პერიოდში საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების შესწავლისა და ანალიზის შედეგად, იურიდიულმა დეპარტამენტმა გამოვლენილი ხარვეზები აღწერა და შეიმუშავა რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციების შესრულებამ ხელი შეუწყო საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ გამოცემული აქტების ხარისხის ამაღლებას.

ჩატარებული არჩევნების შესახებ ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშების ანალიზი

ცესკოს კოორდინაციის, დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტმა განახორციელა საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებზე დამკვირვებელი ორგანიზაციების, კერძოდ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მისიის, აშშ-ის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების, განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრისა და საერთო-სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველოს“ ანგარიშების ანალიზი, რომელიც ეხებოდა დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ გაცემულ რეკომენდაციებს.

დოკუმენტი განთავსდა ცესკოს შიდა დისკზე და ხელმისაწვდომია ცესკოს აპარატის თანამშრომლებისთვის.

დავების სახელმძღვანელოსა და ერთგვაროვანი პრაქტიკის დოკუმენტის განახლება

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისთვის, საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, იურიდიულმა დეპარტამენტმა, არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, განაახლა საარჩევნო დავებთან, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებასთან და ერთგვაროვან პრაქტიკასთან დაკავშირებით მომზადებული სახელმძღვანელო დოკუმენტები. ასევე დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების ერთგვაროვანი პრაქტიკის სახელმძღვანელო 2017 წლის 8 სექტემბერს ცნობად იქნა მიღებული ცესკოს მიერ. აღნიშნული სახელმძღვანელოები გადაეცა არჩევნებში ჩართულ ყველა მხარეს.

სასწავლო პროგრამა „საარჩევნო დავებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება“

სწავლების ცენტრისა და იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენლებმა შეიმუშავეს ახალი სასწავლო პროგრამა „საარჩევნო დავებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება“ და საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებსა და მდივნებს, რიგ შემთხვევაში კომისიის

წევრებს, ცესკოს საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის წარმომადგენლებსა და რეგიონულ კოორდინატორებს ჩაუტარეს ტრენინგები.

სწავლების ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ შემდეგ საკითხებს: კენჭისყრის დღეს განცხადება/საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება საოლქო საარჩევნო კომისიაში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მომზადება, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების ერთგვაროვანი პრაქტიკა. მონაწილეები ასევე გაეცნენ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის ანგარიშებს და გამოთქმულ რეკომენდაციებს საოლქო საარჩევნო კომისიების საქმიანობის ჭრილში.

ჩატარებული ფართომასშტაბიანი სწავლების შედეგად გაიზარდა საოლქო საარჩევნო კომისიების წევრების კვალიფიკაცია საარჩევნო დავებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების კუთხით, რაც აისახა არჩევნების დროს მათ მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტებში ხარვეზების რაოდენობის კლებაში და ხარისხის ამაღლებაში, ასევე საოლქო საარჩევნო კომისიებს მისცა ადმინისტრაციული წარმოების პროცესების უფრო ეფექტიანად წარმართვის შესაძლებლობა.

საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირებისთვის დავებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამა			
15 – 26 ივნისი	4 ეტაპი 7 ჯგუფი	156 მონაწილე	ქალი – 88 (56.41%) კაცი – 68 (43.59%)

ცესკოს საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა

იურიდიული დეპარტამენტი რეგულარულად უწევდა იურიდიულ კონსულტაციას ცესკოს აპარატისა და სწავლების ცენტრის თანამშრომლებს, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს, ადგილობრივ და საერთაშორისო დამკვირვებლებს და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს. ასევე, კონსულტაცია და სამართლებრივი დახმარება გაეწია საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს განცხადება/საჩივრებთან დაკავშირებით. იურიდიული დეპარტამენტი ამზადებდა და სამართლებრივ ექსპერტიზას უტარებდა ცესკოს სამართლებრივ აქტებს.

2017 წელს ცესკომ გამართა 51 სხდომა და გამოსცა 1 585 სამართლებრივი აქტი, მათ შორის:

61 ცესკოს დადგენილება

303 ცესკოს განკარგულება

138 ცესკოს თავმჯდომარის განკარგულება

1038 ცესკოს მდივნის განკარგულება

ცესკოში გამართული სხდომების ოქმების შედგენა, ცესკოს თავმჯდომარისა და ცესკოს მდივნის განკარგულებების პროექტების მომზადება, შესაბამისი დოკუმენტების გაფორმება და გამოქვეყნება უზრუნველყო სარეგისტრაციო და ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა.

მიზანი 2: არჩევნების მთლიანობის (integrity) უზრუნველყოფა

არჩევნების სანდოობისა და მთლიანობის მართვას საარჩევნო ადმინისტრაცია ახორციელებს არჩევნების სანდოობის რისკების მართვის გეგმის შესაბამისად. აღნიშნული გეგმის საფუძველზე, არჩევნების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ცესკოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

მნიშვნელოვანი სიახლეა საარჩევნო ადმინისტრაციის სანდოობის რისკების მართვის გეგმის მონიტორინგისა და შეფასების გეგმის შემუშავება.

საარჩევნო ადმინისტრაციის სანდოობის რისკების მართვის გეგმა

საარჩევნო ადმინისტრაცია მისი პასუხისმგებლობის და კომპეტენციის ფარგლებში მართავს არჩევნების სანდოობას „საარჩევნო ადმინისტრაციის სანდოობის რისკების მართვის გეგმით“ განსაზღვრული მიდგომებითა და მეთოდებით. თუმცა არჩევნების სანდოობის უზრუნველყოფა წარმოადგენს შემდეგი ჩართული მხარეების პასუხისმგებლობას: საარჩევნო ადმინისტრაცია, საარჩევნო პროცესის მხარდამჭერი ყველა სახელმწიფო უწყება, ასევე, კანონმდებლები და გადაწყვეტილების მიმღები პირები, პოლიტიკური პარტიები, საარჩევნო სუბიექტები, საარჩევნო პროცესში ჩართული სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, მედია საშუალებები, ამომრჩევლები და საქართველოში საარჩევნო დემოკრატიის გაძლიერების საქმეში წვლილის შემტანი საერთაშორისო საზოგადოება.

2017 წელს შემუშავდა და დამტკიცდა საარჩევნო ადმინისტრაციის სანდოობის რისკების მართვის გეგმის მონიტორინგისა და შეფასების გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს შესაძლო რისკების ქმედით მართვას, საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე სწორი მენეჯმენტის წარმართვას, სანდოობასთან დაკავშირებული ნაკლოვანებების შეფასებას და რისკების შემცირების სტრატეგიებისა და შესაბამისი ზომების განსაზღვრას.

მიზანი 3: ინკლუზიური საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა

ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების დროს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის საარჩევნო დოკუმენტაცია და საინფორმაციო მასალები ხელმისაწვდომი იყო აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის უზრუნველყოფილი იყო ინფორმაციის მიწოდება, ასევე საარჩევნო უბნები აღიჭურვა სხვადასხვა დამხმარე საშუალებებით.

მნიშვნელოვანი სიახლეა ახალი სერვისის დანერგვა, კერძოდ ყრუ და სმენადაქვეითებული ამომრჩევლებისთვის სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრში ინფორმაციის მიღებას ვიდეო ზარის განხორციელებით ჟესტური ენის მცოდნე ოპერატორების მეშვეობით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინფორმირება

2017 წელს, ცესკომ უზრუნველყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ინფორმირება საინფორმაციო ვიდეო საშუალებით, რომელიც განთავსდა როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონული ტელევიზიების ეთერში. ცესკო შშმ ამომრჩევლებს აწვდიდა ინფორმაციას მათთვის შექმნილი შემდეგი სერვისების შესახებ:

ვიდეო ზარის სერვისი – ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულ სპეციალური რეგისტრაციის ფორმის შევსების შემდეგ, ვიდეო ზარის მეშვეობით, ყრუ და სმენადაქვეითებული პირები უკავშირდებოდნენ ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრს და ჟესტური ენის მცოდნე ოპერატორებისგან იღებდნენ საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებულ ინფორმაციას. სულ რეგისტრაცია გაიარა და საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაცია მიიღო 82-მა პირმა. ცესკომ, არასამთავრობო ორგანიზაციასთან „საქართველოს ყრუთა კავშირი“ თანამშრომლობით, აღნიშნული სერვისის შესახებ ინფორმირების კამპანია გამართა თბილისში, თელავში, ქუთაისში, ზუგდიდსა და ბათუმში მცხოვრებ ყრუ და სმენადაქვეითებულ ამომრჩევლებთან.

ადაპტირებული ვებგვერდი – ცესკომ უზრუნველყო ცესკოს ოფიციალური ვებგვერდის ადაპტირება მცირემხედველი პირებისთვის. დამატებითი ფუნქციების ინტეგრირებით, მათ საჭიროებებზე იქნა მორგებული და გათვალისწინებული ვებგვერდის შემდეგი მახასიათებლები: ფონი – მუქი შავი ფერი; შრიფტის ფერი – თეთრი, მწვანე, ყვითელი; შრიფტის ზომა – განუსაზღვრელი.

საარჩევნო ბიულეტენები – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების შესახებ ინფორმაცია დამუშავდა ტექსტის სახით და განთავსდა ცესკოს ვებგვერდზე;

ცესკოს საინფორმაციო ბრიფინგები – კენჭისყრის დღეს ცესკოს საინფორმაციო ბრიფინგები პირდაპირ ეთერში გაშუქდა სურდოთარგმანის თანხლებით. აღსანიშნავია, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია არის საქართველოში პირველი ინსტიტუცია, რომელმაც დანერგა საინფორმაციო ბრიფინგების პირდაპირ ეთერში სურდოთარგმანის თანხლებით გაშუქების პრაქტიკა.

საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა (ტრენერი, ოლქი/უბანი) გადამზადება ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის შესახებ

2017 წლის 29 აგვისტო – 11 ოქტომბრის პერიოდში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისთვის ცესკომ და სწავლების ცენტრმა, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით, გადაამზადეს საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერები, რომლებმაც შემდეგ ჩაატარეს სასწავლო კურსი საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის.

სხვა საკითხებთან ერთად ტრენინგზე განიხილეს სასწავლო მოდული „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საუბრის, ეტიკეტისა და ქცევის ნორმების დაცვის შესახებ“. განახლებულ სასწავლო მოდულში ასევე, გათვალისწინებული იყო მხარდაჭერის მიმღები პირების საარჩევნო უფლება.

გადამზადდა 166, მათ შორის 15 წამყვანი ტრენერი. ტრენინგი ჩაუტარდა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ხელმისაწვდომი სერვისები

საოლქო საარჩევნო კომისიებიდან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებში სულ მონაწილეობა მიიღო 3 353-მა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველმა. კენჭისყრის დღეს, 21 ოქტომბერს (I ტური) და 12 ნოემბერს (II ტური) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლებისთვის ხელმისაწვდომი იყო მათ საჭიროებებზე მორგებული შემდეგი სერვისები:

- **უსინათლო ამომრჩევლებისთვის** – საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმა. 21 ოქტომბერს, არჩევნების დღეს, 400-ზე მეტმა უსინათლო ამომრჩეველმა ისარგებლა ჩარჩო/ფორმით;
- **მცირემხედველი ამომრჩევლებისთვის** – ყველა საარჩევნო უბანზე ორი ცალი გამადიდებელი ლინზა. 21 ოქტომბერს, არჩევნების დღეს 2000-ზე მეტმა მცირემხედველმა პირმა ისარგებლა ლინზით;
- **ყრუ, სმენადაქვეითებული და მხარდაჭერის მიმღები პირებისთვის** – ყველა საარჩევნო უბანზე, ხმის მიცემის პროცედურების ამსახველი პოსტერი. 21 ოქტომბერს, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ყრუ/სმენადაქვეითებულმა 150-მა და მხარდაჭერის მიმღებმა 265-მა ამომრჩეველმა.
- **ეტლით მოსარგებლე და ფიზიკური შეზღუდვის მქონე ამომრჩევლებისთვის** – ადაპტირებულ 1 156 საარჩევნო უბანზე სპეციალური ხმის მიცემის კაბინა. ასევე, ამომრჩევლის მოთხოვნის საფუძველზე, ზოგიერთ საარჩევნო უბანზე განთავსდა პორტატული (მოძრავი) პანდუსი. 21 ოქტომბერს, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ეტლით მოსარგებლე 181-მა ამომრჩეველმა.

თვითმმართველობის ორგანოებთან და საოლქო საარჩევნო კომისიებთან რეგულარული მუშაობა საარჩევნო უბნების ადაპტირების უზრუნველსაყოფად

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისთვის საარჩევნო უბნების ადაპტირებასთან დაკავშირებით, ცესკოში გაიმართა სამუშაო შეხვედრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს

წარმომადგენლების მონაწილეობით. პასუხისმგებელი უწყებებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე 73 საარჩევნო ოლქში შემავალი 3 644 საარჩევნო უბნიდან (მათ შორის გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი 10 საარჩევნო უბანი), ეტლით მოსარგებლე/ფიზიკური შეზღუდვის მქონე ამომრჩევლებისთვის ხელმისაწვდომი იყო 1 156 (31.72%) საარჩევნო უბანი (მარტივი ადაპტაცია, პანდუსი), მათ შორის ქალაქ თბილისში ხელმისაწვდომი იყო 250 საარჩევნო უბანი, ხოლო რეგიონებში – 906 უბანი.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა ინფორმირება

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისთვის ცესკოს მიერ დამზადებული ყველა საინფორმაციო ვიდეო რგოლი, მათ შორის ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ სპეციალური ვიდეო რგოლი, ნათარგმნი იყო აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე, რომელიც განთავსებული იყო რეგიონული ტელევიზიების ეთერში.

არჩევნების დროს, ცესკომ უზრუნველყო აზერბაიჯანულენოვან გაზეთში ,,გურჯისტანი“ და სომხურენოვან გაზეთში „ვრასტანი“ ხელმისაწვდომი სერვისებისა და კენჭისყრაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება.

ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები აზერბაიჯანულ და სომხურენოვან ამომრჩევლებს, ამომრჩეველთა ერთიანი სიის საძიებო სისტემით (voters.cec.gov.ge) სარგებლობა შეეძლოთ, როგორც ქართულ, ისე აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.

სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრში ამომრჩევლებს ინფორმაციის მიღება შეეძლოთ, როგორც ქართულ, ისე აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. ცენტრში დასაქმებული იყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ოთხი ოპერატორი (ორი აზერბაიჯანელი, ორი სომეხი). დასაქმების პარალელურად ცესკომ უზრუნველყო მათი კვალიფიკაციის ამაღლება საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით.

საარჩევნო დოკუმენტაციის თარგმნა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელებისთვის

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისთვის სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი ამომრჩევლებისთვის ეთნიკური უმცირესობების ენებზე ითარგმნა და დაიბეჭდა (ქართულ-აზერბაიჯანული, ქართულ-სომხური ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანული) შემდეგი საარჩევნო დოკუმენტაცია: საარჩევნო ბიულეტენი და ამომრჩეველთა ერთიანი სია (კედელზე გასაკრავი და სამაგიდო); ასევე, ამომრჩეველთა ინფორმირებისთვის განკუთვნილი მასალები.

სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის, რომლებიც სრულყოფილად ვერ ფლობდნენ ქართულს ითარგმნა და დაიბეჭდა შემდეგი საარჩევნო დოკუმენტაცია: საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია; კომისიის თავმჯდომარის სამახსოვრო ინსტრუქცია; ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრის ფუნქციები; საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის უფლებამოსილებანი კენჭისყრის დღეს; ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრის ფუნქციები; საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრის ფუნქციები; გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლები კომისიის წევრის ფუნქციები. ასევე, მომზადდა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სასწავლო ფილმი „კენჭისყრის დღის პროცედურები“ აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე სუბტიტრებით.

მადლობის სიგელები







ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიას, თავმჯდომარის მოადგილე გიორგი შარაბიძეს და კოორდინაციის, დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსს სოფიო სიჭინავას საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა კავშირის პროექტი „აქტიური მოქალაქე დემოკრატიის გარანტიის“ ფარგლებში ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო უფლებების განხორციელების ხელშეწყობისა და თანამშრომლობისთვის მადლობის სიგელები გადაეცათ.

მიზანი 4: გენდერულად დაბალანსებული და თანაბარი გარემოს ხელშეწყობა

საარჩევნო ადმინისტრაცია თავის საქმიანობას წარმართავს გენდერული თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით. საარჩევნო ადმინისტრაციამ განაგრძო გენდერული პოლიტიკის განხორციელება და პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის წახალისება.

ჩატარდა ტრენინგები და შეხვედრები საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე გენდერული პოლიტიკის გაცნობის მიზნით განხორციელდა საარჩევნო ინფორმაციის დამუშავება გენდერული შემადგენლობის მიხედვით. ცესკოსა და სწავლების ცენტრის მიერ განახლდა საგანმანათლებლო პროექტების „საარჩევნო განვითარების სკოლა“ და „იურიდიული კლინიკა“ სასწავლო მოდულები გენდერულ საკითხებზე.

მნიშვნელოვანი შედეგია საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული თანასწორობის ასპექტების ასახვა საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შემუშავებულ სასწავლო პროგრამებსა და მასალებში.

საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გაცნობა

ცესკოში შექმნილი საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა შეხვედრები გამართეს 73 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან და წარუდგინეს მათ საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს სახალხო დამცველის, სამოქალაქო სექტორისა და აკადემიური დაწესებულებების მიერ გენდერული თანასწორობის საკითხებზე გამართულ დისკუსიებსა და მრგვალ მაგიდებში.

გენდერული თანასწორობის ასპექტების ასახვა საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შემუშავებულ სასწავლო პროგრამებსა და მასალებში

ცესკოსა და სწავლების ცენტრის მიერ განახლდა საგანმანათლებლო პროექტების „საარჩევნო განვითარების სკოლა“ და „იურიდიული კლინიკა“ სასწავლო მოდულები გენდერულ საკითხებზე.

სწავლების ცენტრის მონაწილეობით, მარნეულისა და ახალციხის მუნიციპალიტეტებში გაიმართა სემინარი თემაზე „ქალთა საჭიროებები და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები“. სემინარში მონაწილე ქალ ამომრჩევლებს მიეწოდათ ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების შესახებ, ასევე წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოსა და მერის კომპეტენციებისა და თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა როლის თაობაზე. სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრები განხორციელდა აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის პროექტის „ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალი ამომრჩევლის ჯგუფის ფორმირება“ ფარგლებში, რომელიც განხორციელდა ლევან მიქელაძის სახელობის ფონდის მიერ, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით.

ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ და ცესკოს წევრმა ზურაბ ხრიკაძემ, რომელიც ამავდროულად არის საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მედია მენეჯმენტისა და ჟურნალისტიკის სკოლების მსმენელთათვის ჩაატარეს სასწავლო კურსი, რომელშიც ინტეგრირებული იყო მოდული „გენდერული თანასწორობა არჩევნებსა და პოლიტიკაში“.

კონფერენცია „ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობასთან დაკავშირებული გამოწვევები საქართველოში“

2017 წლის 21 ივნისს, ევროპის საბჭოსა და საარჩევნო ადმინისტრაციის ორგანიზებით, ჩატარდა კონფერენცია „ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობასთან დაკავშირებული გამოწვევები საქართველოში“ ცესკოს თავმჯდომარემ და გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ მონაწილეებს მიაწოდეს ინფორმაცია საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერულ პოლიტიკას, დაკომპლექტებისას გენდერული ბალანსისა და განხორციელებულ საქმიანობების შესახებ. კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა 26-მა პირმა.





კონფერენცია „ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობასთან დაკავშირებული გამოწვევები საქართველოში“

საჯარო დებატი „თვითმმართველობის არჩევნების გენდერული პოლიტიკა“

2017 წლის 2 ოქტომბერს, სახალხო დამცველის ორგანიზებით და ევროკავშირის მხარდაჭერით, პროექტის „ბრძოლა დისკრიმინაციის ყველა ფორმის წინააღმდეგ საქართველოში“ ფარგლებში გაიმართა საჯარო დებატი. დებატში მონაწილეობა მიიღო ცესკოს წევრმა, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ ხრიკაძემ. მან შეხვედრის მონაწილეებს გააცნო საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული პოლიტიკა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების გენდერული სტატისტიკა.

ჩართული მხარეების ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის საკითხებზე არჩევნების კონტექსტში

ტრენინგი თემაზე „გენდერული თანასწორობა და არჩევნები“

2017 წლის პირველ ივნისს საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული თანასწორობის საბჭოს ხელმძღვანელმა, სწავლების ცენტრის იურიდიული კლინიკის სტუდენტებისთვის გამართა ტრენინგი თემაზე „გენდერული თანასწორობა და არჩევნები“. მონაწილეებს მიეწოდა ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: არჩევნებში გენდერულად დაბალანსებული და თანაბარი გარემოს ხელშეწყობა და ქალთა წარმომადგენლობა და პოლიტიკური მონაწილეობა, რამაც ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლებას შეუწყო ხელი.

ტრენინგში მონაწილეობა მიიღო იურიდიული კლინიკის 18-მა სტუდენტმა.

გენდერული თანასწორობის საკითხის გათვალისწინება ან/და ხელშეწყობა საგრანტო კონკურსების ორგანიზებისას

2017 წლის 31 მაისს სწავლების ცენტრის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში, ცესკოს მიერ დაფინანსების ერთ-ერთ მიმართულებად განისაზღვრა – მოწყვლადი ჯგუფებისა და ქალების მონაწილეობის ხელშეწყობა 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების პროცესში. აღნიშნული ითვალისწინებდა მოწყვლადი ჯგუფებისა და ქალების საარჩევნო პროცესში ინტეგრირების ხელშეწყობაზე ორიენტირებული საინფორმაციო პროგრამების განხორციელებას. სასურველი იყო პროექტში გენდერული ასპექტების ასახვა.


აღნიშნულ მიმართულებაზე სულ შემოვიდა 43 საგრანტო განაცხადი, ქალების მონაწილეობის ხელშეწყობის კუთხით დაფინანსდა ცხრა პროექტი, რომლის საერთო ბიუჯეტმა 165 967 ლარი შეადგინა.

პოტენციური კანდიდატი ქალების ტრენინგი საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით

2017 წლის 25-27 სექტემბერს, ცესკომ და სწავლების ცენტრმა განახორციელეს სასწავლო პროგრამა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებში მონაწილეობის მსურველი პოტენციური კანდიდატი ქალებისთვის. საინფორმაციო-სასწავლო პროგრამის მიზანი იყო საარჩევნო პროცესში ქალთა გააქტიურება და საარჩევნო საკითხებზე მათი ინფორმირებულობის ზრდის ხელშეწყობა.

მონაწილეები გაეცნენ შემდეგ საკითხებს: არჩევნებში გენდერული თანასწორობის საკითხები; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საარჩევნო სისტემა; პასიური საარჩევნო უფლების რეალიზების მექანიზმები; არჩევნების შედეგების შეჯამება და მანდატების განაწილება; წინასაარჩევნო კამპანია და ადმინისტრაციული რესურსები; საარჩევნო დავები. მონაწილეებს გადაეცათ სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული დამხმარე სახელმძღვანელო „კენჭისყრის დღის პროცედურები“ და ცესკოს იურიდიული დეპარტამენტის მიერ მომზადებული დოკუმენტი საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით. ჩატარდა სამი სატრენინგო სესია, მონაწილეობა მიიღო პოლიტიკური პარტიებისა და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფების მიერ წარმოდგენილმა 69 პოტენციურმა კანდიდატმა ქალმა.

პოტენციური კანდიდატი ქალების ტრენინგზე დასწრების სტატისტიკა წარმდგენი სუბიექტების მიხედვით



საარჩევნო ინფორმაციის დამუშავება გენდერული შემადგენლობის მიხედვით

ცესკო ამუშავებს სტატისტიკურ ინფორმაციას გენდერული ასპექტის გათვალისწინებით, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის ცესკოს ვებგვერდზე, ბანერში „გენდერული ბალანსი“. ცესკოს ვებგვერდზე განთავსებული 2010-2017 წლების არჩევნების გენდერული სტატისტიკა პირველად მომზადდა და განთავსდა ვებგვერდზე ინგლისურ ენაზე.

2017 წელს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების (I და II ტური) შემდეგ ცესკომ დაამუშავა შემდეგი გენდერული სტატისტიკა:

- ამომრჩეველთა ერთიან სიაში რეგისტრირებულ პირთა შესახებ, აქტივობა სიიდან, არჩევნებში მონაწილე ამომრჩევლები;
- საარჩევნო სუბიექტების მიერ პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემების საფუძველზე წარდგენილი კანდიდატები და არჩეული წევრები;
- თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერობის წარდგენილი კანდიდატები და არჩეული მერები;
- დამკვირვებლები, მედია და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები;
- საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობა (ცესკო, ოლქი, უბანი).



04

პრიორიტეტი საარჩევნო ოპერაციები

სტრატეგიული პრიორიტეტი 4: საარჩევნო ოპერაციები

მიზანი 1: არჩევნების ორგანიზება/ჩატარება

2017 წელს ჩატარდა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნები (I და II ტური). არჩევნების მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფისთვის, არსებული მარაგების გათვალისწინებით, განისაზღვრა არჩევნების ჩასატარებლად შესაძენი საქონლის/მომსახურების რაოდენობა/მოცულობა. ცენტრალიზებულად განხორციელდა არჩევნებისთვის საჭირო ინვენტარის განაწილება საოლქო საარჩევნო კომისიებზე.

მნიშვნელოვანი შედეგია – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2017 წლის არჩევნების ორგანიზება და ადმინისტრირება.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს – მერის/გამგებლის არჩევნების ორგანიზება/ჩატარება

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის მორიგი არჩევნების პირველი ტური 2017 წლის 21 ოქტომბერს, ხოლო მეორე ტური – 12 ნოემბერს ჩატარდა. საარჩევნო ადმინისტრაციამ საარჩევნო პროცესი წარმართა კანონმდებლობის სრული დაცვითა და დამტკიცებული საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის შესაბამისად. ცესკომ, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, საქართველოს პარლამენტს წარუდგინა ჩატარებული არჩევნების შესახებ ანგარიში, გარდა ამისა, ანგარიში გამოქვეყნდა ცესკოს ვებგვერდზე.

ამომრჩეველთა ერთიანი სიის განახლება

2017 წელს ამომრჩეველთა სიების ფორმირებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტმა უზრუნველყო საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 31-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ყველა უწყებიდან, მათ შორის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს ამომრჩეველთა შესახებ გადმოცემული მონაცემების დამუშავება (ძირითადი და ფაქტობრივი მისამართების ინტეგრირება ცესკოს მონაცემთა ბაზასთან) და ამომრჩეველთა სიის ფორმირება. 2017 წელს ამომრჩეველთა ერთიანი სია შვიდჯერ განახლდა.

ამომრჩეველთა რაოდენობა ამომრჩეველთა ერთიან სიაში:

1 თებერვლის მდგომარეობით – 3 469 724 ამომრჩეველი;

1 მაისის მდგომარეობით – 3 459 532 ამომრჩეველი;

15 ივლისის მდგომარეობით – 3 461 225 ამომრჩეველი;

21 ოქტომბრის (I ტური) მდგომარეობით – 3 442 455 (პირველადი), 3 440 123 (საბოლოო) ამომრჩეველი;

12 ნოემბერი (II ტური) – 328 272 ამომრჩეველი;

1 ნოემბრის მდგომარეობით – 3 463 984 ამომრჩეველი.

არჩევნებისთვის დამუშავდა საარჩევნო ოლქებიდან შემოსული ამომრჩევლების განცხადებები და განხორციელდა სტატუსების მიწერა (მაგ: იმყოფება უცხოეთში, გარდაცვლილია, უბნის შეცვლა). შემოსული განცხადებების დამუშავების შედეგად მიღებული სტატისტიკური მონაცემები: დაკმაყოფილდა – 1686, არ დაკმაყოფილდა – 177 განცხადება.

მიზანი 2: საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა კვალიფიკაციის ამაღლება

საარჩევნო პროცესის პროფესიულ დონეზე ორგანიზებისთვის მნიშვნელოვანია საარჩევნო კომისიების წევრების კვალიფიკაციის ამაღლება. 2017 წელს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისთვის განახლდა სასწავლო პროგრამები და ჩატარდა ტრენინგების ციკლი. გარდა საბაზისო პროგრამისა, ჩატარდა მრავალი მიზნობრივი ტრენინგი სხვადასხვა საკითხებზე. მნიშვნელოვანი შედეგი – საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების პროფესიული შესაძლებლობების განვითარება.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა ტრენინგი

საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგები, შემუშავებული ტრენინგების კონცეფციის შესაბამისად, ორ ეტაპად განხორციელდა:

ტრენინგის I ეტაპი – კომისიის სრული შემადგენლობის სწავლება. სასწავლო თემატიკა: საოლქო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღის შემდგომ პერიოდში. ტრენინგზე დასწრების კოეფიციენტი – 94 %.

ტრენინგის II ეტაპი – კომისიის სრული შემადგენლობის სწავლება. სასწავლო თემატიკა: საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღეს. ტრენინგზე დასწრების კოეფიციენტი – 92%.

საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგი

საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგები ოთხ ეტაპად განხორციელდა:

ტრენინგის I ეტაპი – კომისიის სრული შემადგენლობის სწავლება. სასწავლო თემატიკა: საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა და ხელმძღვანელ პირთა არჩევის წესი (პირველი სხდომის ინსტრუქცია (ეპიზოდური ინსცენირება)).

ტრენინგის II ეტაპი – კომისიის სრული შემადგენლობის სწავლება. სასწავლო თემატიკა: საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს შშმ ამომრჩევლების საარჩევნო პროცესში ჩართულობის ხელშეწყობის პოლიტიკა; კენჭისყრის დღის განცხადებები/საჩივრები; კონფლიქტების მართვა. ტრენინგზე დასწრების კოეფიციენტი – 74%.

ტრენინგის III ეტაპი – კომისიის ხელმძღვანელი პირების სწავლება. სასწავლო თემატიკა: საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების უფლებამოსილებები (მათ შორის, საარჩევნო დოკუმენტაციასთან მუშაობა, შემაჯამებელი ოქმის შედგენის წესი), კენჭისყრის დღის განცხადებები/საჩივრები; არჩევნების უსაფრთხოება. ტრენინგზე დასწრების კოეფიციენტი – 92%.

ტრენინგების IV ეტაპი – კომისიის სრული შემადგენლობის სწავლება. კენჭისყრის დღის ეპიზოდური ინსცენირება. ტრენინგზე დასწრების კოეფიციენტი – 84%.

დამატებითი ტრენინგები – ჩატარდა საუბნო საარჩევნო კომისიების შეცვლილი (ახალი) წევრებისთვის და იმ წევრებისთვის, რომლებიც ვერ დაესწრნენ გრაფიკით გათვალისწინებულ ტრენინგებს. სასწავლო თემატიკა: საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღემდე პერიოდში, საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღეს, კენჭისყრის დღის განცხადებები/საჩივრები. ტრენინგზე დასწრების კოეფიციენტი – 37%.

გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ტრენინგები – ჩატარდა გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის.

სასწავლო თემატიკა: საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღემდე პერიოდში; საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღეს; კენჭისყრის დღის განცხადებები/საჩივრები. ტრენინგზე დასწრების კოეფიციენტი – 67.2%.

ტრენინგი საქმისწარმოებისა და რეგისტრაციების პროცესის შესახებ

საოლქო საარჩევნო კომისიებში საქმისწარმოებისა და საარჩევნო რეგისტრაციების პროცესის სრულყოფის მიზნით საარჩევნო კანონმდებლობისა და სხვადასხვა ნორმატიული/სამართლებრივი აქტების ანალიზის საფუძველზე[29], სარეგისტრაციო და ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა შეიმუშავა საპრეზენტაციო მასალები და სახელმძღვანელო დოკუმენტები (ინსტრუქციები). საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის ჩატარდა სამუშაო შეხვედრები, რომელთა მიზნებს წარმოადგენდა: საქმისწარმოებისა და საარჩევნო რეგისტრაციების პროცედურების საკანონმდებლო ნორმების გაცნობა, საქმიანი პროცესების სტანდარტიზაცია, საქმიანობასთან დაკავშირებული პოტენციური რისკების შემცირება.

სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა მიიღეს 73 საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებმა.

ტრენინგი სამართლებრივ წერაში

2017 წლის 22 მაისი-2 ივნისის პერიოდში, იურიდიული დეპარტამენტის ორგანიზებით, საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტთან თანამშრომლობით საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდისა ფინანსური მხარდაჭერით, გაიმართა ტრენინგი რეგიონული კოორდინატორებისა და საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებისთვის სამართლებრივ წერაში. ტრენინგი ჩაატარა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის მიერ მოწვეულმა ექსპერტებმა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმა. სწავლების შედეგად საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებს აუმაღლდათ კვალიფიკაცია მათ მიერ გამოსაცემი სამართლებრივი აქტების მომზადებასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია რომ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების დროს საოლქო საარჩევნო კომისიებში მომზადებულ სამართლებრივი აქტების თაობაზე შენიშვნები გაეგზავნა მხოლოდ 37 თავმჯდომარეს.

ტრენინგი, ქობულეთსა და თბილისში, ოთხ ნაკადად ჩატარდა, მონაწილეობა მიიღო საოლქო საარჩევნო კომისიების 73-მა თავმჯდომარემ და ათმა რეგიონულმა კოორდინატორმა.

ტრენინგი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ

2017 წლის 28 ივლისს, 2-6 და 9 აგვისტოს, იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელმა პირებმა გამართეს სამუშაო შეხვედრები საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეების, კომისიების მდივნებისა და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის (რეგიონული კოორდინატორები). შეხვედრის მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისთვის საქართველოს ორგანულ კანონში

29 საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის საქმისწარმოებისა და საარჩევნო რეგისტრაციების ინსტრუქციის შექმნა განხორციელდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, აგრეთვე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 24 აგვისტოს N01-113 ბრძანებით დამტკიცებული ,,საოლქო საარჩევნო კომისიების საქმისწარმოების წესის“ საფუძველზე.

„საქართველოს ორგანულ კანონი“ განხორციელებული ცვლილებების, ძველი და ახალი ნორმების შესახებ.

სამუშაო შეხვედრები თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, თელავში და ბორჯომში გაიმართა, მონაწილეობა მიიღო 156-მა პირმა.

ტრენინგები საკანონმდებლო საკითხებზე, საარჩევნო დავებზე და საჩივრების რეესტრის წარმოების შესახებ

2017 წლის 11-18 სექტემბერს, იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელმა პირებმა ჩაატარეს ტრენინგები/სამუშაო შეხვედრები საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის (რეგიონული კოორდინატორები), საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებისა და იურისტებისთვის. მონაწილეებს აუმაღლდათ კვალიფიკაცია შემდეგ საკითხებზე: კენჭისყრის დღესთან დაკავშირებული განცხადება/საჩივრების შეტანისა და განხილვის წესი და პროცედურები, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება, ერთგვაროვანი პრაქტიკა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენებისას და საჩივრების რეესტრის წარმოების პროცესთან დაკავშირებით რეკომენდაციები. შეხვედრებზე განიხილეს საარჩევნო პერიოდში საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ გამოსაცემი განკარგულებების პროექტები. მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე, განახლდა საჩივრების რეესტრი.


ტრენინგები თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, თელავსა და ბორჯომში ჩატარდა, მონაწილეობა მიიღო 170-მა პირმა.

ტრენინგი მედიასთან ურთიერთობის მიმართულებით

2017 წლის 5-7 ოქტომბერს, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის პროექტის ხელმძღვანელმა, პროექტის ხელმძღვანელის მოადგილემ და ფონდის ექსპერტმა ჩაატარეს ტრენინგი საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებისთვის მედიასთან ურთიერთობისა და ინტერვიუს მიცემის ტექნიკის შესახებ.

ტრენინგში მონაწილეობა მიიღო საოლქო საარჩევნო კომისიების 54-მა თავმჯდომარემ.

საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის შექმნილი სახელმძღვანელოები



ქართული აზერბაიჯანული სომხური ინგლისური



ქართული ინგლისური



ქართული



ქართული/ინგლისური




ქართული



ქართული





ქართული















საინფორმაციო მასალები

ქართული/აზერბაიჯანული/სომხური

მიზანი 3: არჩევნების შედეგების გასაჯაროება უმოკლეს დროში

კენჭისყრის შედეგების მიმართ მოსახლეობის მხრიდან ნდობის ამაღლებისთვის მნიშვნელოვანია არჩევნების შესახებ ზუსტი ინფორმაციის დროულად მიწოდება.
2017 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების (I და II ტურის) შედეგების გამოცხადება დროულად მოხდა.

მნიშვნელოვანი შედეგია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების წინასწარი და საბოლოო შედეგების საზოგადოებისთვის დროულად მიწოდება. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების პირველი ტურის პირველადი შედეგები ცესკოს თავმჯდომარემ 22 ოქტომბერს, 03:20 და 11:00 საათის მდგომარეობით წარადგინა, ხოლო ცესკოს პრეს-სპიკერმა ყველა საარჩევნო ოლქიდან მიღებული წინასწარი შედეგები 22 ოქტომბრის 18:00 საათზე წარადგინა.

თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობის ანალიზი კენჭისყრისა და ხმის დათვლის პროცესში

2017 წლის 27-28 აგვისტოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გაიმართა სამუშაო შეხვედრა მსოფლიო საარჩევნო ადმინისტრაციების ასოციაციის წარმომადგენლებთან. შეხვედრის ფარგლებში საარჩევნო ადმინისტრაციების ასოციაციის პროექტების დირექტორმა, ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის წარმომადგენელმა და პროექტების მენეჯერმა წარმოადგინეს საარჩევნო უბნებზე ხმის ელექტრონული დათვლის პროცედურები, საჭირო ტექნიკური და პროგრამული საშუალებები. ერთობლივი მუშაობის პროცესში განხილულ იქნა წარმოდგენილი სისტემის საქართველოში დანერგვის პერსპექტივები. შეხვედრის შედეგად დაისახა სამომავლო ნაბიჯები და შემუშავდა პროექტის შესრულების გეგმა.

ცესკოს თავმჯდომარემ და მსოფლიო საარჩევნო ადმინისტრაციების ასოციაციის გენერალურმა მდივანმა ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს. მხარეები თანამედროვე საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ. მემორანდუმის ფარგლებში ცესკოს წევრებმა და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები გაეცნენ წარმოდგენილ ტექნიკურ მოწყობილობებსა და შესაბამის ტექნოლოგიურ პროცესს.

მიზანი 4: ჩართული მხარეებისთვის არჩევნებთან დაკავშირებული ზუსტი ინფორმაციის დროულად მიწოდება



2017 წლის 14 ნოემბერი. ქალაქ თბილისის საკრებულოს პირველი სხდომა

საარჩევნო ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ამომრჩევლებისა და საარჩევნო პროცესში ჩართული სხვა მხარეებისთვის არჩევნების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და საკუთარი საქმიანობის ღიაობას. ასევე შესაბამის ინსტიტუციებსა და ამომრჩევლებს დროულად წარუდგენს არჩევნებთან დაკავშირებულ ზუსტ ინფორმაციას. არჩევნების დროს განსაკუთრებით ეფექტიანად მუშაობდა სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრი, რომელიც ახდენდა მოსახლეობის ინფორმირებას ქართულ, ინგლისურ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.

მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2017 წლის არჩევნების შესახებ ჩართული მხარეებისთვის ინფორმაციის მიწოდება.

არჩევნების შედეგების და სხვა საჯარო სტატისტიკური მონაცემების დამუშავება/გამოქვეყნება

არჩევნების შედეგებს ცესკო აქვეყნებს სპეციალურ ვებგვერდზე.[30] კენჭისყრის პროცესის დასრულების შემდეგ, საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ არჩევნების მართვის სისტემა „არმასში“ ხორციელდება საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების ატვირთვა. თითოეული საარჩევნო უბნის შემაჯამებელი ოქმი, მიღებისთანავე, იტვირთება ვებგვერდზე. კენჭისყრის დღეს, ცესკოში განხორციელდა კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში შეტანის პროცესის ტრანსლირება 360 გრადუსიანი ვიდეო გადაღების ტექნოლოგიის მეშვეობით, ვებგვერდებზე www.youtube.com, www.cesko.ge და www.facebook.com. ნებისმიერ მსურველს ჰქონდა პროცესზე დაკვირვების შესაძლებლობა.

საარჩევნო დავები

საარჩევნო დავების გადაწყვეტის პროცესის გასაუმჯობესებლად ცესკომ განაახლა საარჩევნო დავებისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის სახელმძღვანელო დოკუმენტები, სწავლების ცენტრმა შეიმუშავა ტრენინგ-მოდული და 2017 წელს, პირველად, ჩატარდა ტრენინგები საარჩევნო დავებთან

30 არჩევნების შედეგების გამოსაქვეყნებლად შექმნილია სპეციალური გვერდი http://results.cec.gov.ge/.

დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების პროცედურების შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეების, მოადგილეებისა და იურისტებისთვის.

საანგარიშო პერიოდში დამუშავდა კენჭისყრის დღეს საოლქო საარჩევნო კომისიებში შესული განცხადება/საჩივრები და მომზადდა სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც საჩივრების რეესტრში და ცესკოს ვებგვერდზე[31] განთავსების გარდა, მიეწოდა დაინტერესებულ მხარეებს.

2017 წელს იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენლების მონაწილეობით, ცესკოს სახელით, როგორც მოპასუხეებმა, მონაწილეობა მიიღეს 16 სასამართლო პროცესში, აქედან სასამართლოს გადაწყვეტილებით ცესკოს სასარგებლოდ მიღებულ იქნა – 10 გადაწყვეტილება, მოსარჩელის სასარგებლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – ერთი, სრულად დაკმაყოფილდა – სამი, ხოლო განხილვაშია – ორი საქმე. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების დროს ცესკოს მონაწილეობით გაიმართა – შვიდი სასამართლო პროცესი, აქედან ცესკოს სასარგებლოდ მიღებულ იქნა – შვიდი გადაწყვეტილება.

2017 წელს, ცესკოში შემოვიდა 50 განცხადება/საჩივარი, აქედან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – ორი, არ დაკმაყოფილდა – 37, განუხილველი დარჩა – 11.

ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრი

ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრი უზრუნველყოფდა ამომრჩეველთა და დაინტერესებულ პირთა ინფორმირებას საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით, როგორც სატელეფონო, ისე ონლაინ ჩათის და მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით. 2017 წელს ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრმა უზრუნველყო სხვადასხვა სახის – 15 329 სერვისის მიწოდება, კერძოდ: შემოსული სატელეფონო ზარი – 11 271; ონლაინ ჩათი – 2 167; გასული სატელეფონო ზარი – 855; ხმოვანი საინფორმაციო სამსახური – 800; მოკლე ტექსტური შეტყობინება – 154; ვიდეო ზარი – 82.

საარჩევნო პერიოდში სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრში, კონკურსის შედეგად, დასაქმდა 27 ოპერატორი, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე – ოთხი პირი, ეთნიკური უმცირესობების – ოთხი წარმომადგენელი, ასევე ჟესტური ენის მცოდნე – ორი ოპერატორი. ოპერატორებმა გაიარეს ინტენსიური სწავლება, რომელიც ცესკოს სტრუქტურული ერთეულებისა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა შემდეგ საკითხებზე ჩაატარეს: ინტერნეტ ტელეფონი CRM, საძიებო პროგრამა, ონლაინ ჩათი, ცესკოს ვებგვერდი, საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგია, არჩევნებში ჩართული მხარეები, ეფექტიანი კომუნიკაცია და მომსახურება, საარჩევნო კოდექსი, კენჭისყრის დღის პროცედურები, საარჩევნო დავები.

სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრის გამართულად მუშაობას უზრუნველყოფდა ამომრჩეველთა სიების ფორმირებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი. განახლდა და სატესტო რეჟიმში ამუშავდა სატელეფონო სისტემა, პროგრამაში შეიქმნა ოპერატორის გვერდი, განხორციელდა ახალ სატელეფონო სისტემასთან დასაკავშირებელი ლიცენზიის შესყიდვა და დანერგვა.

სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრში რეგულარულად ხორციელდება სტატისტიკური მონაცემების დამუშავება, რომელიც ხელმისაწვდომია ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

31 სრული ინფორმაცია განცხადება/საჩივრების შესახებ იხილეთ ცესკოს ვებგვერდზე ბმულზე: https://sachivrebi.cec.gov.ge/

საჯარო ინფორმაციის გაცემა

საარჩევნო ადმინისტრაცია საჯარო ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის დროს ხელმძღვანელობს დოკუმენტით „საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესი“. იურიდიული დეპარტამენტი ყოველწლიურად ამზადებს ანგარიშს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის შესახებ და გარდა შესაბამის საჯარო უწყებებში გაგზავნისა, აქვეყნებს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე. საჯარო ინფორმაციის გაცემას ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიების მდივნები უზრუნველყოფენ.

საარჩევნო ადმინისტრაციის (ცესკო/საოლქო საარჩევნო კომისიები (საარჩევნო კომისიები) მიერ 2017 წელს გაცემული საჯარო ინფორმაციის შესახებ ანგარიში

1. საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ სულ შემოსულია 1403 მოთხოვნა.
2. საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე საარჩევნო კომისიებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირების (საარჩევნო კომისიების რეგლამენტების შესაბამისად – კომისიების მდივნების) მიერ მიღებულია 1363 გადაწყვეტილება.
3. საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულია 40 გადაწყვეტილება.
4. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ მოთხოვნა არ შემოსულა. შესაბამისად, საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნის დაკმაყოფილების/დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ გადაწყვეტილება არ მიღებულა.
5. საარჩევნო კომისიების მიერ საკუთარი სხდომების დახურვის შესახებ გადაწყვეტილება არ მიღებულა.
6. საარჩევნო კომისიების მიერ შეგროვებული, დამუშავებული და შენახული იქნა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 31-ე მუხლით განსაზღვრული დაწესებულებების მიერ მოწოდებული მონაცემები. შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ 63 საჯარო მონაცემთა ბაზა იქნა სხვისთვის გაცემული, ხოლო პერსონალური მონაცემები სხვისთვის არ გაცემულა.
7. საარჩევნო ადმინისტრაციაში საჯარო მოხელეთა მიერ ინფორმაციის თავისუფლების შესახებ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევა არ დაფიქსირებულა. შესაბამისად, არც ერთ პასუხისმგებელ პირს არ დაკისრებია დისციპლინური პასუხისმგებლობა.
8. შესაბამისი უფლებამოსილი პირები, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ეყრდნობოდნენ საქართველოს ორგანულ კანონს „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, საქართველოს კანონებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ და საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს, ხოლო სხდომის დახურვის ფაქტს არ ჰქონია ადგილი.
9. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული 40 გადაწყვეტილებიდან მხოლოდ ერთი გადაწყვეტილება იქნა გასაჩივრებული.
10. საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ საჯარო ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან საარჩევნო კომისიების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხა, საარჩევნო კომისიებს არ გაუწევიათ.

დასკვნა

2017 წელს საარჩევნო ადმინისტრაციამ ჩაატარა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნები, რომელიც ძირითადად დადებითად შეფასდა ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ. არჩევნები იყო კარგად ორგანიზებული და ადმინისტრირებული, რამაც შექმნა ამომრჩევლების მხრიდან ნების თავისუფლად გამოხატვისა და არჩევნების შედეგების მიმართ ნდობის ამაღლების წინაპირობა.

საარჩევნო ადმინისტრაციის 2017 წლის სამოქმედო გეგმით დაგეგმილი იყო 86 საქმიანობის განხორციელება, რომლებიც ძირითადად სრულყოფილად და დროულად შესრულდა.

ინდიკატორების შეფასების ჭრილში სრულად განხორციელდა – 77 საქმიანობა. ნაწილობრივ განხორციელდა შემდეგი ექვსი საქმიანობა:

- საარჩევნო ადმინისტრაციის შიდა კომუნიკაციის სისტემის გაუმჯობესება;
- ცესკოს აპარატში ბიზნეს პროცესების ელექტრონული მართვის სიტემის დანერგვა;
- მენტორინგის ინსტიტუტის შექმნა;
- საერთაშორისო, ადგილობრივი და მედია ორგანიზაციების დამკვირვებელთა ელექტრონული რეგისტრაციების პროგრამის შექმნა;
- დაგეგმარებისა და ანგარიშგების ელექტრონული პროგრამის შექმნა;
- არჩევნების შედეგების და სხვა საჯარო სტატისტიკური მონაცემების დამუშავება/გამოყენება.

აღნიშნული საქმიანობების შესრულება გათვალისწინებულია საარჩევნო ადმინისტრაციის 2018 წლის სამოქმედო გეგმით.

შეჩერდა შემდეგი ორი საქმიანობის განხორციელება:

- ადმინისტრაციის ქონების/მარაგების ელექტრონულ ფორმატში აღრიცხვის სისტემის გაუმჯობესება;
- კვალიფიციური კადრების მოზიდვა/შენარჩუნების ეფექტური მექანიზმების დანერგვა.

პირველი საქმიანობის განხორციელება ამ ეტაპზე არ ჩაითვალა მიზანშეწონილად და მეორე – დროებით შეჩერდა საჯარო სამსახურის მიმდინარე რეფორმასთან დაკავშირებით.

არ განხორციელდა ერთი საქმიანობა:

- სხვადასხვა ორგანიზაციებში/დაწესებულებებში შიდა არჩევნების ჩატარების ხელშეწყობა.

საქმიანობა არ შესრულდა ორგანიზაციების/დაწესებულების მხრიდან მოთხოვნის არ არსებობის გამო.

გარდა გეგმით გათვალისწინებული, ცესკოს სტრუქტურულმა ერთეულებმა და სწავლების ცენტრმა განახორციელეს სხვა საქმიანობები, რომელმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საარჩევნო ადმინისტრაციის ინსტიტუციურ გაძლიერებას, სამოქალაქო და ამომრჩევლის განათლებას, ინკლუზიური საარჩევნო გარემოს განვითარებასა და ჩართული მხარეებისთვის არჩევნებთან დაკავშირებული ზუსტი ინფორმაციის დროულად მიწოდებას.

ცესკომ შეაფასა ჩატარებული არჩევნების ორგანიზებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის 2017 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესი. მიღებული გამოცდილების საფუძველზე გამოკვეთილი პრიორიტეტული საჭიროებები და განსახორციელებელი საქმიანობები ასახა 2018 წლის სამოქმედო გეგმაში. 2018 წელს, სხვა მნიშვნელოვან აქტივობებთან ერთად დაგეგმილია შემდეგი სიახლეებისა და ცვლილებების განხორციელება:

ინოვაციები საარჩევნო პროცესში

- საქართველოს არჩევნების ისტორიაში პირველად, 2018 წლის შუალედური არჩევნების დროს რეალურ პრაქტიკაში განხორციელდება პილოტური პროექტი, რაც გულისხმობს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, კენჭისყრის დღეს, ხმის დათვლის პროცესის ელექტრონული მანქანებით ჩატარებას;
- საარჩევნო ადმინისტრაციის სანდოობის რისკების მართვის გეგმის შესაბამისად, სიახლე იქნება კენჭისყრის დღეს გამოვლენილი ინციდენტების ელექტრონული მონიტორინგის სისტემის შექმნა და პილოტირება.

ამომრჩეველთან უშუალო კომუნიკაცია

- განახლებული კონცეფციის შესაბამისად, ქვეყნის მასშტაბით საჯარო შეხვედრების გამართვა მოსახლეობასთან;
- პირისპირ საუბრების გამართვა საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობისა და არჩევნების შესახებ;
- მოსახლეობისთვის მეტი ინფორმაციის მიწოდება ცესკოს მიერ შეთავაზებული სერვისების შესახებ.

სერვისები

- საარჩევნო სუბიექტებისთვის საარჩევნო რეგისტრაციის პროცესის გამარტივება – საერთაშორისო, ადგილობრივი და მედია ორგანიზაციების დამკვირვებელთა, ასევე პოლიტიკური პარტიების, საარჩევნო სუბიექტების, კანდიდატების, წარმომადგენლების ელექტრონული რეგისტრაციების პროგრამის შექმნა/დანერგვა.

ანგარიშგების პროცესი

- საოლქო საარჩევნო კომისიებში ანგარიშგების სისტემის დანერგვა;
- 2015-2019 წლების სტრატეგიული გეგმის შუალედური შეფასების განხორციელება;
- დაგეგმვისა და ანგარიშგების ელექტრონული პროგრამის შექმნა/დანერგვა.

ადამიანური რესურსების მართვა

- ცესკოს აპარატში მენტორინგის ინსტიტუტის დანერგვა;
- საარჩევნო მოხელის ელექტრონული სერტიფიცირების პროცესის ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- რეგიონული სასერტიფიკაციო ცენტრის შექმნა და შესაბამისი გამოცდის ჩატარება.

2018 წლის ოქტომბერში ჩატარდება საქართველოს პრეზიდენტის მორიგი არჩევნები. საარჩევნო ადმინისტრაცია გეგმავს პროფესიულ დონეზე ადმინისტრირებული არჩევნები შესთავაზოს საზოგადოებას, რეგიონში ლიდერის პოზიცია დაიმკვიდროს და განამტკიცოს ქვეყანაში დემოკრატიული არჩევნების ჩატარების ტრადიცია.

ცენტრალური საარჩევნო კომისია

მის: საქართველო, თბილისი
დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ.
ტელ: +995 32 2 51 00 51
ვებგვერდი: www.cesko.ge

დოკუმენტი მოამზადა ცენტრალური საარჩევნო კომისიის კოორდინაციის, დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტმა, ცესკოს სტრუქტურული ერთეულებისა და სსიპ – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე.

ანგარიშის დიზაინი და დაკაბადონება შესრულებულია ცესკოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომლის ლევან ნოზაძის მიერ.

ანგარიშში გამოყენებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ფოტომასალა.